

ჩემი ადვოკატი

იცოდა და დაიხვავი
შენი უფლებები



ქართული ადვოკატთა
საერთაშორისო ასოციაციის 100 წელი

ჩვენი ადვოკატი

გამომცემელი

© სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
ძმ.ზუბალაშვილების ქ. 8-მა
თბილისი 0108
საქართველო
ტელ: +995 32 2 98 78 78
ელ.ფოსტა info@gba.ge
www.gba.ge

რედაქტორი

ეკა ხიმშიაშვილი
დეკაბადონება და დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე
მხატვარ-ილუსტრატორი
სოფო კირთაძე
ჟურნალის ყდა
მაია ძიძიგური

ადვოკატთა ასოციაციის სარედაქციო გუნდი

თავმჯდომარე

დავით ასათიანი

აღმასრულებელი მდივანი

გიორგი ჭეხანი

ადმინისტრაციის უფროსი

სალომე ტყეშელაშვილი

სარედაქციო კოლეგია

თორნიკე ბაქრაძე
ციცინო ცხვედიანი
ვახტანგ მჭედლიშვილი
ირაკლი ბურდული
ირაკლი ყანდაშვილი
მარინე ნიჭაბაძე
კონსტანტინე კორკელია
ანა ხურციძე
სესილი ქაღარია
თამთა მურადაშვილი

ბეჭდვა

სტამბა „ომეგა თევი“
ISSN-1987-5 479

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება კომერციული მიზნით, ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ნებართვის გარეშე აკრძალულია



04

თაღლითობის გამიჯვნა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან



12

ფიზიკურ პირთა გადასახადები საქართველოში



20

ადვოკატი და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია



26

პირადი ცხოვრების კატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები



32

მე რომ ადვოკატი ვიყო



36

სამართალი და სამართლიანობა



40

ხელთვესური ინტელექტი: ეთიკური საკითხები



46

ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობის საკითხისათვის (დოგმატური გააზრების მცდელობა)

ძვირფასო ადვოკატებო,

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ, ქვეყანაში დამოუკიდებელი მართლმსაჯულების სისტემის მშენებლობის დაწყებისთანავე, პირველი რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ 1919 წლის 11 ნოემბრის დეკრეტით, გააუქმა რუსეთის იმპერიის ტფილისის სასამართლო პალატის ოლქის ნაფიც რწმუნებულთა ინსტიტუტი და დაარსა საქართველოს ნაფიც ვეჟილთა (ადვოკატთა) საბჭო, რაც დამოუკიდებელი ქართული ადვოკატურის ისტორიის ათვლის წერტილია.

თითოეულ ადვოკატს გულითადად გილოცავთ ამ საუკუნოვან იუბილეს!

ამ 100 წლის განმავლობაში, ქართულმა ადვოკატურამ გაიარა რთული და ეკლიანი გზა, თუმცა ჩვენი პროფესიის ფუნდამენტური ღირებულება – საზოგადოებისათვის მსახურება და ადამიანის უფლებების დაცვა – მუდამ სახელმძღვანელო პრინციპად გასდევდა და გასდევს ჩვენს პროფესიულ საქმიანობას.

დღეს, ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ ჩვენი ინსტიტუციური დამოუკიდებლობით, თვითმმართველობის მაღალი ხარისხით, პროფესიული ერთობით, რეფორმებითა და განვითარების მაღალი ტემპით, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყანაში ძირეული დემოკრატიული რეფორმების განხორციელებისა და სანდო და ხარისხიანი მართლმსაჯულების მაღალი სტანდარტის დამკვიდრებისთვის. რა თქმა უნდა, წინ ბევრი გამოწვევა და სამუშაოა, გასატარებელია არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმა, დასანერგია არაერთი სიახლე იმ სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად, რომელიც ჩვენს პროფესიულ კორპორაციას განვითარების თვისებრივად ახალ ეტაპზე აიყვანს.

ადვოკატურის გაძლიერების გზაზე უმნიშვნელოვანესია ჩვენი პროფესიის იმ ძირითადი პრინციპების უმაღლეს დონეზე დაცვა, როგორცაა თავისუფლება და დამოუკიდებლობა, კორპორატიული ერთობა, პროფესიული ღირსება და კოლეგების პატივისცემა, კლიენტის ინტერესების ერთგულება, მაღალი კომპეტენცია და პროფესიული საიდუმლოება. მყერა, რომ ამ იდეების ირგვლივ გაერთიანებით ჩვენ, ერთად, კიდევ უფრო გავაძლიერებთ იურიდიულ პროფესიას და დავამკვიდრებთ სამართლის უზენაესობასა და სანდო მართლმსაჯულებას საქართველოში.



ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენს მთავარ მონაპოვარს – ერთიან, ძლიერ და თვითმმართველ ადვოკატთა გაერთიანებას ალტერნატივა არ გააჩნია, რათა შევინარჩუნოთ ჩვენი დამოუკიდებლობა და პროფესიული თავისუფლება.

კიდევ ერთხელ, გულითადად გილოცავთ ქართული ადვოკატურის 100 წლის იუბილეს, გისურვებთ ოპტიმიზმს, შემართებასა და წარმატებას პროფესიულ საქმიანობაში!

დავით ასათიანი
საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
თავმჯდომარე





თაღლითობის გამიჯვნა
ხელშეკრულებით
ნაკისრი ვაღღებულების
შეუსრულებლობისათვის
სამტქალაქო
კასუხისმგებლობისაგან



ავტორი: ნონა თოლუა,
სამართლის დოქტორი, პროფესორი (თსუ)

1. სასამართლო პრაქტიკაში მწვავედ დგას საკითხი: როგორ გავმიჯნოთ თაღლითობა და სამოქალაქო სამართალდარღვევა?

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის როდის დგება, როგორც სისხლისსამართლებრივი (სსკ 180-ე მუხლით), ისე სამოქალაქო პასუხისმგებლობა, ხოლო როდისაა სახეზე მხოლოდ სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა?

ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციისთვის აუცილებელია, მოტყუების ხერხი წინ უძღოდეს სხვისი ნივთის დაუფლებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოტყუება გამოყენებული უნდა იყოს მანამ, სანამ პირი დაეუფლება სხვის ნივთს ან ქონებრივ უფლებას. ე.ი. მოტყუებასა და სხვისი ნივთის დაუფლებას შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი.

ამის დასადაგენად, ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს ნივთის „ხელში ჩაგდება“ და მისი „დაუფლება“. ნივთის დაუფლებას, როგორც წესი, წინ უძღვის მისი ხელში ჩაგდება, რა დროსაც პირი უკვე ფლობს მას, ასევე არაა გამორიცხული, მას შეეძლოს ისარგებლოს ამ ნივთით.

თუმცა, განსხვავებით დაუფლებისაგან, ხელში ჩაგდების დროს, პირს ჯერ არ შეუძლია ამ ნივთის განკარგვა (მისი გამოყენებით რაიმე საგნის შექმნა, მისი გაყიდვა, გაცვლა და ა.შ.).

ამდენად, დაუფლება დაკავშირებულია ნივთის განკარგვის (ანუ იურიდიული ბედის გადაწყვეტის) ფაქტობრივ შესაძლებლობასთან, რასაც ადგილი არა აქვს ნივთის ხელში ჩაგდებისას. მაგალითად, პეტრემ გადაწყვიტა მოტყუებით დაუფლებოდა ვასოს ფულად დანაზოვს. ამ მიზნით, იგი მივიდა ვასოსთან სახლში და სთხოვა 20 000 აშშ დოლარი მიეცა სესხად. ამასთან, დაარწმუნა იგი, რომ ერთ წელიწადში დაუბრუნებდა ვალს. ვასომ იქვე, ბინაში გადასცა პეტრეს ეს თანხა.

მართალია, პეტრემ უკვე ხელში ჩაიგდო ფული, მაგრამ მას ჯერ არ აქვს მისი განკარგვის ფაქტობრივი შესაძლებლობა, ე.ი. ჯერ არაა დაუფლებული სხვის ნივთს; სახეზეა თაღლითობის მცდელობა. თაღლითობის დამთავრებული შემადგენლობა სახეზე იქნება მაშინ, როცა პეტრე ფულთან ერთად დატოვებს ვასოს სახლს და მიიღებს ამ თანხის განკარგვის შესაძლებლობას.

საკითხავია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში როგორ შევითვალთ, წინ უძღოდა თუ არა მოტყუება სხვისი ნივთის დაუფლებას?

სხვაგვარად რომ ვთქვათ, როგორ უნდა დამტკიცდეს, რომ პირს არ სურდა გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება და მისი სურვილი იყო მხოლოდ სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების მისაკუთრება?

ამისთვის გამოკვლეულ უნდა იქნას შემდეგი:

- ა) რამდენად რეალური იყო შესასრულებლად ის გარიგება, რაც მან დადო სხვა პირთან, ვისგანაც ქონება მიიღო;
- ბ) თუკი რეალური იყო შესასრულებლად, რამდენად შეეცადა იგი ამ ვალდებულების განხორციელებას და რაში გამოიხატა ეს მცდელობა;
- გ) რამდენად რეალური იყო ის, რომ გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში (მაგალითად, თუ ვერ შეძლება შეპირებული ბიზნესის წამოწყებას ან წარმართვას), იგი აპირებდა აენაზღაურებინა მიყენებული ზიანი, იმ თანხის უკან დაბრუნებით, რაც აიღო დაზარალებულისგან, ან ამ თანხის შესაბამისი ღირებულების სხვა ნივთის გადაცემით, ჰქონდა კი მას საამისო ქონება ან შემოსავალი.

2. შესაბამისი მატალიტები:

თავდაპირველად განვიხილოთ ისეთი შემთხვევა, როცა იმთავითვე არარეალურია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება და დამნაშავემ ეს იცის.

მაგალითი: პეტრემ შექმნა შეზღუდული პასუხილმგებლობის საზოგადოება და მსურველებს ხელმისაწვდომ ფასებში, უცხოეთიდან ახალი, ძვირფასი ავტომობილების ჩამოყვანას დაპირდა-ზოგი მოდელის ფასი 20 000 აშშ-25 000 აშშ დოლარის ფარგლებში მერყეობდა.

მან ხელშეკრულება გააფორმა მრავალ კლიენტთან და შესაბამისი თანხაც მიიღო. როცა მოახლოვდა ა/მანქანების საქართველოში ჩამოსვლის დრო, პეტრემ

ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს ნივთის „ხელში ჩაგდება“ და მისი „დაუფლება“.
ნივთის დაუფლებას, როგორც ნაწი, წინ უძღვის მისი ხელში ჩაგდება, რა დროსაც პირი უკვე ფლობს მას, ასევე არაა გამორიცხული, მას შეეძლოს ისარგებლოს ამ ნივთით. თუმცა, განსხვავებით დაუფლებისაგან, ხელში ჩაგების დროს, პირს ჯერ არ შეუძლია ამ ნივთის განკარგვა.

მიატოვა თავისი შპს და დაემალა კლიენტებს (გაიქცა საზღვარგარეთ).

გამოძიებით გაირკვა, რომ იმ მარკის და გამოშვების ა/მანქანების არათუ საცალო, არამედ საბითუმო ფასი, რაზეც პეტრემ ხელშეკრულება დაუდო კლიენტებს 20 000 აშშ დოლარის ექვივალენტში, საზღვარგარეთის შესაბამის ქვეყნებში ღირდა სულ მცირე 60 000 აშშ დოლარი, ხოლო სხვა მარკის ა/მანქანები, კიდევ უფრო ძვირი.

შესაბამისად, აშკარაა, რომ პეტრე ვერ შეიძენდა მათ 20 000 ან 25 000 აშშ დოლარად. ამდენად, აზრს მოკლებულია იმის გარკვევა, უძღოდა თუ არა მოტყუება წინ მოქალაქეებისაგან თანხის აღებას – ეს საკითხი ისედაც ნათელია. შესაბამისად, მხედველობაში არ უნდა მივიღოთ პეტრეს ჩვენება იმის შესახებ, რომ იგი თავდაპირველად მართლაც აპირებდა

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, მაგრამ მოულოდნელი ფინანსური პრობლემის გამო გაკოტრდა და ვერ შეძლო მისი შესრულება.

3. ფულის ხსენად აღების შემთხვევა

მაგალითი: პეტრემ, ერთი წლის ვადით, ვასოსაგან 10 000 აშშ დოლარი ისესხა იმ მოტივით, რომ ყიდულობდა ახალ ბინას და თანხა აკლდებოდა. დათქმული დროის დადგომის შემდეგ, მან რამდენჯერმე ითხოვა ვალის გადაადგება, ხოლო ბოლოს, კონტაქტი გაწყვიტა ვასოსთან და ემაღლებოდა მას. კერძოდ, გამოიცვალა ტელეფონის ნომერი და საცხოვრებლად სხვაგან გადავიდა.

დადგინდა, რომ პეტრეს არც ჰქონია გადაწყვეტილი ბინის ყიდვა და არც შეუძენია იგი. თურმე მან ამ ფულით ბანკის ვალი გაისტუმრა, რადგან იპოთეკით დატვირთული ჰქონია ბინა და თუ ვალს არ გადაიხდიდა, ბინას დაკარგავდა.

ასევე დამტკიცდა, რომ მას და მის ოჯახს არ ჰქონია არავითარი შემოსავალი, რაც მას მისცემდა იმისი ვარაუდის საშუალებას, რომ ერთ წელიწადში (ან თუნდაც რამდენიმე წელიწადში) გადაიხდიდა ამ ვალს. მას ასეთი საშუალება რომ ჰქონოდა, საკუთარი თანხით გადაიხდიდა ბანკის ვალს და ბინის დაკარგვის საფრთხე არ შეექმნებოდა.

სახეზეა თაღლითობა, რადგან პეტრემ ფულის მისაღებად იცრუა (დამალა ბანკის ვალის ფაქტი და მოიგონა ბინის შეძენა. ასევე დამალა, რომ მის ოჯახს არ აქვს შემოსავალი) და შეცდომაში შეიყვანა ვასო. მას, ვასოსთვის საქმის ნამდვილი არსი რომ გაემხილა, ვასო მას ფულს არ ასესხებდა. ასევე, პეტრემ იცოდა, რომ ვერ შეძლებდა ფულის დაბრუნებას.

4. გაყიდული ნივთის ხელშეკრულებით გაყიდვის შემთხვევა

დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში აღიარებულია, რომ უკვე გაყიდული ნივთის ხელშეკრულებით გაყიდვა თაღლითობაა.

მაგალითად, პეტრემ გაყიდა თავისი ავტომობილი და შესაბამისი თანხაც მიიღო მყიდველისაგან. სანამ მყიდველი ავტომობილს წაიყვანდა და ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდებოდა, პეტრემ სხვა პირზე გაყიდა ეს ავტომობილი და ნასყიდობაც გააფორმა. ამის შემდეგ, პეტრე პირველ მყიდველს დაემალა.

სახეზეა თაღლითობა. რაც შეეხება საკითხს, თუ ვინაა დაზარალებული ამ ორი მყიდველიდან, გადაწყდება შემდეგნაირად:

ა) თუკი მანქანის მეორედ მყიდველი არის კეთილსინდისიერი შემძენი, ნასყიდი ა/მანქანა დარჩება მას. ხოლო, დაზარალებულად ჩაითვლება მანქანის პირველი მყიდველი, რომელმაც სამოქალაქო წესით უნდა მოსთხოვოს მანქანის გამყიდველს გადახდილი თანხის უკან დაბრუნება, რა თქმა უნდა, მას ასევე აქვს უფლება, მოითხოვოს მატერიალური კომპენსაცია მიყენებული მორალური ზიანისათვის.

ბ) თუკი მანქანის მეორე მყიდველი სხვადასხვა გარემოების გამო აღმოჩნდება არაკეთილსინდისიერი შემძენი, მაშინ მანქანა გადაეცემა პირველ მყიდველს,

ხოლო, თაღლითობაში დაზარალებული იქნება მანქანის მეორე მყიდველი, რომელსაც შეუძლია სამოქალაქო წესით მანქანის გამყიდველს გადახდილი თანხის უკან დაბრუნება მოსთხოვოს.

თუმცა, აქ დგას საკითხი: რას ნიშნავს გაყიდული ნივთის მეორედ გაყიდვა? როდის ჩაითვლება ნივთი გაყიდულად?

ამ საკითხის გადაწყვეტისათვის ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს:

ა) ნივთი, რომლის ნასყიდობისათვის არაა საჭირო შეძენილი ნივთის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, ან მისი გადაფორმება ოფიციალური ორგანოს მეშვეობით, არამედ, საკმარისია მხარეებს შორის ანგარიშსწორება და ნივთის ფაქტობრივი გადაცემა მყიდველზე.

ბ) ნივთი (მაგალითად, მიწის ნაკვეთი), რომელიც შეძენილად ითვლება მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან (ანდა ავტომობილი, რომელიც გაყიდულად ითვლება ნასყიდობის ხელშეკრულების სათანადო ორგანოში გაფორმების მომენტიდან). შესაბამისად, ნივთის ღირებულების გადახდა და მისი

ფაქტობრივი გადასვლა შემძენის ხელში არაა საკმარისი იმისათვის, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება იურიდიულად დადებულიად ჩაითვალოს, თუნდაც ფაქტობრივი შემძენი უკვე ფლობდეს მას და სარგებლობდეს ნივთით.

გაყიდული ნივთის მეორედ გაყიდვის შემთხვევა პრაქტიკაში უფრო გავრცელებულია ამ უკანასკნელ შემთხვევაში და შესაბამისად, ამ შემთხვევაში ეს საკითხი მეტად პრობლემურია.

შესაბამისი მაგალითი:

სოფლად მცხოვრებმა პეტრემ საცხოვრებელი სახლი, მიწის პატარა ნაკვეთით, მიჰყიდა ვასოს. ვასომ გადაუხადა მას შესაბამისი თანხა და ამ სახლში დაიწყო ცხოვრება.

ვასოს მოთხოვნით, პეტრეს ევალეობდა გაყიდულ სახლში არსებული ნივთების მთლიანად გატანა ან თვის განმავლობაში. ამასთანავე ვასომ სახლის შეძენისთანავე მას გაუკეთა კაპიტალური რემონტი.

დრო გადიოდა და ვასომ სახლის ნასყიდობის ფაქტი ვერ დაარეგისტრირა სა-



ჯარო რეესტრში, რისი მიზნებიც იყო ის, რომ მას პირადი საბუთები წესრიგში არ ჰქონდა.

სახლის ფაქტობრივი გაყიდვიდან 5 თვის შემდეგ, ვასოსთან მივიდა ვინმე დავითი (სახლის თავდაპირველ მესაკუთრე პეტრეს თანხლებით) და აუწყა, რომ ერთი კვირის წინ ეს სახლი მან შეიძინა პეტრესგან და ნასყიდობის რეგისტრაციაც უკვე განახორციელა საჯარო რეესტრში. დავითმა შესაბამისი დოკუმენტი წარუდგინა ვასოს და მოსთხოვა სახლის დაცლა.

პეტრემ კი თავის მხრივ უთხრა ვასოს, რომ უკან უბრუნებდა იმ თანხას, რაც მას ამ სახლში ჰქონდა გადახდილი.

ვასოს შეკითხვაზე, თუ რატომ გაყიდა პეტრემ სახლი ხელმოკრულად, მან უპასუხა, რომ ახალი მყიდველი მას უკეთეს პირობებს სთავაზობდა. კერძოდ, ნივთების გატანას 2 წლის განმავლობაში აცლიდა.

ვასომ უარი განაცხადა სახლის დაბრუნებაზე და ფულის მიღებაზე, რადგან მან სახლს გაუკეთა რემონტი, რითაც დამატებითი ხარჯი გასწია (7 000 აშშ დოლარი) და მოითხოვა ამ ხარჯის ანაზღაურებაც, რაზეც როგორც დავითმა, ისე პეტრემ უარით უპასუხეს.

საკითხავია: თუ შეიძლება პეტრეს ქმედების კვალიფიკაცია თაღლითობით?

ამ ქმედებაში თაღლითობის ნიშნები არაა ბინის გაყიდვის არც პირველ და არც მეორე შემთხვევაში. შესაბამისად, თაღლითობის მსხვერპლი არაა სახეზე არც პირველ და არც მეორე ეპიზოდში.

დავიწყეთ იმ საკითხის განხილვით, თუ რატომ არაა ვასო თაღლითობის მსხვერპლი:

ა) როცა პეტრემ პირველად გაყიდა ბინა, მან ვასოსგან აიღო შეთანხმებული თანხა და დაუთმო სახლი მას.

ბ) ის ფაქტი, რომ ვასომ ვერ შეძლო ფაქტობრივად ნაყიდი სახლის გადაფორმება თავის სახელზე, პეტრეს ბრა-

ლით არ იყო გამოწვეული. პეტრეს არ შეიძლება წინასწარ სცოდნოდა, რომ ვასო ნაყიდი სახლის გადაფორმებას გააჭიანურებდა. ამდენად, შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ მან თავიდანვე მოატყუა ვასო.

საქმე ისაა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების დადებამდე პეტრეს დაპირება არ დაუმალავს ინფორმაცია სახლის ფაქტობრივად გასხვისების შესახებ. რაც მთავარია, სახლის იურიდიული მესაკუთრე კვლავ პეტრე იყო. ამიტომაც დავითმა უპრობლემოდ შეძლო სახლის მის სახელზე რეგისტრაცია და ამდენად, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს მოტყუებულად.

გ) შესაბამისად, მივიღეთ სიტუაცია, რომლის მიხედვით პეტრეს სახლი იურიდიულად არ გაყიდულა – მისი იურიდიული მესაკუთრე კვლავ პეტრე იყო.

დ) პეტრეს მიერ ფაქტობრივად გაყიდული სახლის სხვა პირზე გაყიდვისას, მისი მიზანი არ ყოფილა ორმაგი გამორჩენის ნახვა ერთი სახლის ორჯერ გაყიდვით – საქმის მასალებით დადგენილია, რომ პეტრემ ვასოს შესთავაზა გადახდილი ფულის უკან დაბრუნება, თუმცა ვასომ არ მიიღო ეს შეთავაზება.

ე) საქმის მასალებით არც ისაა დადგენილი, რომ პეტრემ სახლი მეორედ უფრო მეტ ფასში გაყიდა, რაც მას შეეძლო, რადგან მისი კაპიტალურად შეკეთების შემდეგ, სახლის ფასი რეალურად გაზრდილი იყო (თუმცა, ასეთი ფაქტი დადგენილიც რომ იყოს, ის ქმედების თაღლითობით კვალიფიკაციისათვის მაინც არ გამოდგება, რადგან თაღლითობისას მოტყუება წინ უნდა უძღოდეს სხვისი ნივთის დაუფლებას).

ვ) საბოლოოდ გამოვიდა, რომ პეტრეს სახლი იურიდიულად არ იყო გაყიდული და ამდენად, ადგილი არა აქვს გაყიდული ნივთის ხელმოკრულად გაყიდვას – პეტრემ გაყიდა მის საკუთრებაში არსებული სახლი და მზად იყო უკან დაებრუნებინა ვასოსთვის გადახდილი თანხა.

ზ) რაც შეეხება იმ მატერიალურ დანახარჯს, რაც ვასომ გასწია სახლის შეკეთებაში, მისი დაბრუნება ვასოს უნდა მოეთხოვა სამოქალაქო წესით.

რატომ არაა თაღლითობის მსხვერპლი სახლის მეორედ შემძენი – დავითი?

საქმე ისაა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების დადებამდე პეტრეს დავითისათვის არ დაუმალავს ინფორმაცია სახლის ფაქტობრივად გასხვისების შესახებ. რაც მთავარია, სახლის იურიდიული მესაკუთრე კვლავ პეტრე იყო. ამიტომაც დავითმა უპრობლემოდ შეძლო სახლის მის სახელზე რეგისტრაცია და ამდენად, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს მოტყუებულად.

პეტრეს მხრიდან ტყუილს, არც შემდეგ ჰქონია ადგილი (სახლის ფაქტობრივი გაყიდვის შემდეგ), ამ დასკვნის საფუძველს იძლევა შემდეგი ფაქტი: სახლის შეკეთება ვასომ ისე განახორციელა, რომ ამაზე პეტრესგან თანხმობა არ მიუღია არც მას შემდეგ, რაც ფაქტობრივად შეიძინა იგი. უფრო მეტიც, არც კი შეატყობინა პეტრეს, რომ აპირებდა სახლის შეკეთებას, რომელიც ჯერ კიდევ პეტრეს საკუთრებაში ითვლებოდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მან საკუთარ თავზე აიღო რემონტთან დაკავშირებული ხარჯებიც და მისგან გამომდინარე შედეგებიც.

ვასოს, პეტრესთან შეთანხმებით რომ გაეკეთებინა სახლის რემონტი, (რამაც რამდენადმე გაზარდა მისი ღირებულება), მაშინ პეტრეს მიერ, ვასოს თანხმობის გარეშე, ამ სახლის სხვა პირზე გაყიდვა, ხოლო შემდეგ კი რემონტში გაწეული ხარჯის დაბრუნებაზე უარის თქმა ნამდვილად მოგვეცმდა სსკ 185-ე მუხლის შემადგენლობას. ამ შემთხვევაში, ყველა საფუძველი იქნებოდა იმის სამტკიცებლად, რომ პეტრეს თანხმობა სახლის რემონტზე ემსა-

ხურებოდა ვასოს მოტყუებას. კერძოდ, იგი მიმართული იყო ამ სახლის სხვა პირზე უფრო ადვილად გაყიდვისა და ვასოსათვის ქონებრივი ზიანის მიყენებისკენ. ანუ ამ შემთხვევაში სახეზე იქნებოდა მოტყუება.

საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ პეტრეს ქმედებაში არაა დანაშაულის ნიშნები და სახეზეა მხოლოდ სამოქალაქო სამართალდარღვევა.

ამდენად, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ფაქტობრივად და იურიდიულად გაყიდული ნივთის მეორედ გაყიდვის შემთხვევა.

იურიდიულად გაყიდული ნივთის გაყიდვა სხვა პირზე თაღლითობაა, სადაც სადავოა მხოლოდ პირის დაზარალებულად ცნობის საკითხი. თუ ვინ ჩაითვალოს დაზარალებულად, ეს საკითხი უნდა გადაწყდეს იმის მიხედვით, იყო თუ არა ნივთის მეორედ მყიდველი კეთილსინდისიერი შემძენი.

რაც შეეხება ფაქტობრივად გაყიდული ნივთის გაყიდვას სხვა პირზე, საკითხს უნდა მივუდგეთ დიფერენცირებულად.

კერძოდ, იმ შემთხვევაში, როცა ნივთის მეორედ გაყიდვის შემდეგ, მის თავდაპირველ მყიდველს სთავაზობენ ნივთის შექენისას დაზარალებული ფულის უკან დაბრუნებას, ქმედება თაღლითობად ვერ დაკვალიფიცირდება, რადგან სახეზე არაა მოტყუება, რაც წინ უძღოდა ქმედებას. ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციის საკითხი მაშინ შეიძლება დაისვას, თუკი თავდაპირველ მყიდველს შესაკუთრე არ უბრუნებს ფაქტობრივი შექენისას გადახდილ თანხას.

5. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

მხარეებს შორის სათანადო წესით ხელშეკრულების დადება, უფრო მეტიც, მიღებული თანხის ნაწილის ნებაყოფლობით დაბრუნებაც არ გამოირიცხავს ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციას, თუკი ყველაფერი ეს ემსახურება პირისადმი ნდობის მოპოვებას და ამ გზით მის მოტყუებას.

ხოლო, უკეთეს ვერ დამტკიცდება, რომ მოტყუება წინ უძღოდა ქონების დაუფლებას, მაშინ, სახეზეა მხოლოდ სამოქალაქო სამართალდარღვევა.

მაგალითი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2004 წლის 28 სექტემბერს განიხილა საკასაციო საჩივარი თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განაჩენზე, რითაც თითობაძე ცნობილ იქნა დამნაშავედ თაღლითობაში.¹

საქმის მასალებით დადგინდა შემდეგი: თითობაძე 1995 წლის დეკემბერში ჩავიდა გერმანიაში, სადაც გაიცნო ერთ-ერთი გერმანული კომპანიის პრეზიდენტი კინტერაია. მას წარუდგა როგორც ევროპაში ცნობილი, წარმატებული ბიზნესმენი, ბრიტანეთის კუნძულ მენზე რეგისტრირებული ერთ-ერთი შპს-ს პრეზიდენტი და განუცხადა, რომ მიზნად ისახავდა საქართველოს ეკონომიკის აღორძინებას.

მანვე იმავე დღეს ამ გერმანულ კომპანიასთან გააფორმა კორპორაციული გარანტია იმის შესახებ, რომ აღნიშნული კომპანიისგან უპროცენტო კრედიტის მიღების შემთხვევაში, თანხებს გამოიყენებდა საქართველოში განხორციელებული სხვადასხვა კონკრეტული პროექტების („ენერჯია - 1“, „ენერჯია - 2“ და სხვ.) ინვესტირებისათვის.

კინტერაია ენდო მას და 200 000 აშშ დოლარი გადარიცხა ქართულ ბანკში თითობაძის შპს-ს ანგარიშზე, ხოლო 305 000 აშშ დოლარი გადაურიცხა ლიხტენშტეინში ამავე კომპანიის ანგარიშზე (სულ გადარიცხა 505 000 აშშ დოლარი).

თითობაძე განაგრძობდა კინტერაიას მოტყუებას და იმისათვის, რომ მას ეჭვი არ შეპარვოდა მის კრედიტუნარიანობაში, გადარიცხული თანხიდან რამდენიმე თვის შემდეგ 10 000 აშშ დოლარი დაუბრუნა კრედიტორს. თანხის დანარჩენი ნაწილი კი მიისაკუთრა.

ამის შემდეგ, თითობაძემ ჯერ თბილისში, შემდეგ ზუგდიდში, ამავე გზით, კიდევ

მოატყუა არაერთი პირი (როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი) და საქართველოს ეკონომიკის ასაღორძინებლად, თითოეულისგან, კრედიტის სახით მიიღო სოლიდური თანხა. ამასთან, ყველა მათგანთან (სულ 17 ეპიზოდი) დადებული იყო სათანადო წესით გაფორმებული ხელშეკრულება. ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას იგი არ ასრულებდა და თანხას ისაკუთრებდა.

საკასაციო პალატამ ძალაში დატოვა საოლქო სასამართლოს განაჩენი და დადასტურებულად ცნო თაღლითობის ჩადენა.

რაც შეეხება ფაქტობრივად გაყიდული ნივთის გაყიდვას სხვა პირზე, საკითხს უნდა მივუდგეთ დიფერენცირებულად.

საკასაციო პალატის ეს გადაწყვეტილება კანონიერია, რადგან ის ფაქტი, რომ მსჯავრდებული ყველა პირთან აფორმებდა სათანადო ხელშეკრულებას, სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მას არ ჰქონდა მათი მოტყუების განზრახვა. ხელშეკრულების დადება ემსახურებოდა ფიზიკურ პირებთან ნდობაში შესვლას.

რაც შეეხება იურიდიულ პირებს, მათთან ხელშეკრულების დადება აუცილებელი წინაპირობა იყო არა მხოლოდ მათი მოტყუებისათვის, არამედ ბანკში მის ანგარიშზე თანხის გადარიცხვისათვის და ეს მან კარგად იცოდა.

რაც შეეხება გერმანელი ბიზნესმენის მიერ გადარიცხული თანხის ნაწილის (10 000 აშშ დოლარი) უკან დაბრუნებას გადარიცხვიდან რამდენიმე თვის შემდეგ, იგი ემსახურებოდა ნდობის მოპოვების მიზანს, რათა მის მიმართ არ გაჩენილიყო ეჭვი და წარმატებით გაეგრძელებინა მოტყუება. მით უმეტეს, 505 000 აშშ დოლარიდან 10 000 აშშ დოლარი არ იყო თითობაძისთვის „დიდი დანაკარგი“.



როგორც ვხედავთ, არა თუ ფიზიკურ პირებს შორის შინაურულად დადებული ხელშეკრულება, არამედ იურიდიულ პირებს შორის სათანადო წესით დადებული ხელშეკრულებაც არ გამოირიცხავს ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციას.

მეორე მაგალითი (თაღლითობისა და მითვისების, თაღლითობისა და სსკ 185-ე მუხლის გამიჯვნა):

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2009 წლის 21 იანვარს განიხილა თაღლითობაში მსჯავრდებულ შ. ბ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 13 ივნისის განაჩენზე.²

სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოება:

მსჯავრდებული შ. ბ-მე 2004 წლიდან მუშაობდა სს „პროკრედიტ ბანკის“ ცენტრალური ფილიალის მარნეულის განყოფილებაში აგროსესხების მიმართულებით საკრედიტო ექსპერტად და სამსახურებრივად ემორჩილებოდა უფროს საკრედიტო ექსპერტ გ. მ-მეს, რომელსაც თავის მხრივ ევალებოდა, ორგანიზება გაეკეთებინა და სხვა ექსპერტებთან ერთად ყველა შესაძლო ღონისძიება გაეტარებინა ვადაგადაცილებული და პრობლემური სესხების ამოსაღებად.

პრობლემის შემთხვევაში კი ეცნობებინა ბანკის ფილიალის მმართველისა და საკრედიტო მენეჯერისათვის.

2005 წელს ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილის ბრძანების შესაბამისად, დადგინდა ინსტრუქცია, რომლის თანახმადაც ფულის მიღება ბანკის კლიენტებისგან შეიძლებოდა განხორციელებულიყო ხელზე, თუ სახეზე იყო სხვადასხვა არაორდინალური შემთხვევა: ა) თუ მსესხებელი ვერ ახერხებდა ბანკში მოსვლას ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო; ბ) თუ მსესხებელი გამოცხადებულა ბანკში დავვიანებით (სალაროს დახურვის შემდეგ); ასევე ინსტრუქციაში მითითებულ სხვა შემთხვევაში.

ამ დროს მსესხებლისგან ნაღდი ფულის მიღება უნდა მომხდარიყო მიღება-ჩაბარების აქტით, რაც უნდა შემდგარიყო სამეგზემპლარად. შევსებული და ხელმოწერილი აქტის ერთი ეგზემპლარი უნდა ჩაბარებოდა მსესხებელს, მეორე უნდა ჩაკერებულიყო მსესხებლის საკრედიტო ფაილში, ხოლო მესამე უნდა გადასცემოდა ოპერაციონისტს, რის საფუძველზეც იგი შეძლებდა მიღებული თანხის შეტანის რეგისტრაციას. მიღებული თანხის შეტანა მსესხებლის ანგარიშზე უნდა განხორციელებულიყო არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა.

გ. მ-მე და შ. ბ-მე ბოროტად გამოიყენეს რა მათზე მინიჭებული უფლებამოსი-

ლება, სულ 125 მსესხებლისგან ამოღებული 329 187 ლარიდან და 20 301 აშშ დოლარიდან შესაბამის ანგარიშზე არ შეიტანეს და მისაკუთრეს 318 717 ლარი და 20 063 აშშ დოლარი.

ისინი მსესხებლისაგან იღებდნენ თანხას, ავსებდნენ აქტის მხოლოდ ერთ ეგზემპლარს და აძლევდნენ მას მსესხებელს, ხოლო თანხის უდიდეს ნაწილს ისაკუთრებდნენ. ანგარიშზე, ან მხოლოდ მისი მიზერული ნაწილი შეჰქონდათ, ან საერთოდ არ შეჰქონდათ.

მათი ქმედება როგორც გამოძიების ეტაპზე, ისე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაკვალიფიცირდა თაღლითობად, რაც ჩადენილია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით.

ამ კვალიფიკაციას არ დაეთანხმა როგორც სააპელაციო, ისე საკასაციო ინსტანცია, რაც აღინიშნა მათ მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაში, რადგან სახეზე მითვისება. თუმცა იქვე აღინიშნა, რომ ვინაიდან სსკ 182-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული უფრო მძიმე კატეგორიის დანაშაულს წარმოადგენს, ქმედების კვალიფიკაცია უცვლელად დარჩება.³

საკითხავია, რომელი მოსაზრებაა სწორი – ჩადენილია თაღლითობა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, თუ

სსკ 185-ე მუხლით ბათვალისნიმუბული დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება იმაში, რომ დამნაშავე მესაკუთრის მდობას იყენებს გოროტად, ატყუებს და ამით მას ქონებრივად აზიანებს.

მითვისება, ჩადენილი იგივე დამამძიმებელ გარემოებაში?

სწორია სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის აზრი, რომ სახეზეა მითვისება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, შ. ხ-მ ბანკის მსესხებლებსაგან იღებდა რა შესაბამის თანხას, სათანადო წესით აესებდა ხელმოწერილ და ბეჭედდასმული აქტის ერთ ვგემპლარს, რომელსაც აძლევდა მსესხებელს.

ამ მომენტიდან შ. ხ-ის ხელში გადასული თანხა იურიდიულად ითვლება მის მართლობრივი მფლობელობაში არსებულად, რადგან მან მოქალაქისგან თანხა მიიღო შესაბამისი ინსტრუქციის საფუძველზე შედგენილი აქტით. ხოლო, ეს აქტი ჩააბარა მოქალაქეს მისი მიღების დასტურად (სხვა საკითხია, რამდენი ვგემპლარი შეადგინა). ის ფაქტი, რომ იგი მხოლოდ ერთ ვგემპლარს ადგენდა, მიღებული თანხის ფლობის მართლობრივებას არ გამოიციხავს, რადგან თანხის კანონიერად მიღების დამადასტურებელი ერთი დოკუმენტი სახეზეა. იგი დანარჩენ ორ აქტს არ აესებდა იმიტომ, რომ ადვილად დაეფარა თანხის მისაკუთრების ფაქტი.

რადგან ეს თანხა უკვე მის მართლობრივ მფლობელობაშია (თუმცა, რა თქმა უნდა, არა საკუთრებაში), მისი მისაკუთრება გვაძლევს არა თაღლითობის, არამედ მითვისების შემადგენლობას.

აქვე კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ მითვისება არ გამოიციხავს მოტყუების გარკვეული ელემენტების არსებობას,

როგორც ამას ადგილი ჰქონდა მოცემულ შემთხვევაში. კერძოდ, შ. ხ-მ ადგენდა მხოლოდ ერთ აქტს, უმაღლავდა ბანკის ხელმძღვანელობას, რომ კლიენტებისგან აღებული ჰქონდა თანხა და მხოლოდ მისი მიზერული ნაწილი შექონდა მათ ანგარიშზე, დიდ ნაწილს კი ითვისებდა.

მთავარი აქ ისაა, რომ შესაბამისი აქტის გამოწერის საფუძველზე მიღებული თანხა იმყოფებოდა მის მართლობრივ მფლობელობაში, როგორც ბანკის წარმომადგენლისა.

საკითხავია: ხომ არაა სახეზე ქონებრივი დაზიანება მოტყუებით – სსკ 185-ე მუხლი?

მსჯავრდებულის ადვოკატმა მოითხოვა ამ საქმის სსკ 185-ე მუხლზე გადაკვალიფიცირება, რაც შემდგინარად დაასაბუთა:

სსკ 185-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება იმაში, რომ დამნაშავე მესაკუთრის ნდობას იყენებს ბოროტად, ატყუებს და ამით მას ქონებრივად აზიანებს. თუ თაღლითობისა და დაუფლების ნებისმიერი ფორმისას დამნაშავე პირდაპირ იღებს მესაკუთრის ან ქონებრივი მფლობელისგან ქონების უშუალო ნაწილს, აქ მდგომარეობა სხვაგვარადაა. კერძოდ, შრომითი ხელშეკრულების დადების შემდეგ უჩნდება დამნაშავეს სურვილი, ქონების მეპატრონეს დააკლოს კუთვნილი თანხა.⁴

განსახილველი შემთხვევა ერთი შეხედვით მართლაც ჰგავს სსკ 185-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს – ქონებრივი დაზიანება მოტყუებით – მსჯავრდებულმა ბანკში არ გადარიცხა შესაბამისი თანხა, თუმცა ბანკის ფონდებიდან არაფერი ამოუღია, არ შეუმცირებია მისი ფულადი ფონდები.

ამის მიუხედავად, სახეზე არაა ქონებრივი დაზიანება მოტყუებით.

რატომ?

ამ დანაშაულისთვის სხვა ნიშნებთან ერთად, დამახასიათებელია კიდევ ერთი თავისებურება – თუ დამნაშავე ფაქტზე

არ იქნა მხილებული, შემდეგში მის მიერ გაცემული რაიმე სახის დოკუმენტი (აქ არ იგულისხმება ამოღებული ვიდეო-მასალა), რითაც დადასტურდება მის მიერ შემოსავლის მიღება და მისაკუთრება, არ არსებობს. ამდენად, საქმის გახსნა ძირითადად მოწმეთა ჩვენებაზეა დამყარებული, რაც აძნელებს მტკიცების პროცესს.

მაგალითად, არაა გაცემული ბილეთები, რაც ადასტურებს შესაბამისი თანხის მიღებას. არაა გაცემული ქვითარი, ან აქტი, რითაც დასტურდება თანხისა, თუ სხვა სახის ქონების გადასვლა დამნაშავეს ხელში. ანდა დამნაშავე სხვაგვარად აზარალებს პირს (მაგ. არ იხდის ტაქსის მომსახურების საფასურს) და სხვ.

მოცემულ შემთხვევაში კი მსჯავრდებულის მიერ გაცემული იყო სათანადო წესით შედგენილი აქტი, რაც ადასტურებდა მის მიერ მოქალაქეებისგან შესაბამისი თანხის მიღებას. ეს კი, როგორც აღინიშნა, იმას ნიშნავს, რომ ეს თანხა უკვე მის მართლობრივ მფლობელობაში იყო, როგორც ბანკის წარმომადგენლისა. შესაბამისად, ეს თანხა იურიდიულად (თუმცა არა ფაქტობრივად) უკვე ბანკის ფონდებში რიცხულად ითვლება, რადგან იგი ბანკის წარმომადგენლის ხელში აღმოჩნდა თავად ამ ბანკის ნებართვითა და შესაბამისი ნორმატიული აქტის საფუძველზე.

როცა პირი ისაკუთრებს სხვის მიერ მის (ამ შემთხვევაში ბანკის მიერ) მართლობრივ მფლობელობაში გადაცემულ ქონებას, სახეზეა მითვისება.

სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება გამოიხატა იმაში, რომ მან ნაცვლად სამისა, შეადგინა ერთი აქტი, ასევე არ გადარიცხა თანხა შესაბამის ანგარიშზე და მისაკუთრა იგი.

1 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ნიხლოსის სამართლის საქმეებზე, 2004 წლის № 9, საქმის №91-კოლ

2 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ნიხლოსის სამართლის საქმეებზე, 2009 წ. № 9, საქმე № 1034-აპ

3 იხ. დასახ. გადაწყვეტილება, გვ. 56.

4 იხ. დასახ. გადაწყვეტილება, გვ. 54.



ფიზიკურ პირთა გადასახადები საქართველოში

ავტორი: ზვიად როგავა
სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი

საქართველოში ფიზიკურ პირთა გადასახადებს განეკუთვნება საშემოსავლო და ქონების გადასახადები. საშემოსავლო გადასახადი – საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადია, რომლის გადახდაც სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი საშემოსავლო გადასახადის გადამხდელად ორი კატეგორიის ფიზიკურ პირს გამოჰყოფს:

► რეზიდენტი ფიზიკური პირი;

► არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან.

გადასახადის გადამხდელის საგადასახადო სტატუსზე დამოკიდებული დაბეგვრის ობიექტის შერჩევა. ასაკი, შერაცხადობა, მოქალაქეობა და სხვა პიროვნული მახასიათებლები ზეგავლენას არ ახდენენ ფიზიკური პირის გადასახადის გადამხდელის სტატუსზე.

გადასახადის გადამხდელთა ამგვარი განსაზღვრა საშემოსავლო გადასახადის კლასიკური მოდელისთვის ტრადიციულია. ამასთან, საგადასახადო რეზიდენტობის კრიტერიუმით გადასახადის გადამხდელთა ორ კატეგორიად გამიჯვნა ემსახურება საგადასახადო ვალდებულების მოცუ-

ლობის განსაზღვრას, შემოსავლის მიღების წყაროს ადგილიდან გამომდინარე. საგადასახადო კოდექსი ამ ორი კატეგორიის გადასახადის გადამხდელთა განსხვავებულად ადგენს დაბეგვრის ობიექტის განსაზღვრის წესს.

გადასახადის გადამხდელის საგადასახადო სტატუსიდან გამომდინარე რეზიდენტი ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის. ამრიგად, დასაბეგრი შემოსავალი არის გადასახადის გადამხდელის კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავალი, შემცირებული გამოქვითვების თანხებით: $TI = GI - D$, სადაც TI – გადასახადის გადამხდელის დასაბეგრი შემოსავალია, GI – ერთობლივი შემოსავალი, ხოლო D -გამოქვითვები ანუ ხარჯები.

საქართველოში არსებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით საქმიანობის განმახორციელებელი არარეზიდენტი ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც



სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მუდმივ დაწესებულებასთან დაკავშირებულ, საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის. ამასთან, არარეზიდენტი ფიზიკური პირის ერთობლივი შემოსავალი, რომელიც დაკავშირებული არ არის საქართველოში მის მუდმივ დაწესებულებასთან, დაიბეგრება გადახდის წყაროსთან გამოქვითვების გარეშე.



რეზიდენტის ერთობლივი შემოსავალი შედგება საქართველოში არსებული წყაროდან და საქართველოს ფარგლების გარეთ მიღებული შემოსავლებისაგან. არარეზიდენტის ერთობლივი შემოსავალი შედგება საქართველოში არსებული წყაროებიდან მიღებული შემოსავლებისაგან.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი გამოყოფს სამი სახის შემოსავალს. ერთობლივ შემოსავალს განეკუთვნება ნებისმიერი ფორმით ან/და საქ-

მიანობით მიღებული შემოსავალი, კერძოდ, ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავალი, ასევე სხვა შემოსავალი, რომლებიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან და ეკონომიკურ საქმიანობასთან.

ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლებს განეკუთვნება ფიზიკური პირის მიერ დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული ნებისმიერი საზღაუ-

რი ან სარგებელი, მათ შორის, წინა სამუშაო ადგილიდან პენსიის ან სხვა სახით მიღებული შემოსავალი, ან შემოსავალი მომავალი სამუშაო ადგილიდან.

ხელფასის სახით შემოსავლები პირმა შესაძლებელია მიიღოს ფულადი ფორმით, ნატურალური ფორმით ან სარგებლის სახით.

ფიზიკურმა პირმა შემოსავალი შესაძლებელია მიიღოს ნაღდი ფულადი

სახსრების სახით უშუალოდ საწარმოს სალაროდან, შესაძლებელია ჩაირიცხოს მის ან მისი მოთხოვნით მესამე პირების საბანკო ანგარიშზე. თუ შემოსავალი მიღებულია უცხოურ ვალუტაში, გადასახადით დაბეგვრის მიზნებისათვის გადაიანგარიშება ლარებში შემოსავლის ფაქტობრივად მიღების მომენტისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით.

იმ შემთხვევაში, თუ ფიზიკური პირი საგადასახადო წლის განმავლობაში ნატურალური ფორმით იღებს შემოსავალს, ასეთი შემოსავალი ერთობლივი შემოსავლის შემადგენლობაში უნდა აღირიცხოს შემოსავლის მიღების თარიღისათვის არსებული საბაზრო ფასით.

ხელფასის სახით მიღებულ შემოსავალში შესატანი სარგებლის ღირებულებად ითვლება თანხა, რომელიც მიღებულია დაქირავებულის მიერ, მის მიერ მიღებული სარგებლისათვის გადახდილი თანხის გამოკლებით.

ხელფასის სახით მიღებულ შემოსავალში არ შედის დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული ნორმის ფარგლებში, წარმომადგენლობითი ხარჯების ანაზღაურება და სხვა.

ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ შემოსავლებს განეკუთვნება, მაგალითად: საქონლის/მომსახურების მიწოდებით მიღებული შემოსავლები, აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი, ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვის ან/და საწარმოს დახურვის შედეგად მიღებული შემოსავლები, პროცენტების სახით მიღებული შემოსავლები, გარდა ფიზიკური პირის მიერ ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში დეპოზიტებსა და ანაზღაურებულ ფულადი სახსრების განთავსებიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავლი-

სა, დივიდენდი, როიალტი, ლიზინგით, უზუფრუქტით, იჯარით, ქირით ან სხვა ამგვარი ფორმით გაცემული ქონებიდან მიღებული შემოსავლები და სხვა ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავალი.

საქონლის/მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდებისას ერთობლივ შემოსავალში ასახვას ექვემდებარება ამ საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასი. ეს არ ეხება იმ სარეკლამო საქონლის უსასყიდლოდ გავრცელებას, მათ შორის, საცალო რეალიზატორის მეშვეობით, რომელსაც დამოუ-

**გადასახადის
გადამხდელის საგადა-
სახადო სტატუსზე
დამოკიდებული
დაბეგვრის ობიექტის
შერჩევა. ასაკი,
შერაცხადობა,
მოქალაქეობა და სხვა
პიროვნული
მახასიათებლები გეგავ-
ლნას არ ახდენენ
ფიზიკური პირის
გადასახადის
გადამხდელის სტატუსზე.**

კიდებელი სამომხმარებლო მახასიათებლები არ გააჩნია და ძირითადი საქონლის/მომსახურების მიწოდების განუყოფელი ნაწილია.

შემოსავლებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული დაქირავებით მუშაობასთან და ეკონომიკურ საქმიანობასთან, განეკუთვნება ნებისმიერი შემოსავალი ან სარგებელი. ასეთ შემოსავლებს, მაგალითად, განეკუთვნება მემკვიდრეობითა და ჩუქებით მიღებული შემოსავლები, ლატარიებიდან, კაზინოებიდან (სამორინეებიდან), აზარტული ან სხვა მოგვებიანი თამაშობებიდან მიღებული შემოსავლები და ა.შ.



გამოქვითვები – არის გადასახადის გადამხდელის მიერ მოგების, შემოსავლის, კომპენსაციის მისაღებად მიმართული საქმიანობის განსახორციელებლად გაწეული დოკუმენტურად დადასტურებული ხარჯები.

დოკუმენტურად დადასტურებული ხარჯებში იგულისხმება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებული პირველადი საგადასახადო დოკუმენტებით დადასტურებული ხარჯები.

ამრიგად, ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება დოკუმენტურად დადასტურებული ყველა ის ხარჯი,



რომელიც დაკავშირებულია მის მიღლებასთან. მაგალითად, ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება ნედლეულის, მასალების, ინვენტარის, საწვავის და ა.შ. შექენასთან დაკავშირებული ხარჯები, საამორტიზაციო ანარიცხების თანხები, შრომის ანაზღაურების ხარჯები, ძირითად საშუალებათა რემონტის ხარჯები, გეოლოგიური კვლევებისა და ბუნებრივი რესურსების მოპოვების მოსამზადებელი მომსახურების ხარჯები, სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საცდელ-საკონსტრუქტორო მომსახურების ხარჯები, იჯარით აღებულ ძირითად საშუალებათა რემონტის ხარჯები, კრედიტისათვის

(სესხისათვის) გადახდილი ან/და გადასახდელი პროცენტები, რეალიზებულ საქონელთან და მომსახურებასთან დაკავშირებული უიმედო ვალები და სხვა.

გადასახადის გამომდებელი მიერ გაწეული მთელი რიგი ხარჯები არ ექვემდებარება ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითვას. ერთობლივი შემოსავლიდან, მაგალითად, არ გამოიქვითება ის ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, გართობაზე გაწეული ხარჯები, ფიზიკური პირის მიერ პირადი მოხმარებისათვის გაწეული ხარჯები, ლატარიებიდან,

კაზინოებიდან (სამორინეებიდან), აზარტული ან სხვა მომგებიანი თამაშობებიდან მიღებულ მოგებებთან დაკავშირებული ხარჯები, ხელფასის სახით შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები, საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან გათავისუფლებული შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები და სხვა.

ფიზიკური პირის მიერ გაწეული მთელი რიგი ხარჯები გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლიდან არა სრულად, არამედ ნაწილობრივ. მაგალითად, კრედიტისათვის (სესხისათვის) გადახდილი პროცენ-

ტები გამოიქვეყნება ერთობლივი შემოსავლიდან არა უმეტეს წლიური 24 პროცენტისა, შესაბამისი პერიოდის პროპორციულად, ეკონომიკური საქმიანობის განმარტაციულ ფიზიკურ პირს უფლება აქვს, გამოიქვეყნოს წარმომადგენლობითი ხარჯები არა უმეტეს საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავლის 1 პროცენტის ოდენობით, ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვეყნება მეწარმე ფიზიკური პირის მიერ საქველმოქმედო ორგანიზაციაზე გაცემული თანხა, მაგრამ არაუმეტეს ერთობლივი შემოსავლიდან საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოიქვეყნების (ამ გამოიქვეყნების გარეშე) შემდეგ დარჩენილი თანხის 10 პროცენტისა. ეს ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც არაეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში გაწეული ხარჯი გამოიქვეყნება ერთობლივი შემოსავლიდან.

საშემოსავლო გადასახადისაგან თავისუფლდება ფიზიკური პირის შემოსავლის ორმოცდაათზე მეტი სახე. მათ შორისაა ფიზიკური პირის მიერ მიღებული გრანტი, სხვადასხვა სახის სახელმწიფო დახმარება და კომპენსაცია, სტიპენდიები, პენსია, ალიმენტი, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სახელმწიფოს მიერ გადაცემული ქონების ღირებულება და ამ ქონების თავდაპირველი რეალიზაციით მიღებული შემოსავალი, მკურნალობის ან/და სამედიცინო მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად საქველმოქმედო ორგანიზაციიდან მიღებული სარგებელი, ლატარიიდან მიღებული მოგება, რომლის ღირებულება არ აღემატება 1000 ლარს სხვა.

საშემოსავლო გადასახადით არ იხვევება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანის და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანი საქართველოს მოქალაქეების მიერ კალენდარული წლის განმავლობა-


ში 3000 ლარამდე მიღებული დასახეგრი შემოსავალი. საშემოსავლო გადასახადით არ იხვევება მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირის მიერ მაღალმთიან დასახლებაში საქმიანობით კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული 6000 ლარამდე დასახეგრი შემოსავალი, გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციიდან და სახელმწიფოს მიერ ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფუძნებული სამედიცინო დაწესებულებიდან ხელფასის სახით მიღებული შემოსავლისა.

საშემოსავლო გადასახადით არ იხვევება ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, აგრეთვე მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასახეგრი შემოსავალი 6000 ლარამდე.

კალენდარული წლის განმავლობაში 6000 ლარამდე მიღებული დასახეგრი შემოსავალზე საშემოსავლო გადასახადით არ იხვევება ასევე პირი, რომელმაც „საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებში ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობაში მონაწილეობასთან დაკავშირებით ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიიღო.

იმ შემთხვევაში, თუ საშემოსავლო გადასახადის გადამხდელს წარმოექმნება ერთზე მეტი საგადასახადო შეღავათის უფლება, მასზე გავრცელდება მათგან ერთი, უმაღლესი შეღავათი.

საშემოსავლო გადასახადში გამოიყენება დაბეგვრის პროპორციული სისტემა. ამ შემთხვევაში ყველა გადასახადის გადამხდელისთვის თანაბარია გადასახადის განაკვეთი (და



**იმ შემთხვევაში,
თუ საშემოსავლო
გადასახადის
გადამხდელს წარმოექმნება
ერთზე მეტი
საგადასახადო
შეღავათის უფლება,
მასზე გავრცე
ლდება მათგან ერთი,
უმაღლესი შეღავათი.**

არა გადასახადის თანხა). საგადასახადო ბაზის ზრდასთან ერთად პროპორციულად იზრდება გადასახადი თანხა, თუმცა ნებისმიერი შემოსავლის მქონე გადასახადის გადამხდელისათვის გადასახადის განაკვეთი უცვლელია ანუ ფიქსირებულია.

ფიზიკური პირის დასახეგრი შემოსავალი იხვევება 20 პროცენტით. ამასთან, საცხოვრებელი ფართობის ორგანიზაციაზე, იურიდიულ პირზე ან ფიზიკურ პირზე საცხოვრებელი მიზნით გაქირავების შედეგად იმ ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავ-



ვალი, რომელიც ამ შემოსავლიდან გამოქვითვებს არ ახორციელებს, იბეგრება 5 პროცენტით.

ფიზიკური პირის მიერ საცხოვრებელი ბინის (სახლის) და მასზე დამატებული მიწის ნაკვეთის, აგრეთვე ავტოსატრანსპორტო საშუალების მიწოდებით მიღებული ნამეტი შემოსავალი ასევე იბეგრება 5 პროცენტით.

რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომლის შემოსავალიც არ იბეგრება საქართველოში გადახდის წყაროდან, საშემოსავლო

გადასახადის შესახებ დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს წარუდგენს საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე და ამავე ვადაში იხდის საშემოსავლო გადასახადს.

მეწარმე ფიზიკური პირები საშემოსავლო გადასახადს იხდიან საგადასახადო პერიოდის განმავლობაში გადასახადის მიმდინარე გადასახდელების დადგენილ ვადებში გადახდითა და საგადასახადო პერიოდის დამთავრებისას, საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, საბოლოოდ გამოანგარიშებული გადა-

სახადის თანხის გადახდით. ამასთან, გადასახადის მიმდინარე გადასახდელებში იგულისხმება შუალედური შენატანები, რომელთა გადახდაც ხორციელდება საგადასახადო პერიოდის დამთავრებამდე. მიმდინარე გადასახდელთა ბიუჯეტში ჩარიცხული თანხები გადასახადის გადამხდელს ჩეთვლება საგადასახადო წლის მიხედვით დარიცხულ გადასახადში.

მეწარმე ფიზიკური პირი ვალდებულია მიმდინარე გადასახდელების თანხები ბიუჯეტში შეიტანონ წინა საანგარიშო პერიოდის წლიური გადა-

სახადის მიხედვით, შემდეგი ოდენობით:

- ▶ არაუგვიანეს 15 მაისისა – 25 პროცენტი;
- ▶ არაუგვიანეს 15 ივლისისა – 25 პროცენტი;
- ▶ არაუგვიანეს 15 სექტემბრისა – 25 პროცენტი;
- ▶ არაუგვიანეს 15 დეკემბრისა – 25 პროცენტი.

მიმდინარე გადასახდელების გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში გამოიყენება საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები.

ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი – ადგილობრივი გადასახადია. მისი გადახდა სავალდებულოა შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიაზე.

ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის გადახდელია ფიზიკური პირი. ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის დაბეგვრის ობიექტია:

- ▶ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (მათ შორის, დაუმთავრებელ მშენებლობა, შენობა-ნაგებობა ან მათი ნაწილი);
- ▶ საკუთრებაში არსებული იახტები (კატარღები), შევულმფრენები, თვითმფრინავები;
- ▶ საკუთრებაში არსებული მსუბუქი ავტომობილები;
- ▶ არარეზიდენტისაგან ლიზინგით მიღებული ქონება.

ფიზიკური პირის დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთი დიფერენცირებულია გადასახადის გადახდელის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების მიხედვით და განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:

- ▶ 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო

დო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0.05 პროცენტისა და არაუმეტეს 0.2 პროცენტისა;

- ▶ 100 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0.8 პროცენტისა და არა უმეტეს 1 პროცენტისა.

საგადასახადო კოდექსის მიზნებისათვის პირის ოჯახში იგულისხმება პირი, მისი მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი, და გერი, აგრეთვე პირთან მუდმივად მცხოვრები მშობელი, შვილი და გერი, და, ძმა, ბებია, ბაბუა, შვილიშვილი, რომლებიც საერთო მეურნეობას ეწევიან. ქონების გადასახადით დაბეგვრის მიზნებისათვის თავად გადახდელი უპირობოდ განსაზღვრავს იმ პირთა წრეს (ზემოაღნიშნულ პირთაგან), რომლებიც მასთან ერთად მუდმივად ცხოვრობენ და ეწევიან საერთო მეურნეობას.

ამასთან, დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულება განისაზღვრება შესაბამისი ქონების ადგილმდებარეობისა და შესაძლო სარეალიზაციო ფასის გათვალისწინებით.

ფიზიკური პირის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებულ შემოსავლებში შეიტანება ყველა შემოსავალი, მათ შორის, სარგებელი საგადასახადო შეღავათების გაუთვალისწინებლად.

ფიზიკური პირის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებულ შემოსავლებში არ შეიტანება, მაგალითად, ოჯახის წევრებისაგან მემკვიდრეობით, ჩუქებით ან განქორწინების საფუძველზე მიღებული ქონების ღირებულება, ფიზიკური პირის მიერ 2 წელზე მეტი ვადით მის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის (სახლის) რეალიზაციით მიღებული შემოსავალი, მკურნალობის ან/და სამედიცინო მომსახურების

ხარჯების დასაფინანსებლად საქველმოქმედო ორგანიზაციიდან მიღებული სარგებელი და სხვა.

საქართველოს მოქალაქე არარეზიდენტ ფიზიკურ პირთან მიმართებით შემოსავლები განისაზღვრება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავლების მიხედვით.

ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის საგადასახადო პერიოდი კალენდარული წელი ანუ დროის მონაკვეთი საანგარიშო წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფიზიკური პირის ქონების გადასახადს შესაბამის ტერიტორიაზე მოქმედი განაკვეთების მიხედვით გამოიანგარიშებს საგადასახადო ორგანო ფიზიკური პირის მიერ წარდგენილი დეკლარაციის საფუძველზე. გადასახადის გადახდელი ვალდებულია, საგადასახადო ორგანოსათვის წარდგინდეს დეკლარაციაში ასახოს დასაბეგრი ქონების დასახელება, აღწერილობა, დასაბეგრი ქონების ღირებულება და შეღავათები, რომელთა მიხედვითაც საგადასახადო ორგანო უზრუნველყოფს საგადასახადო ვალდებულების თანხობრივი ოდენობის განსაზღვრას.

ფიზიკური პირი ქონების გადასახადის დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს წარუდგენს არა უგვიანეს კალენდარული წლის 1 ნოემბრისა. ამასთან, დეკლარაციაში მონაცემები დასაბეგრი ქონების შესახებ შეიტანება გასული საგადასახადო წლის მიხედვით, ხოლო დასაბეგრი მიწის შესახებ – მიმდინარე საგადასახადო წლის მიხედვით. ფიზიკური პირი დასაბეგრ ქონებაზე ქონების გადასახადს იხდის არა უგვიანეს კალენდარული წლის 15 ნოემბრისა.

ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადისაგან თავისუფლდება ფიზიკური პირის დასაბეგრი ქონება (გარდა მიწისა), თუ ამ პირის ოჯახის მიერ მიმდინარე კალენდარული წლის წინა წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლები არ აღემატება 40 000 ლარს.

ქართული
ერვოკაგუა

100

GEORGIAN
BAR



სალომე ზურაბიშვილი
საქართველოს პრეზიდენტი

SALOME ZOURABICHVILI
The President of Georgia

ჩვენს ადვოკატებს გილოცავთ ქართული ადვოკატურის 100 წლის იუბილეს!

თქვენ უძველესი პროფესია გაქვთ, და განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ადვოკატებმა ერთ-ერთმა პირველებმა - ექიმებთან ერთად - ჩამოაყალიბეთ თქვენი ეთიკის ნორმები.

ადვოკატის პროფესიულ გზას ჩვენს ქვეყანაში ბევრი განსაცდელი სდევდა თან. საბჭოთა ტოტალიტარიზმის პერიოდშიც კი, იქ, სადაც პოლიტიკური წნეხი უშუალოდ არ ვრცელდებოდა, ადვოკატები ახერხებდნენ თავიანთი პროფესიული ვალდებულებების შესრულებას.

არც ახლო წარსულში ყოფილა ადვილი ადვოკატის ღირსებისა და ეთიკის დაცვა, მაგრამ ამ პროფესიამ სახე მაინც შეინარჩუნა.

დღეს კი თქვენ სახელმწიფოს ქვაკუთხედი ხართ. თქვენ იცავთ ადამიანის უფლებებს; თქვენზე გადის სამართალი.

თქვენ გაკისრიათ უდიდესი პასუხისმგებლობა - საზოგადოებაში კანონის უზენაესობის მიმართ ნდობის გამყარება. თქვენ გაკისრიათ პასუხისმგებლობა იმაზე, რომ ნებისმიერ ვითარებაში ჭეშმარიტება დროულად დადგინდება და სამართალი იზიჟიმებს.

დემოკრატიული სახელმწიფოს გაძლიერებისთვის თქვენი პროფესიონალიზმი, თავისუფლება, დამოუკიდებლობა და კეთილსინდისიერება აუცილებელი ფაქტორია.

იმედი მაქვს, ცოდნითა და გამოცდილებით შეიარაღებულები ყოველთვის დაიცავთ კანონსა და პროფესიულ ეთიკას და იხელმძღვანელებთ იმ პრინციპებით, რომელთა ერთგულებაც გააძლიერებს ადვოკატთა კორპუსს და მაშასადამე საზოგადოებას.

გისურვებთ წარმატებებს!

I extend my warmest congratulations to our attorneys on the Georgian Bar's 100th anniversary!

Your profession is one of the oldest. Alongside doctors, you were one of the first to elaborate ethical norms for your profession and this is a matter of special significance.

Attorneys professional path has been accompanied by many obstacles in this country. They managed, however, to carry out their professional duties even during the Soviet totalitarian period, whenever they were not direct targets of political pressure.

It was not easy to preserve the dignity and ethics of attorney in the recent past either but the corps of professionals have saved face.

Today you are the cornerstone of the State. You are the ones who protect Human Rights and are pivotal for administering justice.

You bear an enormous responsibility to strengthen the society's faith in the Rule of Law. You bear responsibility for ensuring that in any circumstances, the truth is established promptly and justice prevails.

Your professionalism, freedom, impartiality, and integrity are essential factors for strengthening a democratic state.

I wish to express hope that armed with knowledge and experience, you will always abide by the law and professional ethics and will be guided by the principles aimed to strengthen the Bar and therefore the society.

I wish you success in your endeavors!



გიორგი გახარია

საქართველოს პრემიერ-მინისტრი

GIORGI GAKHARIA

Prime Minister of Georgia

მინდა ყველა ადვოკატს მივულოცო პროფესიული დღე და ქართული ადვოკატურის 100 წლის იუბილე, ვუსურვო წარმატება თავიანთ საქმიანობაში და ამ უდიდესი პასუხისმგებლობის ღირსეულად ტარება.

პრინციპულობა და კეთილსინდისიერება საადვოკატო საქმიანობაში არის იმის გარანტია, რომ ჩვენს ქვეყანაში დაცული იქნება ადამიანის უფლებები.

მადლობას ვუხდით თითოეულ ადვოკატს, რომელიც სამართლის უზენაესობას ემსახურება.

I would like to congratulate all attorneys on their professional day and the 100th anniversary of the establishment of Georgian legal profession. I wish them success in their professional activities and dignity in pursuing the responsibilities.

Adherence to principles and faithfulness in attorney's activity is the guarantee for protection of human rights in our country.

I avail myself of this opportunity to express my gratitude to each attorney who serves the rule of law.



არჩილ თალაკვაძე

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

ARCHIL TALAKVADZE

Chairman of the Parliament of Georgia

ძვირფასო ადვოკატებო,

გულითადად გილოცავთ ქართული ადვოკატურის 100 წლის იუბილეს!

საგულისხმოა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაფუძნების შემდეგ, სხვა მნიშვნელოვან ამოცანებთან ერთად, იმდროინდელი ქართული საზოგადოების ერთ-ერთი საზრუნავი სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა და ეფექტიანი მართლმსაჯულების სისტემის დამკვიდრება იყო. სწორედ ამ სულისკვეთებით იქნა მიღებული პირველი რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების 1919 წლის 11 ნოემბრის დეკრეტი, რომლითაც დაარსდა ნაფიც ვეჟილთა საბჭო.

დღევანდელი გადმოსახედიდან სიმბოლური დატვირთვა ენიჭება ამ ისტორიულ ფაქტს, ვინაიდან, თქვენ - ქართველი ადვოკატები, ადვოკატის პროფესიაში არსებული ასწლოვანი ტრადიციების ერთგულების კვალდაკვალ, აგრძელებთ ჩვენი ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაში მონაწილეობას, თქვენი ყოველდღიური საქმიანობით უწყობთ ხელს მართლმსაჯულების განხორციელებას, ადამიანის უფლებების დაცვასა და კანონის უზენაესობის დამკვიდრებას. ადვოკატთა ასოციაციის არსებობა, სადაც ხდება საერთო საკითხების განხილვა, პროფესიული სტანდარტების განვითარება და ცოდნის გაზიარება მნიშვნელოვანად აძლიერებს თითოეულ თქვენგანს და ზოგადად მართლმსაჯულებას.

საქართველოს პარლამენტის სახელით, გამოთქვამ მზადყოფნას გავაგრძელო თქვენთან თანამშრომლობა იმ მიზნების გარშემო, რაც დემოკრატიის კონსოლიდაციას და ჩვენი ქვეყნის წინსვლას უკავშირდება.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და გისურვებთ წარმატებებს!

Dear lawyers,

I wholeheartedly congratulate you on the 100th anniversary of the Georgian barristership.

It is important to note that since the establishment of the first Democratic Republic of Georgia, the Georgian society has taken it seriously to build a legal state and develop an effective judicial system. It was with this spirit that the Constitutive Assembly of the Republic adopted a Decree of November 11, 1919, establishing a Council of Jury Solicitors.

This historic fact has a symbolic importance from today's perspective because you, Georgian lawyers, continue to contribute to the democratic development of our country in the footsteps of the existing centennial traditions of lawyer's profession. You facilitate justice, human rights protection and the rule of law with your daily work. Existence of the Georgian Bar Association, in which you discuss common issues of interest, develop professional standards and share knowledge, significantly strengthens each of you and benefits the justice in general.

On behalf of the Parliament of Georgia, let me convey our readiness to continue cooperating with you on the issues of democratic consolidation and progress of our country.

Let me once again congratulate you on this remarkable date and wish you all the success!



ზაზა თავაძე

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე

ZAZA TAVADZE

President of the Constitutional Court of Georgia

მინდა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სახელით, მივულოცო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას 100 წლის იუბილე.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია ქვეყანაში ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. იურიდიული პროფესია არის საშუალება თითოეულმა მოქალაქემ შეძლოს საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით გარანტირებული უფლებების დაცვა. შესაბამისად, კვალიფიციური იურიდიული მომსახურების უზრუნველყოფა წარმოადგენს კანონის უზენაესობის დაცვისა და მართლმსაჯულების სისტემის გამართული ფუნქციონირების არსებით ელემენტს.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ დღიდან დაარსებისა დღი გზა განვლო. ადვოკატის საქმიანობის საკანონმდებლო ჩარჩოსთან ერთად არსებითად შეიცვალა იურიდიული განათლების ხარისხი საქართველოში, გაუმჯობესდა საადვოკატო საქმიანობის სტანდარტები და გაიზარდა ნდობა ადვოკატთა კორპუსის მიმართ. ყოველივე ეს, საშუალებას აძლევს მოქალაქეებს დაიცვან საკუთარი ინტერესები კვალიფიციური იურიდიული დახმარების მიღების გზით და, ამავდროულად, ჰქმნის საფუძველს ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებისთვის.

გულითადად ვულოცავ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას 100 წლის იუბილეს! მჯერა, რომ საქართველოში იურიდიული პროფესიის განვითარება შეუქცევად გაგრძელდება.

On behalf of the Constitutional Court of Georgia, let me congratulate the Georgian Bar Association on 100th anniversary.

The Georgian Bar Association is entrusted with a key role in the course of effective administration of justice in Georgia. The legal profession allows citizens to protect their rights guaranteed by the Constitution and laws. Hence, a qualified legal service serves as an essential element to ensure the protection of the rule of law and the proper administration of justice.

The Georgian Bar Association has come a long way since it was founded. Along with a legal framework on practising law, the quality of legal education has changed considerably; the standards of the legal profession have been improved and trust towards the bar has increased. All of these, allows citizens to protect their interests by way of qualified legal assistance and, thereby, contributes to the effective functioning of justice.

I do heartedly congratulate the Georgian Bar Association with its centennial anniversary! I am confident the legal profession will continue to develop irreversibly in Georgia.



გზია თოდუა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

MZIA TODUA

Acting Chief Justice

2019 წელი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისათვის გამორჩეულია, ვინაიდან უკვე საუკუნე შესრულდა, რაც საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დროს, 1919 წელს, ნაფიც ვექილთა (ადვოკატთა) საბჭო დაფუძნდა და სწორედ ამ დროიდან იწერება ქართული ადვოკატურის ისტორიაც.

დღეს ადვოკატთა ასოციაცია მძლავრი, დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, რომელიც ხუთი ათასამდე ადვოკატს აერთიანებს სამოქალაქო სამართლის, სისხლის სამართლისა და საერთო სპეციალიზაციის მიმართულებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სახელით, გულითადად ვულოცავ ადვოკატთა გაერთიანებას საიუბილეო თარიღს და ადვოკატის დღეს - 8 ნოემბერს!

ადვოკატებს, როგორც მართლმსაჯულების მონაწილე მხარეს, განუზომლად დიდი წვლილი მიუძღვით სამართალწარმოების პროცესში თითოეული პირის უფლებისა და კანონიერი ინტერესის დასაცავად. ადვოკატთა მაღალი კვალიფიკაცია, კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვისათვის გაწეული პროფესიული საქმიანობა და ეთიკური ვალდებულებების პატივისცემა საუკეთესო მეგზურია მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, ხოლო მოსამართლეებს ხელს უწყობს კანონის წინაშე მხარეთა თანასწორობის პრინციპით საქმის განხილვასა და გადაწყვეტაში.

უკანასკნელ წლებში ადვოკატთა ასოციაციამ შთამბეჭდავი ცვლილებები განახორციელა როგორც ადვოკატის საპატიო სტატუსის მოსაპოვებლად საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზებისა და ჩატარების მაღალი სტანდარტის დამკვიდრების, ისე - საკუთარი წევრებისათვის საინტერესო საგანმანათლებლო სწავლების არაერთი კურსის თუ პროგრამის დანერგვის თვალსაზრისით. ამ პროცესის მონაწილეები საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებიც არიან.

ადვოკატთა ძლიერი კორპუსის არსებობა დადებითად ისახება მართლმსაჯულების განხორციელებაზე, თითოეული პირის სამართლიანი სასამართლოს უფლებასა და ზოგადად, იურისტის პროფესიის განვითარებაზე, რაც დამოუკიდებელი და ძლიერი სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია.

ადვოკატთა ასოციაციის თითოეულ წევრს გულითადად ვულოცავ საუკუნოვან იუბილეს, მორიგ წარმატებებს ვუსურვებ პროფესიულ ასპარეზსა და პირად ცხოვრებაში!

გისურვებ მხნეობას, სიძლიერესა და დამოუკიდებლობას, რათა კეთილსინდისიერად და ღირსეულად წარმოადგინოთ თქვენი კლიენტები თქვენთვის მონდობილ საქმეებზე და ერთგულად შეძლოთ იმ ღირებულებების მსახურება, რომელიც თითოეული ინდივიდის დაცვის უფლებას უზრუნველყოფს.

The year of 2019 is of special significance for the Georgian Bar Association. It has been a century since during the independence of the first republic of Georgia, namely in 1919, the Council of Advocates was established and the history of the Georgian Bar started to be written.

Today, the Georgian Bar Association is a powerful, independent organization that brings together about 5,000 lawyers in the fields of general, civil and criminal law.

On behalf of the Supreme Court of Georgia, I cordially congratulate the Bar Association on its centennial celebration as well as on a professional day – November 8th!

Lawyers, as parties to justice, have enormous role in protecting the rights and legitimate interests of each person involved in the legal proceedings. Highly qualified lawyers and their professional work based on the best interests of a client as well as respect of high professional standards are the best guides in the administration of justice, thereby, supporting judges in dealing with the law and making decisions on the basis of principle of equality of the parties.

In recent years, the Bar Association has made remarkable progress in gaining high reputation by introducing a high-standard Bar Exams as well as by delivering interesting CLE programs for its members. The judges are also the part of this process.

The existence of a strong professional union of lawyers has a positive impact over the administration of justice, the right of every person to a fair trial and, in general, over the development of the legal profession, which is one of the most important achievements of an independent and strong State.

I congratulate each and every member of the Bar Association on the centennial anniversary, wishing you more success in your career and personal life!

I wish you courage, strength and independence to represent your clients in a good faith and to serve the values that safeguard the rights and freedoms of every individual.



პარლ ჰარცელი

ევროკავშირის ელჩი საქართველოში

CARL HARTZELL

Ambassador of the European Union to Georgia

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 100 წლის იუბილე

100th Year Anniversary of the Georgian Bar Association

პატივცემულო ბატონო დავით,

Dear Mr Asatiani,

მინდა მოგილოცოთ თქვენ, თქვენს კოლეგებსა და საქართველოს ყველა იურისტს ადვოკატთა ასოციაციის 100 წლის იუბილე.

I would like to congratulate you, your colleagues and all lawyers in Georgia on the occasion of the 100th anniversary of the Georgian Bar Association.

გასული საუკუნის განმავლობაში, იურისტის პროფესიამ საქართველოში მრავალი გამოწვევა განიცადა. დღეს, მის სასარგებლოდ მუშაობს ადვოკატთა თანამედროვე ასოციაცია, რომელიც ქვეყანაში კანონის უზენაესობის პრინციპების ერთ – ერთი მთავარი საყრდენია.

Over the last century, the legal profession in Georgia has experienced many challenges. Yet today it benefits from a modern bar association, one of the major pillars to support the Rule of Law principles in the country.

ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ევროკავშირმა ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოში სამართლიანი და ეფექტიანი იურიდიული მომსახურების განვითარებისთვის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ხელშეწყობა შეძლო.

I am very happy that the European Union has been able to assist the Georgian Bar Association over the last decade in promoting fair and efficient legal services in Georgia.

მე დადებითად ვაფასებ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან მჭიდრო და ნაყოფიერ თანამშრომლობას და ასევე თქვენს ღრმა ურთიერთობას ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში დაფუძნებულ იურისტთა ასოციაციებთან.

I appreciate the very close and fruitful cooperation we are enjoying with the Georgian Bar, as well as your strong relationships with lawyers' associations based in EU Member States.

ნება მიბოძეთ, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას მომდევნო წლებში დიდი წარმატებები ვუსურვო!

Let me finally wish the Georgian Bar Association great success in the years to come!



კრისტიან ურსე

ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელი საქართველოში

CRISTIAN URSE

The Head of the Council of Europe Office in Georgia

საქართველო აღნიშნავს ადვოკატის პროფესიის ასი წლის იუბილეს. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მივულოცო ყველა ადვოკატს, ასევე, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას ამ ეტაპის წარმატებით მიღწევა. ადვოკატები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მართლმსაჯულების განხორციელებაში. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია(2000)21, რომელიც ადვოკატთა პროფესიის თავისუფლებას ეხება, მოუწოდებს წევრ ქვეყნებს, რომ მიიღონ „ყველა საჭირო ზომა, რათა პატივი სცენ, დაიცვან და წახალისონ ადვოკატის პროფესიის თავისუფლება“. ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობისა და სამართლიანი სასამართლოს პრინციპების უზრუნველყოფისთვის, რაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციიდან გამომდინარეობს.

დაე, დამოუკიდებლობამ, შრომისმოყვარეობამ და სამართლიანობამ წარმართოს ყველა ადვოკატის პროფესიული საქმიანობა მოქალაქეების სასარგებლოდ.

The 100 years anniversary of the Profession of Lawyer is celebrated this year in Georgia. I take this opportunity to congratulate all individual lawyers, as well as the Georgian Bar Association on successfully achieving this milestone. Lawyers play a crucial role in the administration of justice. Recommendation Rec(2000)21 of the Committee of Ministers of the Council of Europe on The freedom of exercise of the profession of lawyer encourages the Member States to take “all necessary measures to respect, protect and promote the freedom of exercise of the profession of lawyer”. This is vital to ensure that access to justice and fair trial principles flowing from the European Convention on Human Rights are effectively implemented.

Let independence, diligence and fairness guide the professional work of all individual lawyers, to the benefit of citizens.



ელიზაბეთ რუდი

ელჩის მოვალეობის შემსრულებელი

ELIZABETH ROOD

Chargé d'Affaires, a.i.

„თუ გესურს კანონის პატივისცემა, მაშინ პირველ რიგში კანონი უნდა გაეხადოთ პატივსაცემი.“
ლუის დ. ბრენდაისი, მოსამართლე, ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლო
(1916-1939)

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას,

გილოცავთ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 100 წლის იუბილეს! დიდად ვაფასებ ყველა ადვოკატსა და ასოციაციის წევრს, რომლებიც დაუღალავად შრომობენ, რათა დაიცვან განსასჯელების უფლებები და კლიენტთა ინტერესები საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში.

ადვოკატი მართლმსაჯულების სისტემის აუცილებელი ნაწილია და მნიშვნელოვან როლს ასრულებს კანონის უზენაესობის დაცვაში თანამედროვე დემოკრატიის პირობებში. თქვენთვის როგორც ადვოკატებისთვის, თქვენი საქმიანობა დიდი გამოწვევაა, რომელიც მოითხოვს დაბალანსებას როგორც სამსახურეობრივი მოვალეობების, რომელიც გაკისრიათ როგორც სასამართლო ოფიცრებს, ისე ეთიკური ვალდებულებების, რაც კლიენტების გულმოდგინედ დაცვას გულისხმობს. მიუხედავად იმისა, რომ ხანდახან პრაქტიკაში ამის განხორციელება შეიძლება რთული აღმოჩნდეს, თქვენი დაუღალავი შრომა აუცილებელია იმისათვის, რომ საქართველოს მოქალაქეებს ჰქონდეთ სანდო და საიმედო სასამართლო სისტემა. ეს თქვენგან მოითხოვს პროკურორებთან, მოსამართლეებთან და სხვა ადვოკატებთან პროფესიონალურ მუშაობას, ამავდროულად გავალდებულებთ ხელი შეუწყობთ სამართლიანობას და დაიცვათ კანონის უზენაესობა თქვენი დამოუკიდებლობით ყოველგვარი გარე ზემოქმედებისა და თუნდაც ზეწოლისგან. ამის განსახორციელებლად კი თქვენ ყოველთვის უნდა იხელმძღვანელოთ პროფესიული საქმიანობის სტანდარტებით და გახსოვდეთ, რომ თქვენი ეთიკური და გულმოდგინე მუშაობა გააუმჯობესებს როგორც საქართველოს ადვოკატთა, ასევე მთლიანი სასამართლო სისტემის იმიჯს.

კიდევ ერთხელ გილოცავთ და წარმატებებს გისურვებთ თქვენს საქმიანობაში!

„If we desire respect for the law, we must first make the law respectable“.

-Louis D. Brandeis, Associate Justice, Supreme Court of the United States
(1916-1939)

To the Georgian Bar Association:

Congratulations on this occasion of the 100th anniversary of the Georgian Bar Association! I applaud every attorney and GBA member who works tirelessly to advocate for those accused of wrongdoing and who fight to protect clients interests within the framework of Georgian law.

The attorney is a vital part of the justice system and necessary to ensure that rule of law is followed in a modern democracy. As attorneys, you have a very challenging job which requires you to balance your duties as officers of the court with your ethical obligation to act as zealous advocates for your clients. Although at times this may be difficult to put into practice, your hard work is necessary to ensure that Georgia has a reliable, trustworthy, and credible legal system for your clients. Although at times this may be difficult to put into practice, your hard work is necessary to ensure that Georgia has a reliable, trustworthy, and credible legal system for your citizens. This requires you to work with prosecutors, judges, and defend other attorneys in a professional manner but also requires you to promote justice and defend the rule of law by maintaining your own independence from outside influences and to protect your clients against even the appearance of arbitrary power or pressure. In doing this. You should always be guided by your standards of professional conduct and remember that if you act ethically and work diligently. Your actions will improve the image of Georgian attorneys and the entire Georgian justice system.

Once again, congratulations and good luck in your future endeavors!!



ხოსე დე ფრეიტასი

ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საზოგადოებების საბჭოს (CCBE) პრეზიდენტი

JOSÉ DE FREITAS

President of the CCBE

ძვირფასო კოლეგებო,

CCBE-ის სახელით, რომელიც წარმოადგენს 45 ქვეყნის ადვოკატთა ასოციაციებსა და სამართლის საზოგადოებებს და აერთიანებს 1 მილიონზე მეტ ევროპულ ადვოკატს, მსურს გულთადად მოგილოცოთ ქართული დამოუკიდებელი ადვოკატურის 100 წლის იუბილზე.

დამოუკიდებლობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ჩვენთვის - ადვოკატებისთვის, არამედ სრულიად სასამართლო სისტემის ფუნქციონირებისთვის და სამართლის უზენაესობის დაცვისთვის დემოკრატიულ საზოგადოებაში. როგორც ადვოკატები, ჩვენ ვართ სამართლის უზენაესობის მცველები და ხშირად პირველნი მათ შორის, ვინც ჩვენს ქვეყნებში მოქალაქეების ფუნდამენტური, კანონიერი უფლებებისა და ინტერესების ეფექტიან დაცვას ვუზრუნველყოფთ.

იურიდიული პროფესიის დამოუკიდებლობისა და მაღალი პროფესიული სტანდარტების უზრუნველყოფით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია გახდა ადვოკატთა მხარდამჭერის მთავარი წყარო და მართლმსაჯულების ხარისხის უზრუნველყოფისა და სანდოობის დაცვის გარანტი.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია უკვე ათ წელზე მეტია CCBE-ს აქტიური დამკვირვებელი წევრია და ვიმედოვნებთ, რომ მომავალშიც განვაგრძობთ ნაყოფიერ თანამშრომლობას ჩვენი საერთო ღირებულებების, სამართლის უზენაესობისა და პროფესიის ძირითადი პრინციპების პოპულარიზაციას მიზნით, როგორც თქვენს ქვეყანაში ასევე, მთელს ევროპაში.

ასოციაციას და თითოეულ ადვოკატს საუკეთესო სურვილებით გილოცავთ ქართული ადვოკატურის 100 წლის იუბილეს და წარმატებას გისურვებთ თქვენი მისიისა და მნიშვნელოვანი როლის შესრულებაში.

Dear colleagues,

On behalf of the Council of Bars and Law Societies of Europe (CCBE), which represents the bars and law societies of 45 countries, and through them more than 1 million European lawyers, I wish to extend our warmest congratulations on the occasion of the 100th anniversary of the independent professional union of Georgian advocates.

Independence is of the utmost importance not only for us, lawyers, but also for the functioning of the whole judiciary in a democratic society, and the rule of law in general. As lawyers, we are the guardians of the rule of law and often the first to ensure the efficient protection of the fundamental and legitimate rights and interests of citizens in our countries.

Nowadays the Georgian Bar Association has become an essential advocate and source of support for Georgian lawyers, as a safeguard for quality and the reliability of the justice system in Georgia by ensuring the independence of the legal profession and providing high professional standards in legal practice.

The Georgian Bar Association has already been an active observer member of the CCBE for more than ten years, and we look forward to furthering our fruitful cooperation in the future to promote our common values, the rule of law and the core principles of our profession in your country as well as all over Europe.

We send all our best wishes to Georgian lawyers and the Georgian Bar Association on the occasion of the 100th anniversary of the professional union of advocates in Georgia and wish every success to the Georgian Bar Association in carrying out its mission and important role representing Georgian lawyers.



მარია სლჟაკი

ევროპის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტი

MARIA ŚLŻAK

President of the European Association of Lawyers

მოხარული ვარ, ევროპის ადვოკატთა ასოციაციის სახელით, საქართველოში მოღვაწე ადვოკატებს საუკეთესო სურვილებით მოგილოცოთ ქართული ადვოკატურის 100 წლის იუბილზე.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საქმიანობა ნათელი მაგალითი და ნიმუშია იმის, თუ როგორ უნდა მუშაობდეს ადვოკატთა პროფესიული გაერთიანება მოქალაქეების, კანონის უზენაესობისა და ადვოკატების მხარდასაჭერად. თქვენი ორგანიზაცია არის ადვოკატის პროფესიის ფუნდამენტური ფასეულობების ჭეშმარიტი დამცველი, რომელიც იღწვის ინსტიტუციური დამოუკიდებლობისთვის და იბრძვის ადვოკატის პროფესიული თავისუფლებისათვის. პროფესიული საიდუმლოების პრინციპისა და მოქალაქეების ინტერესების დაცვისთვის, ადვოკატები ხშირად გამხდარან დევნის და მუქარის ადრესატები, მათ მიმართ გამოყენებული იყო პატიმრობებიც კი, თუმცა თქვენს ასოციაციას არასოდეს შეუწყვიტია მათი უფლებებისთვის ბრძოლა. ამისათვის ასოციაციის ყოფილ პრეზიდენტს ზაზა ხატიაშვილს 2016 წელს მიენიჭა CCBE-ის პრესტიჟული პრემია ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში შეტანილი წვილისათვის.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია მისი წევრების არა მხოლოდ მხარდამჭერია, არამედ მუდამ სთავაზობს მათ ისეთ გადაწყვეტილებებს, რომელიც მაღალი ეთიკური სტანდარტების შენარჩუნების საფუძველს ქმნის, რაც აუცილებელია იურიდიული სერვისით მოსარგებლე პირთათვის.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ასევე ძალიან აქტიურია საერთაშორისო ურთიერთობებისა და გამოცდილების გაზიარების მიმართულებით, მათ შორის ისეთ თანამედროვე სფეროებში, როგორცაა: ხელოვნური ინტელექტი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სანქსიო თუ განგრძობადი იურიდიული განათლების სისტემები. როგორც ევროპის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტი, ძალიან ვაფასებ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აქტიურ როლს ევროპის ადვოკატთა ასოციაციის საქმიანობაში, რაც კიდევ უფრო მეტად ამყარებს თქვენი პროფესიული გაერთიანების მძლავრ პოზიციას საერთაშორისო იურიდიულ საზოგადოებაში.

გთხოვთ, მიიღოთ ჩემი გულწრფელი მილოცვა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისადმი, რომელიც ჩვენი თვალთახედვით ლიდერია რეგიონში. გისურვებთ შემდგომ წარმატებულ განვითარებას, რასაც ნამდვილად მიაღწევთ თქვენი იმ ძალისხმევის შედეგად, რომელსაც არ იმურებთ ადვოკატის როლის შემდგომი გაძლიერებისთვის, რაც, თავის მხრივ, არის სამართლის უზენაესობის საფუძველი თქვენს მშვენიერ ქვეყანაში.

On behalf of the European Association of Lawyers I have a pleasure to send my best greetings and wishes to all Georgian Lawyers on the occasion of the 100 anniversary of independent legal profession in Georgia.

Activities and works performed by the Georgian Bar Association have been seen by many as model ones how the Bar Association should act for the benefit of citizens, rule of law and lawyers. The GBA is a true defender of fundamental values of the profession of a lawyer, protecting its independence and fighting for freedom of performing lawyers' tasks. For defense of professional secrecy or representing citizens' interests many advocates were persecuted, threatened or even imprisoned but the Bar has never failed to fight for them. For this work the former President Zaza Khatiashvili was awarded by the Council of Bars and Law Societies of Europe in 2016 with the very prestigious prize for human rights defenders.

The GBA not only supports its members but also introduces solutions to keep the highest quality and ethical standards that are crucial for those who benefit from legal advice and legal representation.

The Georgian Bar Association is also very active in the field of foreign cooperation, in exchanging knowledge, among the others in such modern areas as Artificial Intelligence, in improving initial and continuing legal education in accordance with international standards. As the President of the European Association of Lawyers I highly appreciate GBA's active role in our Association and your personal work as the member of the board of AEA-EAL which further develops a strong position of your Bar in the international legal community.

Mr. President, please accept my sincere congratulations to the Georgian Bar Association, being in our eyes the leader of the Region and let me wish further excellent development which surely will be achieved due to your constant efforts to strengthen the role of lawyers as guarantors of rule of law in your beautiful country.



ჰორასიო ბერნადეს-ნეტო

საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტი

HORACIO BERNADES-NETO

President of the International Bar Association

მიმდინარე წელს, საქართველოს ადვოკატთა პროფესიული გაერთიანება 100 წლის იუბილეს აღნიშნავს. საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციის (IBA) სახელით მსურს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას და მის წევრებს მოგილოცოთ ეს მნიშვნელოვანი მოვლენა. ასწლეულის განმავლობაში საქართველოს ადვოკატურამ და იურიდიული საზოგადოების წევრებმა მიაღწიეს უზარმაზარ პროგრესს თქვენს ქვეყანაში სანდო და ხარისხიანი მართლმსაჯულების სისტემის შექმნის მიმართულებით, იურიდიული პროფესიის დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და მაღალი პროფესიული სტანდარტების დამკვიდრების უზრუნველყოფით.

ქართველ ადვოკატებს მაღალი პროფესიული სტანდარტის განმტკიცებისთვის უამრავი სირთულის და წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდათ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო დაახლოებით ოცდაათი წელია დამოუკიდებელი სახელმწიფოა და ეკონომიკური და სამართლებრივი განვითარების გზაზეა, თქვენმა იურიდიულმა პროფესიამ შეძლო სწრაფად მზარდი საერთაშორისო სამართლებრივი ბაზრის ტენდენციებთან თანხვედრა, საერთაშორისო ეთიკის ნორმებისა და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის გზით.

მოგვსენებათ, რომ ქართული ადვოკატურის 100 წლის იუბილე ემთხვევა IBA ევროპა-კავკასია-აზიის ფორუმს, რომელსაც ჩვენ კვლავ თქვენს ლამაზ ქვეყანაში ვატარებთ საიუბილეო თარიღამდე ერთი კვირით ადრე, რითაც IBA ხაზს უსვამს მის მტკიცე მხარდაჭერას საქართველოს იურიდიული პროფესიის მიმართ.

გისურვებთ სიმხნევს და საქართველოს იურიდიული პროფესიის მომავლის რწმენას, რაც უზრუნველყოფს თქვენი პროფესიის დამოუკიდებლობასა და კანონის უზენაესობის დაცვას საქართველოში. პირობას გაძლევთ, რომ IBA ყოველთვის თქვენს გვერდით იქნება ამ მნიშვნელოვან საქმეში!

მსურს, გამოვხატო ჩემი პატივისცემა და საუკეთესო სურვილები საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა და მისი წევრების მიმართ და კიდევ ერთხელ დაგიფიქსიროთ თანადგომის მზაობა საქართველოში მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესების საქმეში.

This year the legal community of Georgia celebrates the 100th anniversary of Georgian Bar Association and Georgian Legal Profession. On behalf of the International Bar Association (IBA) I would like to congratulate the Georgian Bar Association and its members on this significant milestone. For a hundred years Georgian Bar Association and members of Georgian legal community made a huge progress in creating and supporting of reliable and reputable justice system in Georgia, by ensuring independence of legal profession and providing high professional standards in legal practice.

The Georgian lawyers had to overcome many difficulties and obstacles to reach the heights of professional development. Even though it turns approximately thirty years now as Georgia gained its independence and currently it is on the way of advancing itself into legally and economically sustainable state, the legal community has managed to keep up with the rapid progress of international legal market by seeking to implement international ethic standards and best practices on a local level.

As you might know, the 100th anniversary coincides with the IBA Europe-Caucasus-Asia Forum which we hold again in your beautiful country just a week before the celebration of your great Georgian Bar. Thus, the IBA underlines its strong commitment and support for the legal profession of Georgia.

I wish you a great celebration and confidence in the future of the legal profession in Georgia, which is the safeguard of the independence of your profession and the Rule of Law in your country. I promise you all that the IBA will always be at your side in this important endeavor!

I would like to express my respect and best wishes to the GBA and its members and continues support in enhancing the quality of justice in Georgia.

დ ვ კ რ ე რ ი

ხაქაროველში ვეპილობის უფლების განსაზღვრისა და ნაფიც ვე-
ქილთა ახალ საბჭოს არჩევისა.

I. ხაქაროველის ტერიტორიაზე ნაფიც ვექილად, მის თანამშემწედ
და კერძო ვექილად შეიძლება იყოს მხოლოდ ხაქაროველის ქვეშევრ-
დოში.

შ ვ ნ ი შ ვ ნ ა I. მთავრობას უფლება აქვს შეუთანხმდეს სხვა
სახელმწიფოების მთავრობასა, რომ ხაქაროველის მოქალაქე - ნაფიც
ვექილთა, მის თანამშემწეთა და კერძო ვექილს უფლება მიეცეს აწარ-
მოოს სხვისი საქმეები უცხო ქვეყნის სახამაროლოებში იმ პირო-
ბით, რომ ახლოვე უფლება მიენიჭოს უცხო სახელმწიფოს მოქალაქე
ნაფიც ვექილთა, მის თანამშემწეთა და კერძო ვექილს ხაქაროველში.

შ ვ ნ ი შ ვ ნ ა 2. იმ ვექილს, რომელსაც შემოადნომნულ მუხლით
დაეკარგება უფლება სახამაროლოში საქმისწარმოებისა, უფლება მიე-
ცეს დაახრულის ბოლომდე იმ საქმე, რომლის წარმოებაზე დაწყებული
იქნება სახამაროლოს დაწესებულებაში 1920 წლის იანვრის პირველ-
ღამედ.

2. გაუქმდეს ტყილობის სახამაროლო პალატის ოლქის ნაფიც ვე-
ქილთა საბჭო.

3. დაარსდეს ხაქაროველის ნაფიც ვექილთა საბჭო, რომლის ახარ-
ივებად მიწვევულ იქნეს, სახამაროლო დაწესებულებათა დახვედების მე-
358 და 359 მუხლებში განსაზღვრული წესით ხაქაროველის მოქალა-
ქე ნაფიც ვექილთა საზოგადო კრება.

4. დევნილი ესე ძალაში შედის დღემდე გამოცხადებინა "ხაქარ-
ოველის რესპუბლიკაში".-

1919 წ. ნოემბრის II.

ხაქაროველის დამფუძნებელი კრების
თავმჯდომარის უფროსი ა მ ს ა ნ ა ა ი *წმ. მომთაბაძე*

ხაქაროველის რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის მ კ ა ლ ბ ი ე *წმ. ბაქრაძე*
წმ. ბუაჩიშვილი



საქართველოს
დემოკრატიული
რესპუბლიკის
სამხედრო
სამართლებრივი
სამსახური



ადვოკატი და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

ავტორი: კონსტანტინე კორკველია

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის პროფესორი.

1. შესავალი

ორი ათეული წელი შესრულდა, რაც საქართველო გახდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მონაწილე (1999 წ.), რის შედეგადაც მის იურიდიულ სფეროში მყოფ პირებს მიეცათ ევროპულ სასამართლოში სარჩელების შეტანის შესაძლებლობა იმ უფლებებსა და თავისუფლებებთან დაკავშირებით, რომლებიც ვერ იქნა დაცული ეროვნულ დონეზე. ამავდროულად, ოცი წელი გავიდა, რაც ევროპული კონვენცია გახდა საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილი, ეროვნული სამართლის წყარო, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მართლმსაჯულების განხორციელებისას როგორც სასამართლო დავის გადაწყვეტის სამართლებრივი საფუძველი.

ამ პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვანი სამუშაო შესრულდა, რათა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია რეალურად გამხდარიყო საქართველოს სამართლებრივი სისტემის ნაწილი, რომელსაც გამოიყენებდნენ როგორც სასამართლო, ისე ადმინისტრაციულ ორგანოებში. კონვენცია და მისი სტანდარტები აისახა საქართველოს მრავალ ნორმატიულ აქტში. ჩატარდა არაერთი ღონისძიება პროფესიული ჯგუფებისათვის, მათ შორის ადვოკატების, მოსამართლეებისა და პროკურორებისათვის, რაც მიზნად ისახავდა ცნობიერების ამაღლებას ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებზე. ყოველივე ამის მიზანი კი იყო ევროპული სტანდარტების გამოყენების პრაქტიკის დამკვიდრება საქართველოში.

მიუხედავად გატარებული შრომატევადი სამუშაოსა, მრავალი სასწავლო კურსის, სემინარის, კონფერენციისა და, ზოგადად, ცნობიერების ამაღლების ღონისძიებისა, ისევე როგორც დიდი ფინანსური და ადამიანური რესურსების ხარჯვისა, გასული ორი ათეული წლის ანალიზი იძლევა არაერთგვაროვანი დასკვნის საფუძველს ევროპული სტანდარტების გამოყენების თვალსაზრისით. გადადგმული დადებითი ნაბიჯების მიუხედავად, რაც გამოიხატა კონვენციის სტანდარტების მზარდ, თუმცა არცთუ ყოველთვის მართებულ, გამოყენებაში, საკმარისი საფუძველია მტკიცებისათვის, რომ იურიდიული პროფესიების ყველა წარმომადგენელს ჯერ კიდევ ბოლომდე არ აქვს გაცნობიერებული, რა როლი ენიჭება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის და როგორ შეიძლება მისი გამოყენება ადამიანის უფლებათა უკეთ დასაცავად.

წინამდებარე სტატიამი გაანალიზდება ადვოკატების როლი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტების გამოყენებაში. ყურადღება გამახვილდება – როგორ შეუძლიათ ადვოკატებს არა მხოლოდ უკეთესად დაიცვან მარწმუნებლის უფლებები და ინტერესები, არამედ შეიტანონ თავიანთი წვლილი ევროპული სტანდარტების საფუძველზე ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის დახვეწაში.

სტატიაში, უპირველეს ყოვლისა, განიხილება ადვოკატის როლი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენებაში ეროვნულ დონეზე, ხოლო

მოგვიანებით გაანალიზდება მისი როლი ევროპულ დონეზე.

ამ სტატიის შებენიანი ფორმატი არ იძლევა არც მოსამართლეებისა და პროკურორების და არც იურიდიული პროფესიების სხვა წარმომადგენლების როლის ანალიზის საშუალებას ევროპულ სტანდარტებთან მიმართებით, თუმცა სტატიამ შეიძლება მოახდინოს ამ პროფესიების წარმომადგენელთა, განსაკუთრებით მოსამართლეთა, როლის ახლებურად გააზრების წახალისება.

2. ადვოკატის როლი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ეროვნულ დონეზე გამოყენებაში

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია აღიარებულია კონვენციის ყველა მონაწილე სახელმწიფოს, მათ შორის საქართველოს, მიერ ეროვნული კანონმდებლობის ნაწილად, რაც იმას ნიშნავს, რომ კონვენციისეული სტანდარტები (როგორც თავად კონვენცია და მისი ოქმები, ისე ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი) შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეროვნულ დონეზე მართლმსაჯულების განხორციელებისას.¹ საქართველოში როგორც კონსტიტუციის, ისე დარგობრივი კანონმდებლობის დონეზე აღიარებულია, რომ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, კანონმდებლობის ნაწილია და პირდაპირი მოქმედებისა.² ევროპული კონვენციის პირდაპირი მოქმედების აღიარება დიდ



სამართლებრივ სირთულესთან არ არის დაკავშირებული, თუმცა პრაქტიკაში საჭიროა საკმაოდ დიდი დრო, წლები და, შეიძლება, ათწლეულებიც კი, რომ შესაბამისი იურიდიული პროფესიების წარმომადგენლებმა, მათ შორის ადვოკატებმა, ეროვნულ კანონმდებლობასთან ერთად, გამოიყენონ ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები მართლმსაჯულების განხორციელებისას.

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში, რომლებმაც შედარებით გვიან აღიარეს კონვენციის პირდაპირი მოქმედება, ისე საქართველოში ადვოკატებმა დაიწყეს იმის გაცნობიერება, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების მოშველიება ევროპული სასამართლოს წინაშე მათთვის არის არა თავს მოხვეული ვალდებულება, არა დამატებითი ტვირთი, არამედ საშუალება, რომ კონვენციის სტანდარტების გამოყენებით მათი პოზიცია და არგუმენტები უფრო დამაჯერებელი გახდეს სასამართლოსათვის, რითაც გაიზრდება სასამართლოში მათი წარმატების შანსი.

მართლმსაჯულების განხორციელებისას ადამიანის უფლებათა ევროპული სტან-

დარტების გამოყენებას აქვს რამდენიმე უპირატესობა. ამ სტანდარტების გამოყენებით ადვოკატს შეუძლია არა მხოლოდ მიაღწიოს წარმატებას კონკრეტულ საქმეზე, არამედ დადებითი გავლენა მოახდინოს ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის განვითარებაზე, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენებით ადვოკატებს შეუძლიათ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ და დახმარება გაუწიონ ეროვნულ სასამართლოებს:

- ა) ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების შესაბამისი ევროპული სტანდარტების განვითარებაში;
- ბ) ევროპულ კანონმდებლობაში არსებული სამართლებრივი ვაკუუმის შევსებაში;
- გ) ევროპულ სტანდარტებსა და ეროვნულ კანონმდებლობას შორის კოლიზიის თავიდან აცილებაში;
- დ) ზოგადად ან ბუნდოვნად ფორმულირებული ევროპული კანონმდებლობის სწორად განმარტების უზრუნველყოფაში;

- ე) ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა განჭვრეტაში;
- ვ) ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებისათვის მეტი დამაჯერებლობის შექმნაში.

2.1. ადვოკატის როლი ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების შესაბამისი ევროპული სტანდარტების განვითარებაში

ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენებით ადვოკატს შეუძლია, დაეხმაროს ეროვნულ სასამართლოებს, განავითაროს ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები ევროპული სტანდარტების შესაბამისად.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც განაპირობებს ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების შესაბამისად ევროპული კანონმდებლობისა და პრაქტიკის განმარტებასა და გამოყენებას, არის ის, რომ კონვენცია მიჩნეულია „ცოცხალ“ დოკუმენტად, რომლის დებულებები უნდა განიმარტოს საზოგადოებრივი ცნობიერების შეცვლისა და განვითარების კვალდაკვალ. თუ ევროპული კანონმდებლობა და პრაქტიკა განიმარტება და გამოიყენება არა ევროპუ-



ლი სტანდარტების შესაბამისად, არამედ უფრო ვიწროდ, ისინი შეიძლება ჩამორჩნენ ევროპულ სტანდარტებს, რისი შედეგიც იქნება ევროპული კონვენციით დადგენილი სტანდარტების დარღვევა.

2.2. ადვოკატის როლი ევროპულ კანონმდებლობაში არსებული სამართლებრივი ვაკუუმის შევსებაში

ადვოკატებს შეუძლიათ ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენება, რათა დაეხმარონ ევროპულ სასამართლოებს კანონმდებლობაში არსებული სამართლებრივი ვაკუუმის შევსებაში. ეს შეიძლება მოხდეს, როდესაც ევროპული კანონმდებლობა არ აწესრიგებს შესაბამის სამართლებრივ ურთიერთობას (სახეზეა სამართლებრივი ვაკუუმი), მაშინ, როდესაც შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობა წესრიგდება ევროპული კონვენციის სტანდარტებით. ევროპულმა სასამართლოებმა ევროპული სტანდარტები შეიძლება გამოიყენონ როგორც სამართლებრივი გამოსავალი, გარკვეული გზამკვლევი იმისა, როგორ უნდა გადაწყდეს სამართლებრივი საკითხი.

2.3. ადვოკატის როლი ევროპულ სტანდარტებსა და ევროპულ კანონმდებლობას შორის კოლიზიის თავიდან აცილებაში

ადვოკატის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენებას შეუძლია, უზრუნველყოს არა მხოლოდ

ევროპულ სტანდარტებსა და ევროპულ კანონმდებლობას შორის კოლიზიის თავიდან აცილება, არამედ ასევე მოახდინოს სტიმულირება, რომ ევროპული კანონმდებლობა შესაბამისობაში მოიყვანონ კონვენციის სტანდარტებთან.

2.4. ადვოკატის როლი ზოგადად ან ბუნდოვნად ფორმულირებული ევროპული კანონმდებლობის სწორად განმარტებაში

ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების მიხედვით ევროპული კანონმდებლობის განმარტებამ ადვოკატის მიერ შეიძლება წახალისოს ევროპული სასამართლო, რომ მან სწორად განმარტოს ზოგადად ან ბუნდოვნად ფორმულირებული ევროპული კანონმდებლობის დებულებები.

კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით ევროპული კანონმდებლობის განმარტება შეიძლება მოხდეს მაშინ, როდესაც ევროპული კანონმდებლობა საკმარისი სიზუსტით არ აწესრიგებს გარკვეულ სამართლებრივ ურთიერთობას, რაც ქმნის არასწორი გადაწყვეტილების გამოტანის საფრთხეს და რისი შედეგიც შეიძლება იყოს სახელმწიფოს მიერ კონვენციით გათვალისწინებულ ვალდებულებათა დარღვევა.

საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში არის ასეთი შემთხვევები. ერთ-ერთი ადრინდელი საქმე, რომელზეც გა-

დაწყვეტილება საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა (2002 წ.), ეხებოდა ყურნალისტის მიერ გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიას. ის შეიცავდა მაღალი რანგის თანამდებობის პირის კრიტიკას,³ რომელიც ამტკიცებდა, რომ საგაზეთო პუბლიკაციით შეილახა მისი პატივი და ღირსება და ის უნდა იქნეს უარყოფილი.

ვინაიდან საქართველოს იმდროინდელი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა პოლიტიკოსთა და მაღალი რანგის საჯარო მოხელეთა თმენის ვალდებულებას, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გამოიყენა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ევროპული კანონმდებლობის სწორი განმარტებისათვის. ასეთი განმარტების შედეგად, უზენაესმა სასამართლომ სწორად დაადგინა, რომ მაღალი რანგის საჯარო მოხელეებს, განსხვავებით კერძო პირებისაგან, აქვთ თმენის ვალდებულება, როდესაც კრიტიკა ეხება მათ საჯარო საქმიანობას.

უდავოა, რომ ამ საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენებამ ევროპულ სასამართლოს მისცა შესაძლებლობა, სწორად განემარტა ევროპული კანონმდებლობა და მიეღო სამართლიანი გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილების შედეგად, საქართველოს სასამართლოებში დამკვიდრდა სწორი პრაქტიკა, რომლის მიხედვით, პოლიტიკოსებსა და მაღალი რანგის

თანამდებობის პირებს ეკისრებოდათ თმენის ვალდებულება, თუმცა 2004 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ, რომელმაც საკანონმდებლო დონეზე განამტკიცა თმენის ვალდებულების ევროპული სტანდარტი.

2.5. ადვოკატის როლი ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა განჭვრეტაში

ადვოკატის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების მოშველიება შეიძლება დაეხმაროს ეროვნულ სასამართლოს, განჭვრეტოს საკუთარი გადაწყვეტილების ბედი ევროპულ სასამართლოში, თუ მოსარჩელე, ეროვნულ დონეზე სამართლებრივი საშუალებების ამოწურვის შემდეგ, სარჩელს შეიტანს ევროპულ სასამართლოში.

თუ ეროვნული სასამართლო არ გაითვალისწინებს ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, რომელშიც სხვა სახელმწიფოსთან მიმართებით მსგავს საქმეზე უკვე დადგინდა კონვენციის დარღვევა, მოსალოდნელია, რომ საქართველოს წინააღმდეგ შეტანილ სარჩელთან დაკავშირებით ევროპული სასამართლო მსგავს გადაწყვეტილებას მიიღებს და დაადგენს კონვენციის დარღვევას.

ამიტომ, ცხადია, რომ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება ეროვნული სასამართლოსა და, ზოგადად, სახელმწიფოს ინტერესებშია, ვინაიდან ეს აძლევს შესაძლებლობას ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომ დაიცვან საკუთარი უფლებები და ინტერესები ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების შესაბამისად. თუ ეროვნული სასამართლოები გამოიყენებენ ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს და დაიცავენ პირთა უფლებებს ევროპული სტანდარტების მიხედვით, ალბათობა, რომ ეს პირები მიმართავენ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს თავიანთი უფლებების დასაცავად, მცირეა და, შესაბამისად, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ადამიანის

უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინოს კონვენციის დარღვევა საქართველოს მიერ.

2.6. ადვოკატის როლი სასამართლოს გადაწყვეტილებისათვის სამართლებრივი დამაჯერებლობის შექმნაში

თუ ადვოკატის არგუმენტები, რომლებიც ეფუძნება ევროპულ სტანდარტებს, დამაჯერებელი იქნება ეროვნული სასამართლოსათვის, დიდი ალბათობაა, რომ ეროვნულმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში მოახდინოს ევროპული სტანდარტების დეტალური ანალიზი, რათა დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება მათ საფუძველზე. ასეთი გადაწყვეტილება დიდი ალბათობით უფრო დამაჯერებელი იქნება დავის მხარეთათვის, მიუხედავად იმისა, რომელი მხარის სასარგებლოდ იქნება ეს გადაწყვეტილება.

ადვოკატის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების მოშველიება შეიძლება დაეხმაროს ეროვნულ სასამართლოს, განჭვრეტოს საკუთარი გადაწყვეტილების ბედი ევროპულ სასამართლოში.

ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოსარჩელემ ეჭვი შეიტანოს სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლიანობაში, თუ ეროვნული სასამართლო თავის გადაწყვეტილებას დააფუძნებს არა მხოლოდ ეროვნულ კანონმდებლობაზე (რომელიც, მხარის აზრით, შეიძლება იყოს ხარვეზიანი ან კონვენციის სტანდარტებთან შეუსაბამო), არამედ ასევე ევროპული კონვენციის სტანდარტებზე, რომლებსაც მოსარჩელე ეჭვის ქვეშ არ დააყენებს მასში გათვალისწინებული მაღალი სტანდარტების გამო.

თუ მართლმსაჯულების განხორციელებისას ეროვნული სასამართლო გამოიყენებს ადამიანის უფლებათა ევროპულ

სტანდარტებს და უზრუნველყოფს მათ დაცვას ამ სტანდარტებით, მიღებული გადაწყვეტილებები იქნება უფრო დამაჯერებელი და სანდო დავის მხარეთათვის.

2.7. ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენებლობის მიზეზები

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენების მზარდი რაოდენობის შემთხვევებია, ამ პროცესს ხელს მაინც უშლის რიგი მიზეზებისა:

ა) მართლმსაჯულების განხორციელებისას ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენებლობის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ ეროვნული მოსამართლეები გადატირთულნი არიან მიმდინარე სასამართლო საქმეებით. თუ მოსამართლის წინაშე არსებული საქმეების რაოდენობა მეტისმეტად დიდია, მაღალი ალბათობით, იგი ვერ მოახერხებს ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენებას და სასამართლო დავას გადაწყვეტს მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე. მოსამართლეთა გადატვირთულობის პირობებში ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების ნაკლები ალბათობა განპირობებულია იმით, რომ ასეთი პრეცედენტების მოძიებას სჭირდება დრო და ძალისხმევა, ვინაიდან ისინი გაფანტულია ევროპული სასამართლოს სხვადასხვა გადაწყვეტილებაში, განსხვავებით ეროვნული კანონმდებლობისაგან, რომელიც ერთ ან, უკიდურეს შემთხვევაში, რამდენიმე ნორმატიულ აქტში არის თავმოყრილი. ამას გარდა, მოსამართლეების დიდი ნაწილი (ისევე როგორც ადვოკატების) ენობრივი ბარიერების გამო ვერ სარგებლობს ამ გადაწყვეტილებებით, რომლებიც ქვეყნდება ინგლისურ და/ან ფრანგულ ენებზე. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ნაწილი ქვეყნდება ქართულ ენაზე, მათი რაოდენობა ზღვაში წვეთია ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ერთო რაოდენობასთან შედარებით.

ეროვნული სასამართლოების მიერ ევროპული კონვენციის სტანდარტების გამოყენებას ხელს შეუწყობდა, თუ ადვოკატები აქტიურად მოიშველიებდნენ ევროპული კონვენციის სტანდარტებს ეროვნული სასამართლოების წინაშე თავიანთი პოზიციის დასასაბუთებლად.

ბ) მართლმსაჯულების განხორციელებისას ევროპული სტანდარტების გამოყენების მთავარი მიზეზია ხარვეზები მოსამზადებელ (საგანმანათლებლო) და საინფორმაციო პოლიტიკაში.⁴ ბუნებრივია, რომ ადვოკატები და მოსამართლეები, რომლებსაც არ აქვთ საკმარისი კვალიფიკაცია ევროპულ სტანდარტებთან მიმართებით, ან აქვთ ინფორმაციის ნაკლებობა კონკრეტული უფლებებისა და თავისუფლებების კონვენციისული განმარტების შესახებ, დიდი ალბათობით თავს შეიკავებენ ამ სტანდარტებთან მიმართებით თავიანთი პოზიციის გამოხატვისაგან.

ევროპის საბჭოს გამოცდილების გამოარება ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებზე საუნივერსიტეტო განათლებასა და პროფესიულ მომზადებაში სასარგებლო იქნება ადვოკატებისათვის და, ამავდროულად, ხელს შეუწყობს, რათა ეროვნულმა სასამართლოებმა გამოიყენონ ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები მართლმსაჯულების განხორციელებისას.⁵

გ) კიდევ ერთი მიზეზი, რომელიც ხელს უშლის ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენებას, არის ზოგიერთი ადვოკატისა და მოსამართლის შეხედულება, რომ კონვენციის სტანდარტების გამოყენება უსარგებლოა, რადგან ისინი არ აწესრიგებენ შესაბამის სამართლებრივ საკითხს, ან ეს ევროპული სტანდარტები უფრო დაბალია, ვიდრე ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტები. მათი აზრით, ამ მიზეზის გამო ევროპული სტანდარტების გამოყენება ვერ შეიტანს დადებით წვლილს ადამიანის უფლებათა უკეთესად დაცვაში, რის გამოც აზრი არ აქვს ამ სტანდარტების გამოყენებას.

ზოგიერთი ადვოკატი და მოსამართლე კონკრეტულ საქმეზე შემოიფარგლება

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ტექსტის განხილვით და არ ახდენს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ანალიზს, რის შედეგადაც აკეთებს მცდარ დასკვნას, რომ კონვენცია არ აწესრიგებს დავის საგანს. ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ანალიზის გარეშე, ადვოკატი ან მოსამართლე დიდი ალბათობით დაასკვნის, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები არ ეხება სასამართლოს წინაშე წარმოქმნილ დავას. ადვოკატებისა და მოსამართლეების შეხედულება, რომ კონკრეტული სამართლებრივი საკითხი არ წესრიგდება ევროპული კონვენციის სტანდარტებით, შეიძლება, იოლად შეიცვალოს, თუ ისინი გამოიჩენენ ძალისხმევას და გააანალიზებენ ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

3. ადვოკატის როლი ევროპულ დონეზე

ადვოკატის როლი პირთა უფლებებისა და ინტერესების დაცვაში არ შემოიფარგლება მისი საქმიანობით ეროვნულ დონეზე. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, რომელმაც დააარსა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ითვალისწინებს ადვოკატის მნიშვნელოვან როლს ადამიანის უფლებათა დაცვაში ევროპულ დონეზე.

ადვოკატების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსათვის მიმართვა გამოწვეულია მისი მარწმუნებლის იმ უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სურვილით, რომლებიც დაირღვა ეროვნულ დონეზე. კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის მიზეზები შეიძლება იყოს როგორც ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შეუსაბამობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან, ისე ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფი ეროვნული სტანდარტების შეუსრულებლობა (დაუცველობა) ამ პირთა მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომელია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღ-

ვევის მიზეზი, ადვოკატმა შეიძლება არა მხოლოდ დაიცვას მისი მარწმუნებლის უფლებები და ინტერესები, არამედ ევროპული სასამართლოს მეშვეობით მოახდინოს დადებითი გავლენა ეროვნულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე.

შეტანილი სარჩელის საფუძველზე ევროპულმა სასამართლომ შეიძლება დაადგინოს ადამიანის უფლებათა დარღვევა იმის გამო, რომ ეროვნული კანონმდებლობა და/ან ადმინისტრაციული პრაქტიკა არ არის ევროპული სტანდარტების შესაბამისი. ამ გადაწყვეტილების შედეგი კი ის იქნება, რომ გადაწყვეტილების აღსრულების პრო-

ადვოკატის სარჩელმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ევროპული კონვენციის სტანდარტებთან ეროვნული კანონმდებლობისა და/ან პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანაზე.

ცესში სახელმწიფოს მოუწევს კანონმდებლობის ან პრაქტიკის შეცვლა და ისეთი სტანდარტის დამკვიდრება, რომელიც შესაბამისი იქნება ევროპული კონვენციის სტანდარტებისა. აქედან გამომდინარე, ადვოკატის სარჩელმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ევროპული კონვენციის სტანდარტებთან ეროვნული კანონმდებლობისა და/ან პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანაზე.

ადვოკატებმა, რომლებსაც სარჩელი შეაქვთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, შეიძლება გავლენა მოახდინონ არა მხოლოდ მოპასუხე სახელმწიფოს, არამედ სხვა ქვეყნების ეროვნულ სამართალსა და პრაქტიკაზე, რომლებშიც მსგავსი პრობლემები არსებობს. ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების პრაქტიკაში არსებობს არაერთი მაგალითი, როდესაც ევროპული სასამართლოს ერთმა გადაწყვეტილებამ გავლენა მოახდინა არა მხოლოდ მოპასუხე სახელმწიფოს, არამედ ასევე სხვა ევროპული ქვეყნების კანონმდებ-

ლობასა და სასამართლო/ადმინისტრაციულ პრაქტიკაზე.

როგორც ცნობილია, როდესაც ევროპული სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას კონკრეტულ საქმეზე, ის ადგენს გარკვეულ სტანდარტს, რომლის მნიშვნელობა სცდება კონკრეტული საქმის ფარგლებს.⁶ ევროპულმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ყურადღება გაამახვილა ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების დადგენის ფუნქციაზე. კერძოდ, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა: „სასამართლოს გადაწყვეტილებები სინამდვილეში ემსახურება არა მხოლოდ იმას, რომ გადაწყვიტოს ის საქმეები, რომლებიც წარდგენილია სასამართლოს წინაშე, არამედ უფრო ზოგადად განმარტოს, დაიცვას და განავითაროს კონვენციით ჩამოყალიბებული წესები, რომელთა მეშვეობითაც ხელს შეუწყობს სახელმწიფოების მიერ იმ ვალდებულებების შესრულებას, რომლებიც მათ, როგორც ხელშემკვრელმა მხარეებმა, იკისრეს.“⁷

იმ საქმეებზეც კი, რომლებიც არ ეხება ეროვნული კანონმდებლობისა და/ან პრაქტიკის შესაბამობას ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან, ადვოკატები მაინც ასრულებენ მნიშვნელოვან როლს. ზოგიერთ შემთხვევაში ადვოკატის ძალისხმევა შეიძლება უფრო შედეგიანი აღმოჩნდეს, ვიდრე სახელმწიფო ინსტიტუტებისა თავიანთი სამართლებრივი ბერკეტებით, ადმინისტრაციული და ადამიანური რესურსებით.

ადვოკატის მნიშვნელოვანი როლის მაგალითია საქმე *ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ* – ერთ-ერთი პირველი საქმე, რომელშიც ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევა საქართველოს მიერ.⁸ თენგიზ ასანიძე, რომელიც ქ. ბათუმის მერი იყო, იხდიდა სასჯელს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში უკანონო ფინანსური ოპერაციებისა და იარაღის შენახვისა და ტარებისათვის, რისთვისაც მას 1994 წელს მიუსაჯეს რვაწლიანი პატიმრობა. 1999

წელს საქართველოს პრეზიდენტმა შეიწყალა თენგიზ ასანიძე, თუმცა იგი არ გაუთავისუფლებიათ პატიმრობიდან. მოგვიანებით მას ბრალი წაუყენეს გატაცებისათვის, ხოლო 2000 წელს აჭარის უმაღლესმა სასამართლომ შეუფარდა თორმეტწლიანი პატიმრობა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გაამართლა თენგიზ ასანიძე, ის მაინც არ გაათავისუფლა იმდროინდელმა ადგილობრივმა ხელისუფლებამ.

მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების მცდელობებისა, მან ვერ შეძლო მოსარჩელის უფლებების დაცვა და თენგიზ ასანიძე რჩებოდა საპატიმრო დაწესებულებაში.

თენგიზ ასანიძემ ადვოკატთა დახმარებით მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საქართველოს წინააღმდეგ. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მოპასუხე სახელმწიფოს მიერ კონვენციის დარღვევა და განაცხადა, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მოსარჩელის დაუყოვნებლივი გათავისუფლება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება წლების განმავლობაში ვერაფერს გახდა, უზრუნველყო თენგიზ ასანიძის უფლებების დაცვა და მისი გათავისუფლება, ევროპულ სასამართლოს, გადაწყვეტილების გამოცხადებიდან მხოლოდ რამდენიმე საათი დასჭირდა მოსარჩელის საპატიმროდან გასათავისუფლებლად. ეს საქმე ადასტურებს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ადვოკატთა ძალისხმევა შეიძლება უფრო წარმატებული აღმოჩნდეს, ვიდრე მთელი სახელმწიფოსი.

4. დასკვნა

სტატიაში განხილული საკითხები ცხადყოფს, რომ პირთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის ძირითად ფუნქციასთან ერთად, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენებით ადვოკატს შეუძლია მნიშვნელოვანი როლის შესრულება როგორც ეროვნულ, ისე ევროპულ დონეზე.

ეროვნულ დონეზე, კონვენციის სტანდარტების დახმარებით, ადვოკატს შეუძლია, დადებითი გავლენა მოახდინოს ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის განვითარებაზე, ისევე როგორც მათ სწორ განმარტებასა და გამოყენებაზე.

ევროპულ დონეზე ადვოკატებს შეუძლიათ ისეთი შედეგის მიღწევა, რომლებიც არცთუ იშვიათად მიუღწეველია ეროვნულ დონეზე. ევროპულ სასამართლოში წარმატებული სარჩელის შეტანას შეიძლება მოჰყვეს მოპასუხე სახელმწიფოს ეროვნული სამართლისა და/ან იურიდიული/ადმინისტრაციული პრაქტიკის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

უფრო ზოგადად, ადვოკატებს შეუძლიათ, მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა ქვეყანაში ადამიანის უფლებათა ევროპული კულტურის ჩამოყალიბებასა და სამართლის უზენაესობის დამკვიდრების ხელშეწყობაში.

1 დეტალურად იხ. კ. კორკელია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, თბ., 2004.

2 საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ საქართველოს კანონის მე-6(1) მუხლი.

3 გადაწყვეტილება, N3კ-390-02, 2002 წლის 4 ივლისი, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები: სამოქალაქო, სამწარმო და გავორების საქმეებზე, 10, 2002 წელი.

4 იხ. კ. კორკელია, სასწავლო პროგრამა და საგამოცდო სტანდარტები ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში მოსამართლეებისათვის, პროკურორების, ადვოკატებისა და მოსამართლეთა თანამეწევისათვის, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, სტატიათა კრებული, კ. კორკელია (რედ.), თბ., 2006, 144-187.

5 Recommendation Rec(2004)4 of the Committee of Ministers of the Council of Europe to member States on the European Convention on Human Rights in University Education and Professional Trainings, 12 May, 2004.

6 J. Polakiewicz, The Implementation of the ECHR and of the Decisions of the Strasbourg Court in Western Europe: An Evaluation, The Domestic Implementation of the European Convention on Human Rights in Eastern and Western Europe, E. Alkema, T. Bellekom, A. Drzemczewski (Eds.) 1992, 154.

7 *ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Ireland v. the United Kingdom)*, 1978 წლის 18 იანვარი, 154-ე პუნქტი.

8 2004 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება.





პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები

ავტორი: ბესარიონ ბოხაშვილი
 გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობა სამხრეთ კავკასიაში

შესავალი

პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება ერთ-ერთი იმ ფუნდამენტური უფლებათაგანია, რომელიც განმტკიცებულია უნივერსალურ და რეგიონულ დონეზე მიღებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

„1. ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას...“

პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებით დაცულ ურთიერთობათა სფერო საკმაოდ ფართოა და არ ექვემდებარება ამომწურავ განსაზღვრებას (კოსტელო-რობერტსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Costello-Roberts v. the United Kingdom), 1993 წლის 25 მარტი, 36-ე პუნქტი.). არც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის ტექსტი და არც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ამომწურავად არ განსაზღვრავს პირად ცხოვრებას. საქმეზე – ნიმიეტცი გერმანიის წინააღმდეგ (Niemietz v. Germany) – ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ: „სასამართლო არ თვლის შესაძლებლად ან აუცილებლად, ამომწურავად განსაზღვროს „პირადი ცხოვრების“ კონცეფცია. თუმცა, ძალზე შეზღუდული იქნებოდა ამ კონცეფციის შემოფარგვლა „შიდა წრით“, რომელშიც ინდივიდი შეიძლება მის მიერ არჩეული პირადი ცხოვრებით ცხოვრობდეს და მისგან გამო-

რიცხავდეს გარე სამყაროს, რომელიც არ შედის ამ წრეში. პირადი ცხოვრების პატივისცემა ასევე უნდა მოიცავდეს, გარკვეულ ფარგლებში, „სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებისა და განვითარების უფლებას.“

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მოიშველია „პირადი ავტონომია“, როგორც კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული პირადი ცხოვრების განმარტების მნიშვნელოვანი პრინციპი. მან მიუთითა, რომ მე-8 მუხლით დაცულია თითოეული ინდივიდის პირადი სფერო, მისი, როგორც ინდივიდუალური ადამიანის, იდენტურობის დეტალების დადგენის უფლების ჩათვლით (იხ. კრისტინ გუდვინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Christine Goodwin v. the United Kingdom), 2002 წლის 11 ივლისი, 90-ე პუნქტი).

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ამომწურავად არ განმარტა პირადი ცხოვრების კონცეფცია, სასამართლოს პრაქტიკამ ნათელი მოჰფინა იმ საკითხების ნაწილს, რომლებიც განეკუთვნება პირად ცხოვრებას.

პატივი და ღირსება

ადამიანის პატივი და ღირსება პირადი ცხოვრების უფლებით დაცული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიკეთეა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ პატივისა და ღირსების შელახვასთან დაკავშირებით განხილული საქმეები, ძირითადად, ეხება ისეთ ფაქტობრივ გარემოებებს, როდესაც კონკრეტული ფიზიკური

ან იურიდიული პირების გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობამ შეიძლება შელახოს ინდივიდთა პატივი და ღირსება. ვინაიდან გამოხატვის თავისუფლება მიჩნეულია დემოკრატიული და პლურალისტური საზოგადოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქვაკუთხედად, იმ საქმეებში, რომლებშიც წინააღმდეგობაში მოდის, ერთი მხრივ, გამოხატვის თავისუფლება და, მეორე მხრივ, პატივისა და ღირსების დაცვა, საერთაშორისო საზედამხებდევლო ორგანოები, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, პირველ რიგში, ყურადღებას ამახვილებს შემდეგ საკითხებზე:

ა) რამდენად ეხება კონკრეტული გამონათქვამი, ფილმი, სტატია, სიუჟეტი და სხვ. საზოგადოებრივი ინტერესის საგანს. ამ შემთხვევაში საზოგადოებრივი ინტერესი არ გულისხმობს კონკრეტული პირის ან პირთა ჯგუფის ინტერესს, ჰქონდეს ინფორმაცია სხვა, თუნდაც ცნობილი, პირის პირადი ცხოვრების შესახებ, არამედ გულისხმობს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა: სახელმწიფო უშიშროება, საზოგადოებრივი უსაფრთხოება, კორუფციასთან ბრძოლა, ჯანმრთელი გარემო, სამართლის უზენაესობა, მართლმსაჯულება, სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა, საჯარო ინფორმაციისა და მომსახურების ხელმისაწვდომობა მოქალაქეთათვის, ეფექტიანი მმართველობა, პასუხისმგებლობა და სხვ (იხ. პორუბოვა რუსეთის წინააღმდეგ, Porubova v. Russia, პუნქტი 45).;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ ჩრდილი მიადგა პატივსა და ღირსებას, რა კონტექსტში მოხდა ეს – ეხებოდა თუ არა გამონათქვამები ინდივიდის საჯარო საქმიანობას, ეს ეხებოდა ფაქტს, თუ იყო შეფასებითი მსჯელობა, რა სახის ქმედებამ და რა ფორმით მოახდინა პირის პატივის ან ღირსების შელახვა და სხვა (ვონ ჰანოვერი გერმანიის წინააღმდეგ Von Hannover (1) v. Germany პუნქტი 60).;

გ) რამდენად იყო პირის მიმართ გამოთქმული გამონათქვამები ან სიუჟეტი გამოწვეული თავად ამ პირის ქმედებით (ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ Oberschlik v. Austria (2) პუნქტი 33);

დ) მართლმსაჯულების ეროვნულმა ორგანოებმა რამდენად პროპორციულად დაადგინეს ბალანსი გამოხატვის თავისუფლებასა და პატივისა და ღირსების დაცვას შორის (Amilachioae v. Moldova).

პირადი მონაცემების შეგროვება და მათზე წვდომა, ფოტო და ვიდეო მასალა

პირადი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ნაწილად ევროპული სასამართლო მიიჩნევს პირად მონაცემებსა და ინფორმაციას ისევე როგორც ფოტო-ვიდეო მასალას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, პირადი ცხოვრება ასევე მოიცავს, გარკვეულ ფარგლებში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობას, მათ შორის სამსახურებრივ ურთიერთობასაც (ნიმეტცი გერმანიის წინააღმდეგ (Niemietz v. Germany), 1992 წლის 16 დეკემბერი, 29-ე პუნქტი; ჰალფორდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Halford v. the United Kingdom), 1997 წლის 25 ივნისი, 42-ე–46-ე პუნქტები.). ყოველდღიურ ცხოვრებაში პირს უწევს გარკვეული საქმიანობის წარმართვა, ურთიერთობა ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან, საზოგადოების სხვა ასეთი ურთიერთობების შესახებ ან ინდივიდის სხვა პირადი მონაცემების

სისტემატურად შეგროვება და შენახვა ხელისუფლების ორგანოების მხრიდან არის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების შეზღუდვა, რაც ჯეროვნად უნდა იქნეს გამართლებული და დასაბუთებული ხელისუფლების ორგანოების მხრიდან. ანალოგიური ვალდებულებები ეკისრება ხელისუფლების ორგანოებს, თუნდაც პირადი მონაცემები შეგროვებული იყოს საჯარო ადგილებში (პეკი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Peck v. the United Kingdom), 2003 წლის 28 იანვარი, 56-ე პუნქტი), ეხებოდეს ექსკლუზიურად პირის პროფესიულ ან საჯარო საქმიანობას (ამანი შვეიცარიის წინააღმდეგ (Amann v. Switzerland), 2000 წლის 16 თებერვალი, 65-ე–67-ე პუნქტები; როტარუ რუმინეთის წინააღმდეგ (Rotaru

პირის თანხმობის გარეშე მის სხეულთან მიმართებით განხორციელებული ნებისმიერი ხასიათის ქმედება, თვალთვალი, საქმედიცინო მანიპულაცია, რაოდენ მცირე მნიშვნელობისაც არ უნდა იყოს ის, ითვლება პირად ცხოვრებაში ჩარევად

v. Romania), დიდი პალატა, 2000 წლის 4 მაისი, 43-ე–44-ე პუნქტები.), ეხებოდეს პირის ჯანმრთელობას (L.L. საფრანგეთის წინააღმდეგ (L.L. v. France)), ეხებოდეს პირის გადაადგილების მარშრუტს ან მის ადგილსამყოფელს (უზუნი გერმანიის წინააღმდეგ (Uzun v. Germany), 2010 წლის 2 სექტემბერი, 51-ე–53-ე პუნქტები), ასევე გულისხმობდეს პირის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას თუნდაც უახლოესი სისხლით ნათესავისათვის (ოდივერი საფრანგეთის წინააღმდეგ (Odievre v. France), 2003 წლის 13 თებერვალი), ან იყოს პირის ბიოლოგიური იდენტიფიცირების საშუალება („ს“ და

მარპერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (S. and Marper v. the United Kingdom), 2008 წლის 4 დეკემბერი.).

ევროპული სასამართლოს განმარტებით ინდივიდის ფოტო- და ვიდეო-გამოსახულება განსაკუთრებით არის დაცული პირადი ცხოვრების უფლებით. საქმეზე – ერიკაინენი და სხვები ფინეთის წინააღმდეგ (Eerikainen and others v. Finland) – ევროპულმა სასამართლომ განაცხადა:

„სასამართლოს აზრით, ფოტოსურათის ან ვიდეო გამოსახულების გამოქვეყნება, ზოგადად, უნდა იქნეს განხილული, როგორც პირის პირად ცხოვრებაში უფრო არსებითი ჩარევა, ვიდრე პირის ვინაობის ან სახელის მოხსენიება.“ (2009 წლის 10 თებერვალი; ასევე იხ. „ვერლაგსგრუპე ნიუს GmbH“ ავსტრიის წინააღმდეგ (Verlagsgruppe News GmbH v. Austria), 2006 წლის 14 დეკემბერი)

ადამიანის სხეული და სიცოცხლე

ევროპული სასამართლოს მიერ ბოლო პერიოდში განვითარებული პრეცედენტული სამართალი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ინდივიდის ფიზიკურ ხელშეუხებლობაზე, რაც უწინარესად, გულისხმობს და იცავს პირის სხეულს, რომელსაც სასამართლო ადამიანის პირადი ცხოვრების ყველაზე ინტიმურ ნაწილად თვლის. პირის თანხმობის გარეშე მის სხეულთან მიმართებით განხორციელებული ნებისმიერი ხასიათის ქმედება, თვალთვალი, სამედიცინო მანიპულაცია, რაოდენ მცირე მნიშვნელობისაც არ უნდა იყოს ის, ითვლება პირად ცხოვრებაში ჩარევად (სოლომახინი უკრაინის წინააღმდეგ (Solomakhin v. Ukraine), 2012 წლის 15 მარტი, 33-ე პუნქტი; „ი.გ.“ და სხვები სლოვაკეთის წინააღმდეგ (I.G. and Others v. Slovakia), 2012 წლის 13 ნოემბერი, 135-ე–146-ე პუნქტები.). სხენებულის ნათელი მაგალითებია საქმეები კონოვალოვა რუსეთის წინააღმდეგ (Konovalova v. Russia



2014 წლის 9 ოქტომბერი) – რომელიც ეხებოდა, მოსარჩელის თანხმობის გარეშე, უცხო პირების დასწრებას მისი მშობიარობის პროცესზე და სოდერმანი შვედეთის წინააღმდეგ (Soderman v. Sweden 2013 წლის 12 ნოემბერი.) – რომელშიც მოსარჩელემ 14 წლის ასაკში აღმოაჩინა, რომ მისი მამინაცვალი აბაზანაში, გასარეცხი თეთრეულის კალათში მალულად დამონტაჟებული ვიდეოკამერით ახდენდა მის გადაღებას. ორივე ხსენებულ საქმეში სასამართლომ დაადგინა დარღვევა და განაცხადა, რომ ხელისუფლების ორგანოებმნა ვერ უზრუნველყვეს ჯეროვნად დაეცვათ მოსარჩელეთა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება. თუმცა ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევა და გაამართლა ხელისუფლების ორგანოების მიერ მოსარჩელის ადმინისტრაციული წესით დაკავება საქმეში გოუგი

გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Gough v. the United Kingdom) – სადაც მოსარჩელეს სწამდა ადამიანის სხეულის უმანკობისა და მისდევდა ცხოვრების ნუდისტურ სტილს, რაც გამოიხატებოდა საზოგადოებრივ ადგილებსა და ქუჩაში შიშველ სიარულში.

სასიკვდილო შედეგის დადგომა, როგორც ინდივიდის უფლება, ევროპულ სასამართლოს განხილული აქვს რამდენიმე უფლებასთან მიმართებით. ადრეულ საქმეებში ევროპულმა სასამართლომ ზოგადად მიიჩნია, რომ ევთანაზიასთან დაკავშირებით სახელმწიფოებს შორის არსებული განსხვავებული მიდგომების გამო, სახელმწიფოებს გააჩნდათ შეფასების ფართო ფარგლები იმის განსაზღვრისას, უნდა იქნეს თუ არა ინკრიმინირებულ ქმედებად გამოცხადებული სიკვდილის მოსწრაფებაში დახმარების აღმოჩენა. 2010 წლის შემდგომ

განხილულ საქმეებში ევროპულმა სასამართლომ ცალსახად დაადგინა, რომ სიკვდილის უფლება არის პირადი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. საქმეში ჰაასი შვეიცარიის წინააღმდეგ (Haas v. Switzerland) ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი. სასამართლომ აღნიშნა, რომ ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები ჯერ კიდევ შორს იყვნენ კონსენსუსის მიღწევისაგან ადამიანის უფლებასთან დაკავშირებით, – პირმა თავად აირჩიოს, თუ როგორ და როდის დაასრულოს მან სიცოცხლე. სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოებს ჰქონდათ ფართო დისკრეცია ამ საკითხებთან მიმართებით. მართალია, სასამართლომ აღიარა, რომ მოსარჩელეს შეიძლება სურდა სუიციდი უსაფრთხო და ღირსეული გზით და ყოველგვარი ტკივილის გარეშე, მაგრამ ჩათვალა, რომ შვეიცა-

რის კანონით დადგენილ მოთხოვნას, რომ ექიმის მიერ გაცემული ორეცეპტი ნატრიუმის ფენობარბიტალის მისაღებად, ჰქონდა კანონიერი მიზანი, კერძოდ, დაეცვა პირები ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღებისაგან. სასამართლომ მიიჩნია, რომ ორეცეპტის მოთხოვნა, რომელიც გაცივმა საფუძვლიანი ფსიქიატრიული შეფასების საფუძველზე, შესაბამებოდა კონვენციის მე-8 მუხლს. სხვა სიტყვებით, ერთი მხრივ, სასამართლომ აღიარა, რომ სიკვდილის უფლება ხვდება პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების სფეროში, ხოლო, მეორე მხრივ, განაცხადა, რომ გარკვეული პროცედურები, რომლებიც სახელმწიფომ შეიძლება დააწესოს ინდივიდის ფსიქიკური მდგომარეობის გადასამოწმებლად სიცოცხლის მოსწრაფებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში, არ არღვევდა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას. აღნიშნულის განხორციელებისას უმნიშვნელოვანესი იყო იმის იდენტიფიცირება, რამდენად სალი გონებით იღებდა პირი ამ გადაწყვეტილებას.

სქესობრივი ცხოვრება და საქსუალური ორიენტაცია

სქესობრივი ცხოვრება და საქსუალური ორიენტაცია ცალსახად ექვეა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების სფეროში. საქმეზე – დადგენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Dudgeon v. the United Kingdom* 1981 წლის 22 ოქტომბერი, 52-ე პუნქტი.), – რომელიც ეხებოდა ურთიერთთანხმობით ჰომოსექსუალურ ურთიერთობას სრულწლოვან მამაკაცებს შორის, – ევროპულმა სასამართლომ საქსუალური ცხოვრება განმარტა როგორც პირადი ცხოვრების ერთ ერთი „ყველაზე ინტიმური ასპექტი“. ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში საქსუალური იდენტობა და ორიენტაცია ჩამოყალიბდა იმ ნიშნად, რომლის საფუძველზეც განსხვავებული მოპყრობა ითვლება დისკრიმინაციად. ამავე დროს, გამოიკვეთა მრავალი პოზიტიური ღონისძიება, რომლებიც უნდა გაატარონ სახელმწიფოებმა, რათა მოხ-

დეს განსხვავებული ორიენტაციის პირთა პირადი ცხოვრების უფლების ჯეროვანი და სათანადო პატივისცემა.

აღმართის უფლებათა საერთაშორისო საზედამხედველო ორგანოებმა არაერთი საქმე განიხილეს, რომლებშიც მოსარჩელები დავობდნენ მათ მართლმართ დისკრიმინაციაზე სექსუალური ორიენტაციის ნიშნით, პირადი და ოჯახური ცხოვრების სფეროში. სასამართლომ ამ საქმეების ნაწილი განიხილა მხოლოდ პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან მიმართებით. თავდაპირველად ეს საქმეები შეეხებოდა ჰომოსექსუალური ურთიერთობების სისხლისსამართლებრივ აკრძალვას ზრდასრულებს შორის (დადგენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Dudgeon v. the United Kingdom*), 1981 წლის 22 ოქტომბერი; ნორის ირლანდიის წინააღმდეგ (*Norris v. Ireland*), 1988 წლის 26 ოქტომბერი; მოდინოს კვიპროსის წინააღმდეგ (*Modinos v. Cyprus*), 1993 წლის 22 აპრილი.) და შეიარაღებული ძალებიდან ჰომოსექსუალების განთავისუფლებას (სმიტი და გრედი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Smith and Grady v. the United Kingdom*), 1999 წლის 27 სექტემბერი.). პირველ შემთხვევაში, საერთაშორისო საზედამხედველო ორგანოებმა ცალსახად განაცხადეს, რომ ჰომოსექსუალური ურთიერთობების კრიმინალიზება შეუთავსებელია პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან; მეორე შემთხვევაში კი, სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ სამხედრო მოსამსახურეთა გათავისუფლება ჯარიდან მხოლოდ მათი ორიენტაციის გამო, როდესაც ირღვევა სამხედრო დისციპლინა ან მოქმედი ნორმები, ეწინააღმდეგება პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას.

მოგვიანებით განხილული საქმეები ეხებოდა ჰომოსექსუალი წყვილისათვის ქორწინების უფლების მინიჭებას (შალკი და კოფი ავსტრიის წინააღმდეგ (*Schalk and Kopf v. Austria*), ოფიციალური პარტნიორობის შესახებ აქტით ჰომოსექსუალ პირთა კავშირის აღიარების ვალდებულებას (ოლიარი და სხვები იტა-

ლიის წინააღმდეგ (*Oliari and Others v. Italy*) 2015 წლის 21 ივლისი.) მშობლის უფლება-მოვალეობების მინიჭებას (სალგუიერო და სულვა მუტა პორტუგალიის წინააღმდეგ (*Salgueiro da Silva Mouta v. Portugal*), 1999 წლის 21 დეკემბერი.), შვილად აყვანის ნებართვას (E.B. საფრანგეთის წინააღმდეგ (*E.B. v. France*), დიდი პალატა, 2008 წლის 22 იანვარი.), მემკვიდრეობის უფლებას გარდაცვლილი პარტნიორის საკუთრებაზე (კარნერი ავსტრიის წინააღმდეგ (*Karner v. Austria*) და კოზაკი პოლონეთის წინააღმდეგ (*Kozak v. Poland*), 2010 წლის 2 მარტი.) უფლებას სოციალური დაზღვევის პაკეტზე (P.B. და J.S. ავსტრიის წინააღმდეგ (*P.B. and J.S. v. Austria*), 2010 წლის 22 ივლისი.).

რაც შეეხება გენდერულ იდენტობას აღმართის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, მრავალ საქმეზე დაადგინა, რომ პოსტოპერაციულ ტრანსსექსუალებს შეუძლიათ, ამტკიცონ, რომ არიან პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევის მსხვერპლნი, მათი სქესის სამართლებრივი აღიარების არარსებობის შემთხვევაში (გრანტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Grant v. the United Kingdom*), 2006 წლის 23 მარტი, მე-40 პუნქტი; L. ლიუვის წინააღმდეგ (*L. v. Lithuania*), 2007 წლის 11 სექტემბერი, 59-ე პუნქტი.). სადაო რჩებოდა საკითხი იგივე ვალდებულებები გააჩნდათ თუ არა ხელისფლების ორგანოებს ტრანსსექსუალებთან მიმართებით, რომლებსაც არ ჰქონდათ გაკეთებული შესაბამისი ქირურგიული ოპერაცია. 2019 წელს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით საქმეზე X v. "the former Yugoslav Republic of Macedonia" (no. 29683/16) პუნქტი 70) სასამართლომ აღიარა იმ ტრანსსექსუალთა, რომელთაც არ ჰქონდათ გაკეთებული ოპერაცია, უფლება ესარგებლათ თავიანთი იდენტობის სამართლებრივი და სწრაფი აღიარების უფლებით.

სხვებულები საქმეების ანალიზის შედეგად ნათელი ხდება, რომ ევროპული სასამართლო სულ უფრო და უფრო მკაცრად აფასებს საქსუალური ორი-



ენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე განხორციელებულ განსხვებულ მიდგომას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მხრიდან და სულ უფრო ნაკლები არგუმენტი რჩებათა ხელისუფლების ორგანოებს გამართლონ განსხვავებული მოპყრობა ლგბტ თემთან დაკავშირებით.

დასკვნა

თავისი არსიდან და ურთიერთობების იმ ფართე სპექტრიდან გამომდინარე, რომლებიც ხვდება პირადი ცხოვრების კონცეფციის ფარგლებში, ეს უკანასკ-

ნელი მუდმივად ექვემდებარება სასამართლოს მხრიდან განმარტებასა და განვითარებას. ევროპული კონვენცია, როგორც სიცოცხლისუნარიანი დოკუმენტი, მუდმივად საჭიროებს იმგვარ განმარტებას, რომელიც შესაბამისი იქნება დღევანდელ რეალობასთან. სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, როგორც კონვენციის დებულებების, და მათ შორის პირადი ცხოვრების, განმარტების ყველაზე ავტორიტეტული წყარო, პერმანენტულად პროგრესირებს და ადამიანის უფლებათა სულ უფრო და უფრო მზარდი სტანდარტებიდან გამომდი-

ნარე ცხადყოფს რომ კონკრეტული ურთიერთობები, რომლებიც 90-იანი წლების განმავლობაში არ ხვდებოდა პირადი ცხოვრების უფლების სფეროში, ცალსახად იქნა აღიარებული პირადი ცხოვრების შემადგენელ ნაწილად ბოლო ათწლეულის განმავლობაში. შესაბამისად ხელისუფლების ორგანოებმა მუდმივად უნდა მოახდინონ თავიანთი კანონმდებლობებისა და პრაქტიკის მოდიფიცირება, რათა მათი ქმედებები შესაბამისობაში იყოს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასა და სასამართლოს მიერ დადგენილ მიდგომებთან.



მე რომ ადვოკატი ვიყო

ავტორი: დათო ტურაშვილი
მწერალი

ბავშობაში ფეხბურთელობა მინდოდა, მაგრამ მშობლებმა ფეხბურთზე არ შემოიყვანეს, – ფეხები საშინლად დაგელუნებოდა და მაშინ, ფეხბურთელების დიდ ნაწილს, მართლა დალუნული ფეხები ჰქონდა. რასაკვირველია, მაშინ არ ვიცოდი, რომ ტვინის დალუნვას, ფეხების დალუნვა ჯობდა (ამჟამად) და დედის სურვილს დავემორჩილე და მათემატიკის წრეს დავთანხმდი, მიუხედავად იმისა, რომ მათემატიკოსობა, მართლა არასოდეს მინდოდა.

მინდოდა ადვოკატობა (სინამდვილეში), თუმცა არა ბავშვობიდან, არამედ მერე, როცა ოთხმოცდაათიან წლებში, უკვე აღდგენილი გვქონდა დამოუკიდებლობა, მაგრამ ადამიანებს მაინც ჩაგრავენ და მე კი მეგონა რომ თავისუფლება, პირველ რიგში, სამართლიანობას ნიშნავდა.

არადა ვიცოდი, რომ საბჭოთა საქართველოში, სამართლებრივი პრობლემები, ჩემი სტუდენტობის დროსაც არსებობდა (სხვა პრობლემებთან ერთად) და ჩვენი მშობლიური უნივერსიტეტის შემთხვევაში კი, იურიდიული ფაკულტეტის ტრაგიკომიკური მაგალითი გვქონდა. ტრაგიკული ის იყო რომ მისაღები გამოცდების ჩაბარება და იურიდიულ ფაკულტეტზე მოხვედრა, თითქმის იგივე ღირდა, რაც სამედიცინო

ინსტიტუტის სტუდენტობა და ქრთამებს, საბჭოთა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მოსაწყობად, ისინიც კი იღებდნენ, ვისაც მომავალი თაობების აღზრდა ევალებოდა. კომიკური კი ის იყო, რომ ერთი ქართველი აბიტურიენტი, იმდენ ხანს და იმდენჯერ აბარებდა მისაღებ გამოცდებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომ ამასობაში დაოჯახდა და ოთხი შვილი გააჩინა: იური, დიული, ფაკული და ტეტი...

პირველად, როდესაც სასამართლო პროცესს დავესწარი, უკვე შევარდნაძე იყო დაბრუნებული საქართველოში და კორუმპირებული სასამართლო არავის უკვირდა სამწუხაროდ და მე, კი გამახსენდა, მე რა მიკვირდა ჩვენი სტუდენტობის დროს

**„სახელმწიფოს შექმნა
მართლა ჰგავს სახლის
აშენებას, მაგრამ ყველა
უნდა ვიცოდეთ, რომ
სახლს უპირველესად
საძირკველი სჭირდება
და სახელმწიფოს
საძირკველი კი
დამოუკიდებელი
სასამართლოა“.**

– როცა მიტინგების გამართვა დავიწყეთ საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ და საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით, ერთადერთი, ვინც არ გვიერთდებოდა, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები იყვნენ. არადა მათ, პირველ რიგში უნდა ებრძოლათ სამართლიანობის აღსადგენად ჩვენს ქვეყანაში და სამწუხაროდ, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ჩვენთან ერთად, არცერთი იურისტი არ აპროტესტებდა უსამართლობას, მიუხედავად იმისა ეს მათი მოვალეობა უფრო იყო, ვიდრე ჩვენი. (ჩვენ კი იმითაც კმაყოფილები ვიყავით რომ ხელისუფლება მათ არ იყენებდა ჩვენთან დასაპირისპირებლად პოლიციისა და ჯარის ნაცვლად).

ამიტომაც, პირველად რომ მოვხვდი სასამართლო პროცესზე, მაშინ გამიკვირდა იქ აღმოჩენილი არაპროფესიონალიზმი და არაჰუმანურობა, თორემ მერე და მერე კი მივხვდი, რომ დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლო სისტემის მომხრე, ვერაფრით იქნება გაუნათლებელი ადამიანი, რომელმაც არ იცის რა არის ღირსება და თავისუფლება.

მერე იმასაც მივხვდი, რომ ილია ჭავჭავაძის, კაცური კაცისა არ იყოს, ტერმინი სამართლიანი სასამართლო (და მისი მოთხოვნა), სულაც არ დამკვიდრდა ახლანდელ საქართველოში შემთხვევით. მიუხედავად იმი-



სა, რომ შოთა რუსთაველი, „ქმნას მართლისა სამართლისა“, მართლა გენიალურად ხსნიდა ჭერ კიდევ მე-თორმეტე საუკუნეში.

მერე, ჩემმა მეგობარმა ნინო კიკნაძემ, ადვოკატთა ასოციაციასთან დამაკავშირა და მისი დამსახურებით შევხვდი პირველად დავით ასათიანს და აღმოვაჩინე, რომ ჩვენი იდეები და სურვილები მომავალ წიგნთან დაკავშირებით, ისე დაემთხვა ერთმანეთს, რომ საბოლოოდ გადაწყვიტე წიგნის დაწერა ქართული სამართლის ისტორიაზე.

(სხვათა შორის, რამდენჯერაც სასამართლო პროცესზე, იმის ახსნა დავაპირე (მოსამართლეებისა და პროკურორებისათვის), რომ ადამიანი, ვინც სახელმწიფოს წარმოადგენს, არ შეიძლება იყოს უსწავლელი, უნამუსო და უპასუხისმგებლო, იმდენჯერვე დამატოვებინეს დარბაზი და ისე ვამომადივეს, რომ ვერც-ერთხელ ვერ მოვახერხე ჩემი სათქმელის მათთვის მიწოდება და იმედია ამ წიგნის მეშვეობით მაინც ვიტყვი იმას, რაც ასე მაწუხებს).

მაწუხებს სხვა საკითხიც, რამაც ასევე განაპირობა ამ წიგნის დაწერა და სამწუხაროდ, საქართველოში (სხვა უამრავ პრობლემასთან ერთად), არსებობს საავტორო უფლებათა დაცვის პრობლემაც და მე რომ ადვოკატი ვიყო, სხვა დაჩაგრულ ადამიანებთან ერთად, იმ დაჩაგრულ ავტორებსაც დავიცავდი, ვისი უფლებებიც ასე ხშირად და უხეშად ირღვევა ჩვენს ქვეყანაში. სხვების მაგალითები რომ საეჭვოდ არ მოეჩვენოს რომელიმე ეჭვიან მკითხველს, შემიძლია საკუთარი მაგალითი გავიხსენო, როცა რამდენიმე წლის წინ, ერთმა რეჟისორმა ქალბატონმა, ერთ-ერთი ჩემი პიესა, ისე დადგა ერთ-ერთი ქართული თეატრის სცენაზე, რომ ჩემთვის საერთოდ არ მოუმართავს ნებართვისთვის და პრემიერაზე მყოფმა ერთ-ერთმა ჩემმა მეგობარმა, სპექტაკლის მერე რომ მომიკითხა (ავტორი რატომ არ არის), იმ რეჟისორმა

ქალმა საპასუხოდ, ძალიან გულწრფელად გაიკვირა, – ავტორს როგორ დავპატიჟებდით, ტურაშვილი ხომ უკვე მკვდარიაო.

თუმცა, ამაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, აშკარად ის არის, რომ ვისაც ცოცხალი ვგონივარ, ისინიც ხშირად და უხეშად არღვევენ ჩემს საავტორო უფლებებს და საქართველოს რამდენ ქალაქში და რაიონში მინახავს თეატრალური აფიშა ჩემი სახელით, ოღონდ ჩემთან შეთანხმების გარეშე და ბათუმში (მაგალითად), ტანსაცმლის მაღაზიაც კი გახსნეს, რომელსაც ჩემი რომანის სახელი, „ჯინსების თაობა“ ჰქვია. როცა ეს აღმოვაჩინე, იმ მაღაზიაში შევედი და ძალიან მორიდებულად ვიხუმრე კიდევ, – ჩემს დაუკითხავად რომ გახსენით ეს მა-

საბჭოთა რეჟიმის დროსაც კი არსებობდნენ ღირსეული და პროფესიონალი იურისტები, რომელთა მოღვაწეობაც ადვოკატურაში, ძალიან ხშირად დისიდენტობის ტოლფასი იყო.

ღაზია და წილმიც კი არ ჩამსვით, იმედია ერთ ჯინსს მაინც მაჩუქებთ-მეთქი, მაგრამ ამ უწყინარ ხუმრობასაც კი, არანაირი შედეგი და რეაქცია არ მოჰყოლია მათი მხრიდან და ჩემს გარდა, კიდევ რამდენი ავტორი იჩაგრება საქართველოში, მხოლოდ ღმერთმა იცის.

სხვა ქვეყნებში, ზემოხსენებულ როლსა და ფუნქციას, ლიტერატურული აგენტები ასრულებენ, მაგრამ (სამწუხაროდ) საქართველოში არ არსებობს ლიტერატურული აგენტი (საერთოდ ასეთი პროფესიის ადამიანი) და ამ მისიასაც არავინ ასრულებს ავტორების უფლებათა დასა-

ცავად, როგორც ეს (მაგალითად) ევროპულ ქვეყნებში ხდება, სადაც მწერლების ადვოკატობა და საერთოდ ავტორების ადვოკატობა, ისეთივე საამაყო და მნიშვნელოვანია, როგორც ზოგადად ადამიანის უფლებების დაცვა.

არადა, საბჭოთა პერიოდშიც კი, მწერლები და საერთოდ ავტორები, ზოგჯერ უფრო დაცულები იყვნენ ხოლმე (მხოლოდ ამ თვალსაზრისით), ვიდრე ახლა და რადგან საბჭოთა პერიოდი ვახსენეთ, აქვე იმასაც გავიხსენებ (ქართველი ადვოკატების საამაყოდ), რომ საბჭოთა რეჟიმის დროსაც კი არსებობდნენ ღირსეული და პროფესიონალი იურისტები, რომელთა მოღვაწეობაც ადვოკატურაში, ძალიან ხშირად დისიდენტობის ტოლფასი იყო. ასეთი ადვოკატები მაინც არსებობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, ათეული წლების მანძილზე საბჭოთა ეპოქაში, სრულიად სხვა კადრების სამჭედლო იყო. (მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში, საქართველოში მოღვაწე შესანიშნავ პოლონელ არქიტექტორს ალექსანდრე შიმკევიჩს, ჩვენგან დიდი მაღლობა, კიდევ ერთხელ ეკუთვნის თბილისში აგებული შესანიშნავი სასამართლო შენობებისთვის, მაგრამ სასამართლო მხოლოდ შენობას არ ნიშნავს და თუ მას შესატყვისი ფუნქცია და შინაარსი არ გააჩნია, ის მხოლოდ არქიტექტურის ნიმუში ხდება).

ამ წიგნის დაწერის ბევრი მიზეზი არსებობდა, მაგრამ კონკრეტული მიზნებიც მქონდა (გარდა მიზეზებისა) და მათ შორის იყო იმ ადამიანების გაცნობაც, ვინც ყველაფრის მიუხედავად (მიუხედავად დროისა თუ გარემო პირობებისა), მაინც ცდილობდა ყოფილიყო იმ პრინციპების ერთგული, რის გამოც მათი მოღვაწეობა იმსახურებს დაფასებას, მაღლობასა და ყურადღებას.

მეოცე საუკუნეში, ყველაფრის მი-

უხედავად, საქართველოში მაინც არსებობდნენ არატიპიური საბჭოთა ადვოკატები და მე სწორედ მათი გაცნობა, აღმოჩენა და გახსენება მინდოდა, რადგან ასეთები მართლა იყვნენ:

ბენო ხომერკი,
ბიძინა ბარათაშვილი,
ირაკლი რაზმაძე,
ალექსანდრე (ალიოშა) ჭიჭინაძე,
გურამ უგრეხელიძე,
ლადო ბარათაშვილი,
შალვა მესხიშვილი,
ნიკოლოზ გიგინეიშვილი,
ალექსანდრე ხოჭოლავა,
ლევან ბარათაშვილი,
შალვა რჩეულიშვილი,
გიორგი თარხნიშვილი,
ალექსანდრე (კვატაშა) ხოჭოლავა,
ვახტანგ კერესელიძე...

რასაკვირველია ყველა არ მოხვდა ამ ჩამონათვალში და ყველა ღირსეული ადვოკატი აქ ვერ ვახსენე, მაგრამ მე მაინც შევეცადე რომ ბევრი მათგანი გამეცნო მკითხველისთვის და ზოგიერთ მათგანს, აქაც ცოტა უფრო ვრცლად შევხები და ამას უთუოდ იმსახურებს ალექსანდრე საგინაშვილი – შესანიშნავი ქართველი ადვოკატი, ვინც სხვებთან ერთად ეპოქა შექმნა ქართული ადვოკატურის ისტორიაში.

საუკეთესო ქართველი ადვოკატების არატიპიური და არასაბჭოური აზროვნება საბჭოთა ეპოქაში, ალბათ ნაწილობრივ განპირობებული იყო იმითაც, რომ მათ ნაწილს, ჯერ კიდევ 1921 წლამდე ჰქონდა დაწყებული განათლების მიღება და ამის კარგი მაგალითია ალექსანდრე საგინაშვილი – შესანიშნავი ქართველი იურისტი, რომელმაც დაწყებითი განათლება ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლებამდე არსებულ ლევანდოვსკების გიმნაზიაში მიიღო. სიმართლე რომ ვთქვა, ზუსტად არც კი ვიცი, თუ რა ნათესაური კავშირი აქვს მსოფლიოში ცნობილ პოლონელი ფეხბურთელის, რობერტ ლევანდოვსკის წინაპრებს იმ პოლონელ ძმებთან,


რომლებმაც თბილისში, მეოცე საუკუნის დასაწყისში გიმნაზია დაარსეს, მაგრამ ფაქტია, რომ იმ გიმნაზიის არაერთმა აღზრდილმა, არაერთ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია და მათ შორის კი აშკარად გამორჩეული, ბატონი ალექსანდრე საგინაშვილი იყო. მის პროფესიონალიზმს, რასაკვირველია, უპირველესად განსაზღვრავდა მისი განათლება და ერუდიცია, მაგრამ მისი პიროვნული ხიბლიც მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო მის საადვოკატო მოღვაწეობაში და სასამართლო პროცესებზე წართმეთქმული მისი ნებისმიერი დაცვითი სიტყვა, ხასიათდებოდა მაღალი კულტურით, მოვლენების ანალიზით და აზროვნების მასშტაბით. მიუხედავად ქართული წარმომავლობისა, ალექსანდრე საგინაშვილი იყო ისე-

**საშპეთესო ქართველი
ადვოკატების არატიპიური
და არასაბჭოური
აზროვნება საბჭოთა
ეპოქაში, ალბათ
ნაწილობრივ
განპირობებული
იყო იმითაც, რომ მათ
ნაწილს, ჯერ
კიდევ 1921 წლამდე ჰქონდა
დაწყებული განათლების
მიღება.**

თივე მჭერმეტყველი რუსულ ენაზე, როგორც მშობლიური ქართულით საუბრისას და ამიტომაც არ იყო შემთხვევითი, რომ მას იწვევდნენ საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებშიც როგორც საუკეთესო ადვოკატს. ბატონი ალექსანდრეს პოპულარობის საიდუმლო, გულისხმობდა მისი თავისუფლების ისეთ ხარისხსაც, რომელსაც საბჭოთა ადამიანებიც კი გრძნობდნენ და როცა მათ უჭირდათ ან როცა მათ ჩაგრავენ, მაშინ ისინი სწორედ ასეთ გამორჩეულ ადვოკატებს ეძებდნენ.


ასევე, მეოცე საუკუნის ქართველ ადვოკატებს შორის, ერთ-ერთი განსხვავებული და გამორჩეული მაგალითია ჯამბაკურ ბაქრაძე, რომელიც ძალიან გაბედულად და განსაკუთრებული მონდომებით იცავდა ხოლმე სწორედ მათ, ვისაც საბჭოთა ხელისუფლება ებრძოდა ყველაზე აქტიურად და სწორედ ამიტომაც უწევდა ჯამბაკურ ბაქრაძეს, ყველაზე რეზონანსულ საქმეებში მონაწილეობის მიღება და სწორედ ის იცავდა სამედიცინო ინსტიტუტის მაშინდელ რექტორს აკადემიკოს პეტრე გელბახიანს, იცავდა იუზა კობახიძეს, მერაბ კოსტავას, ზვიად გამსახურდიას, დოდო რცილაძეს... (საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, უკვე დამოუკიდებელ საქართველოში, ადვოკატების მიერ ჩატარებული პირველი არჩევნების შედეგად, სწორედ ჯამბაკურ ბაქრაძე აირჩიეს საქართველოს დამოუკიდებელ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის პირველ თავმჯდომარედ).

ჩვენს წიგნში, ასევე, უფრო ვრცლად წაიკითხავთ ისეთი შესანიშნავი ქართველი იურისტებისა და ადვოკატების შესახებ, როგორებიც იყვნენ ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, თინათინ წერეთელი თუ იოსებ ბარათაშვილი, ვისი ცხოვრება და მოღვაწეობაც, სწორედ იმის საუკეთესო მაგალითი იყო და არის, რომ ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ გარემოში, ადამიანმა სწორედ პროფესიონალიზმის, სიკეთისა და სიყვარულის სასარგებლოდ უნდა გააკეთოს არჩევანი და ამ წიგნში მკითხველს, კიდევ ბევრი სხვა ამბავიც ელის და მიუხედავად იმისა რომ თითქმის ოცდაათი წლის წინ აღვადგინეთ დამოუკიდებლობა, თავისუფლების დაბრუნება უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე დამოუკიდებლობის აღდგენა, რადგან, სამართლიანობის გარეშე, თავისუფლება მართლა არ არსებობს და ამავე დროს პირიქით – სამართლიანობა არსებობს მხოლოდ იქ, სადაც ადამიანი თავისუფალია...



სამართალი და სამართლიანობა

ავტორი: ანდრო ღვებუაძე



1 5 სექტემბერი, მერაბ მამარდაშვილის დაბადების დღეა, რასაც აზროვნების აკადემიაში ლექციების ციკლი მიეძღვნა. წინა დღეებში, ამის გამო, მეც მომიწია ლექციის ჩატარება. მისი ლექციები, განსაკუთრებული ყურადღებით კიდევ ერთხელ მოვისმინე. მამარდაშვილის კითხვისას აწყდები ფრაზებს, რომელიც ხანდახან იმდენად ზუსტად და სიღრმეში

აღწევს, გგონია, რომ აი სწორედ შენთვის დაწერაო ამ ადამიანმა. ერთი ასეთი ფრაზა მეც დიდ ხანს გამეყვება საფიქრელად და მეც, მამარდაშვილის მსგავსად რომ ვთქვა, ფიქრის ორმოში ვარ ჩავარდნილი, სადაც თქვენც გეპატიჟებით.

„კანონი არ იძლევა სიცოცხლეს“ – ამბობს მერაბ მამარდაშვილი და შიფრავს ასეთნაირად, რომ

„ადამიანი არის ემპირიული არსება“, მან თავად უნდა გაიგოს ყველაფერი, თავად შეიგრძნოს, თავად გამოსცადოს იმისთვის, რომ შეიმეცნოს რა-მე და ამდენად „გამთლიანდეს“. ადამიანი ვერ გააკეთებს იმას, რომ სხვის აზრს შინაგანად დაეთანხმოს ისე, რომ ეს აზრი არ იყოს მისი საკუთარი გამოცდილება. თუ ადამიანი გარედან მოტანილ წესს ეთანხმება ისე, რომ ამის პარალელურად არ აკეთებს შინაგანი გადამოწმების აქტს, მაშინ იგი ფაქტობრივად ემონება ამ გარე წესს და ამით მიდის საკუთარი ბუნების საწინააღმდეგოდ.

ამ მსჯელობას მოყვება პარადოქსი, რომელსაც მამარდაშვილი აჟღერებს ასე: „კეთილის ცნებიდან არ შეიძლება გამოიყვანო კეთილია თუ არა ის, რაც კონკრეტულ განცდაში მოგეცემა; თუ დაადგინე, რომ რაიმე კეთილია, ეს დადგენილი სიკეთე ემთხვევა ცნებას- post factum, არ უარყოფს მას, მაგრამ თვითონ ცნებიდან სიკეთე ვერაფრით გამოიყვანება“. ამ წინადადებაში სრული წარმატებით შეიძლება ჩავანაცვლოთ სიტყვა „სიკეთე“ სიტყვით „სამართალი“. მაშინ მივიღებთ დაახლოებით ასეთ პარადოქსს: კანონიდან ვერ დაადგენ სამართლიანია თუ არა ეს კანონი, ან სხვანაირად რომ ვთქვათ სამართალი (კანონი) არ ნიშნავს, რომ ის თავისთავად სამართლიანია. მაშინ იბადება კითხვა: მაშ რა განაპირობებს და რა განსაზღვრავს სამართლიანობას, თუ არა კანონი? გამოდის, რომ უნდა არსებობდეს რაღაც სხვა, ცოცხალი, ნამდვილი, რომელიც არა ადამიანის გარეთ, არა კანონით, არა წესით, არა წმინდა წერილით, არა რომელიმე ავტორიტეტით, არამედ თავისთავად არის განსაზღვრული და მოცემული ადამიანში, როგორც ნამდვილი, „იმანენტური განცდა“. ეს რაღაც, ამავდროულად, უნდა იყოს საერთო, ზოგადსაკაცობრიო, ყველა კონტექსტზე და კულტურაზე მაღლა და რასაც პირობითად უნდა დავარქვათ „ადამიანური“.

ჩემი სიტყვებით რომ ვთქვა, გამოდის, რომ ჩემში უნდა იყოს ის, რაც არის ჩემზე მეტი. რაღაც, რაც ხვდება იმას, რასაც ვხედავ. მე შეიძლება შემეპაროს ეჭვი ჩემს ნაფიქრალში, მაგრამ როცა საკუთარ თავთან ვსვამ კითხვას – „ხომ არ მეშლება?“, ამით მივმართავ სწორედ მაგ წერტილს, და ამის მერე ვაგრძელებ ფიქრს, და ეს ფიქრი არ არის ჩაციკლული, დაუსრულებელი ეჭვი საკუთარი აზროვნების მიმართ, არამედ ის სრულდება ან იმის აღიარებით, რომ რაღაცაში ვტყუოდი, ან იმით, რომ რასაც ვფიქრობდი ან განვიცდიდი – ყოფილა ნაღდი. ამის დამდგენი თავად მე ვარ, ოღონდ, არა ის მე, რომელსაც სურს, რომ რაღაც პასუხზე გავიდეს, არამედ ჩემში რაღაც ისეთი წერტილი, რომელიც მეც კი არ მემორჩილება. ეს წერტილი აუცილებლად ჩემშია და არა ჩემს მიღმა. მე ვერც კი შევძლებ, რომ ამ წერტილის მიმართ შევიტანო ეჭვი, რადგან ეს წერტილი თავად ისაა, ვინც უნდა შეიტანოს ეჭვი. ეს წერტილი თავად ცნობიერებაა. ის თავადაა აღმქმელი და იგი არავის ენდობა გარდა საკუთარი თავისა და მან ყველა ცნებას თუ წესს მხოლოდ საკუთარ თავში უნდა მიაგნოს. მიაგნოს და არა გამოიგონოს.

ნათქვამია, რომ თუ ადამიანს ეჭვი ეპარება საკუთარ აზროვნებაში, მაშინ იგი მეტალურად ჭანმრთელი არაა, მაგრამ სხვა შემთხვევაში, თუკი ამ პროცესს მივყევით ბოლომდე, მაშინ ჩვენ ეჭვის ბევრი იტერაციით გავალთ რაღაც უეჭველობაზე და ასეთ „თავად ნაღობას“ მერე უკვე ვეღარ შევცვლით. ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენ თავს დავაძალოთ, რომ „ნაღდად“ აღვიქვათ ის, რასაც შინაგანად ვგრძნობთ, რომ ნაღდი არ არის. აქედან გამომდინარე, ჩემში თავად არსებობს „ნაღობის“ ის ნერვი, რომელიც თავის თავში უეჭველია და დანახულს მიიჩნევს „ნაღდად“, თუკი ის მას ჰგავს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მე ვარ „ნაღდი“. ეს „ნაღდი“ შეიძლება იყოს ძნელად მისაგნები, ის შეიძლება

მისხლტებოდეს ხელიდან, მაგრამ რაც მთავარია ის ჩემშია და ამდენად, ამის შესამეცნებლად მე არა კანონს, არა საღვთო წერილს, არამედ საკუთარ თავს ვიმეცნებ.

არის ასეთი კითხვა: ღმერთი რომ შემხვდეს ქუჩაში, როგორ მივხვდე რომ ღმერთია? თითონ რომ მითხრას – არასაკმარისი პირობაა. იქნებ ვიღაც ოხერია და მატყუებს. სხვამ რომ მითხრას – მაშინ როგორ მივხვდე, რომ ის სხვა მართალია და იგივე კითხვის წინ დავდგები. ფაქტია, რომ საბოლოოდ ჩემში უნდა დაიბადოს რაღაც თავისთავადი დასტური, რასაც მე მარტივად ვეძახი სიტყვას – „ეგარი“.

ეს რაღაც, ამავედროულად, უნდა იყოს საერთო, ზოგადსაკაცობრიო, ყველა კონტექსტზე და კულტურაზე მაღლა და რასაც პირობითად უნდა დავარქვათ „ადამიანური“.

მამარდაშვილი იტყოდა: „შეიძლება მე მინდოდეს, რომ მინდოდეს?“, ან „რა არის ის, რაც ვიცი, გარდა იმისა რაც ვიცი“. ცოტა ჩემებურად რომ ვთქვა: რა არის, ის რაც მინდა გარდა იმისა, რაც მინდა? და ასეთი აბსოლუტური მინდა არსებობს ჩემში და მე არ შემიძლია, რომ ის არ მინდოდეს.

ამდენად გამოდის, რომ ჩემს შიგნით, ძალიან სიღრმეში არის უეჭველი „ეგარი“, რაც არის ისეთი, როგორც არის თავისთავად და სხვა არაფერზეა დამოკიდებული. თუ ჩემში რაიმე არის თავისუფალი – ეს მხოლოდ ეს წერტილია. და მხოლოდ ამ წერტილს შეუძლია განსაზღვროს ჩემთვის ისეთი ცნებები როგორცაა:

სილამაზე, სიკეთე, სამართლიანობა, ჭეშმარიტება, სინამდვილე და ა. შ. რასთანაც მიმართებაში მე მექნება უტყუარობის სიღრმისეული განცდა. თუ კანონი მეუბნება საწინააღმდეგოს – მაშინ მე მომიჩვენებს ვიარო კანონის საწინააღმდეგოდ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მე უნდა ვიარო საკუთარი სინდისის საწინააღმდეგოდ, რაც ჩემთვის დამანგრეველია.

აქ უნდა დაიბადოს ბუნებრივი კითხვა – კი, მაგრამ ჩემი განცდილი „ნაღობა“ ხომ ჩემი სუბიექტური „ნაღია“ და არა საყოველთაო. საყოველთაო ისაა, რაც დასტურდება სხვისი გამოცდილებით და არა მხოლოდ ჩემი გემოვნებით. ამიტომ, როგორ შეიძლება მე მივიჩნიო „ნაღდად“ არა ის, რაც საყოველთაოდ აღიარებულია, არამედ ის, რაც ჩემში უბრალოდ აღიქმება როგორც „ნაღდი“? ეს კითხვა აუცილებლად უნდა იქნას დასმული, იმიტომ, რომ ჩვენ ფარდა უნდა ავხადოთ კიდევ ერთ პარადოქსს, რომელიც ასე უნდა გამოითქვას: „ჩემში ჩემზე მეტი და შენში შენზე მეტი – ერთი და იგივეა“. ანუ ჩემი სუბიექტურობის მიღმა, ჩემშივე მოიძიება ისეთი რამ, რომელიც არ არის დამოკიდებული ჩემს „მინდაზე“, და ის არის ზუსტად ისეთი, როგორც იგივე სიღრმისეული განცდა შენში, თუკი ამ სიღრმემდე ორივე დავალთ. მარტივად რომ ვთქვათ, ორი გულწრფელი ადამიანი აუცილებლად გაუგებს ერთმანეთს. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ გულწრფელი სუბიექტურობა ყოფილა ობიექტურობა.

ეს ხაზი კიდევ უფრო შორს შეგვიძლია წავიღოთ, და ფარდა ავხადოთ კიდევ ერთ, უფრო ღრმა პარადოქსს: „ის რაც ჩემშია და რომლის შეცვლაც არ შემიძლია, ყოფილა თავისუფალი და ამავედროულად აბსოლუტური ჩემში“. ის აბსოლუტურია იმიტომ, რომ არ არის ფარდობითი და განსაზღვრული რამე ფაქტორით. ის არის ისეთი, როგორც არის და თურმე ეს ყველას ერთი გვაქვს. ინდოეთში იტყოდნენ: „ატმა = ბრაჰმა“,

სადაც ატმა არის ჩემი ნამდვილი არსი, და ბრაჰმა – ის ვინც შექმნა გარე სამყარო. ამას ხშირად უწოდებენ The Great Equation of the East – აღმოსავლეთის დიადი განტოლება. ამიტომაც ინდოეთში მოურიდებლად ამბობენ – „შენ ხარ ბრაჰმა და ეს სამყარო შენი შექმნილია, მაგრამ არ გახსოვს, და რა წამს იცნობ და გიგებ ამას, იმ წამს მიხვდები ვინ ხარ, ანუ მიხვდები, რომ ღმერთი ხარ და ყოველთვის იყავი, უბრალოდ ახლა მიხვდი ამას“. ამდენად ინდურ ფილოსოფიაში შემეცნების პროცესად მიიჩნევა ჯერ დაშვება იმის, რომ მე ვარ ღმერთი და შემდეგ ამ დაშვების ცოცხლად განცდა. იმ მომენტს კი, რასაც მე დავარქვი „ეგარი“, ინდოეთში ეძახიან „ტატ ტუმ ასსი“ – ანუ „მე ვარ ის!“, ან „მე ვარ შენ“, ან ფილოსოფიურად რომ ვთქვათ: სუბიექტი გახდა ობიექტი.

საკუთარ თავში ობიექტურობის პოვნა ადვილი საქმე როდია, მაგრამ საკითხი ამის სირთულეში არაა. სანამ სამყაროში ყველა არ იბოვის თავის თავში ამ თავისუფალ წერტილს და არ გახდება ამ წერტილის განსხეულება, ყოველთვის იქნება გაორება, „დუალობა“. ეს „დუალობა“ არის გავესხვავება სიმართლესა და სამართლიანობას შორის. ანუ განსხვავება არ განცდილ წესსა და განცდილ, მაგრამ ვერ თქმულ ნაღობას შორის. ამდენად, კიდევ დაიბადებიან გმირები, რომლებიც, ალუდასი არ იყოს, ჯერ უარყოფენ თემის მიერ ნაკარნახევ წესს, მიაგნებენ სამართლიანობის სუბიექტურ, მაგრამ მიუკერძოებელ განცდას და განუდგებიან კანონს. ამავდროულად, ვერც წესის საპირისპირო ანტი-თემისი გამოდგება საბოლოო ობიექტურობად, რადგან წესის უარყოფა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ნაღობის მიგნებას. წესი შეიძლება ბრმადაც უარყოს ადამიანმა, თუმცა წესიდან გამოსვლა არის წინაპირობა, რომ ადამიანი გამოვიდეს გარე სამყაროს გავლენებისგან და თავისუფლად, საკუთარ თავში ეძებოს ნაღობის იმანენტური განცდა.

სხვანაირად რომ ვთქვათ, თითქოს იკვეთება შემეცნების განვითარების სამი ეტაპი:

► **მორჩილება** – როდესაც ადამიანი მიყვება გარე წესს, და ამ დროს, არც კი აკეთებს ამ წესის გადამოწმებას. ასეთი ადამიანი კაკონმორჩილია, რადგან იგი საერთოდ ყველა გარე წესის მიმართ მორჩილია. არა შეგნებულად, არამედ ბრმად მორჩილია;

► **თავისუფლება** – როდესაც ადამიანი უარყოფს წესს და უწესობაში ცდილობს დაბადოს საკუთარი გამოცდილება. ალბათ შევადარებ თი-

**გამოდის, რომ
სიმართლე (ნუსი, კანონი),
სამართლიანობის
განსიტყვების
იტერაციული პროცესია,
სადაც სამართლიანობა
ცოცხალია და ნუსი
მკვდარი.**

ნეიჯერულ კრიზისს, როდესაც ხვდები, რომ ყველა აზრი რაც გაგაჩნია სხვისია, ხოლო შენი საკუთარი არც იცი როგორ დაბადო. ადრე, სულ სხვას ბაძავდი და იმეორებდი და ახლა რომ იყო ის რაც ხარ – გეშინია, და არ ხარ დარწმუნებული, ეს შენი „ნაღი“ იქნება თუ არა „სწორი“.

► **შეგნება** – როდესაც დასტური ცხადად და ნათლად მოგდის შიდა, ცენტრალური არსებიდან და როდესაც აღიარებ წესს, ოღონდ, არა გარედან მოტანილ წესს (სამართალს), არამედ შიგნით მიგნებულს და ნაპოვნს (სამართლიანობას);

სქემატურად ასეც შეიძლება წარმოვიდგინოთ:

მორჩილება = გარე წესი.
თავისუფლება = შიდა უწესობა.
შეგნება = შიდა წესი;


ჩემი აზრით, ამ გზას გადის ყველა ჩვენგანი, მიუხედავად იმისა ვაცნობიერებთ თუ არა ამას.

რაც შეეხება შეგნებას, მისი დაბადება ალბათ მეორედ დაბადების ტოლფასია და ეს დაბადებაც თავისებურ ტკივილთან, ანუ პარადოქსებთანაა დაკავშირებული. ეს პარადოქსებია:

- ჩემში, ჩემზე მეტია.
- ჩემში, ჩემზე მეტი უჩემოდაა და ის თავისთავადია, ანუ ობიექტურია.
- შენშიც არის შენზე მეტი და ისიც იგივეა, რაც ჩემში ჩემზე მეტი.
- მე არ ვარ ის, ვინც მეგონა. ის, არაფერია და მე თურმე ვარ სამყარო.

რუმი, თავის ლექსს „ადამი არ ვარ“ ასრულებს ასე: „სამკვიდრო ჩემი არ არის არსად, და ყველგან ჩემი სამკვიდრო არის“. ამდენად, მივიღეთ ასეთი რამ: „რა არის ობიექტურობა, თუ არა გუწრფელი სუბიექტურობა“.

გამოდის, რომ სიმართლე (წესი, კანონი), სამართლიანობის განსიტყვების იტერაციული პროცესია, სადაც სამართლიანობა ცოცხალია და წესი მკვდარი. სამართლიანობა კონტექსტიდან გამომდინარე იცვლის ფორმას, ხოლო სიმართლე (კანონი) ყოველთვის ფორმალურია და რაგინდ ცოცხალი ცნებაც არ უნდა გაამყაროს, ყოველთვის მოიძებნება წერტილი, რომელიც იქნება ფორმალურად სწორი, მაგრამ შინაარსით ყალბი, ან პირიქით, ფორმალურად უწესო, მაგრამ შინაარსობრივად ნაღი. მათი თამაში არის დაუსრულებელი ცეკვა და ადამიანის დანიშნულებაც ის არის, რომ თავის მეობაში დააკავშიროს ეს მარადიული შინაარსი – წარმაველ ფორმებთან, ანუ როგორც გოეთე იტყოდა – მე თავი მაქვს გაყოფილი ზეცაში, მყარად ვდგავარ მიწაზე, ხიდი ვარ ორ სამყაროს შორის და ამით ვარ ადამიანი, ანუ ადამიანის ვალია შექმნას სამართლიანი სამართალი.



ხელოვნური ინტელექტი: ეთიკური საკითხები

ავტორი: კრის რისი, ბრიტანეთის კომპიუტერული საზოგადოების (BCS) ყოფილი პრეზიდენტი

საჭიროა თუ არა, რომ იურისტ-ტექნოლოგები იფიქრონ იმ ეთიკურ თუ ზნეობრივ საკითხებზე, რომელიც თან ახალვს ხელოვნური ინტელექტის განვითარებას? დაკავშირებულია თუ არა ეს ეთიკური და ზნეობრივი ასპექტები სამართლებრივ საკითხებთან? აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გასაცემად, წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ იმ ძირითად ეთიკურ საკითხებს, რომლებიც წარმოიშობა ხელოვნურ ინტელექტთან მიმართებაში და ასევე მათ ურთიერთკავშირს სამართალთან.

სტატია განიხილავს 6 ეთიკურ თემას:

1. მიკერძოება;
2. ახსნადობა;
3. უვნებლობა;
4. პასუხისმგებლობა ზიანზე;
5. გაკენა დასაქმებაზე და საზოგადოებაზე;
6. ხელოვნური ინტელექტი, რომელიც განასახიერებს ადამიანებს.

ასევე, მიმოვიხილავთ კითხვას – აქვს თუ არა ეთიკას მნიშვნელობა ხელოვნურ ინტელექტთან მიმართებაში?

სტატიაში არ იქნება განხილული 2 პოპულარული საკითხი:

- ე.წ. „ურეკის პრობლემა“ (მაგალითად, თვითმართვადმა სატრანსპორტო საშუალებამ უნდა გადაუხვიოს და შედეგად იმსხვერპლოს ერთი ბავშვი, თუ გააგრძელოს მოძრაობა პირდაპირ და იმსხვერპლოს რამდენიმე ზრდასრული ადამიანი), რადგან მსგავსი სცენარი არ წარმოადგენს ნამდვილ პრობლემას ავტომატიზებული მანქანებისთვისაც კი და ეს საკითხი გარკვევით იყო წამოჭრილი წმინდა თომა აკვინელის მიერ მე-13 საუკუნეში (ორმაგი ეფექტის თეორია);
- ხელოვნური ზოგადი ინტელექტის ეთიკური საკითხები (როდესაც ხელოვნ-

ნური ინტელექტი მოქმედებს ადამიანის მსგავსად, საღ აზრსა და ადამიანურ გონებრივ შესაძლებლობებზე დაყრდნობით), რადგან მე არ ვფიქრობ, რომ ეს განხორციელებადია.

ასე რომ, განვიხილოთ, თითოეული რეალური ეთიკური საკითხი:

მიკერძობა

ხელოვნური ინტელექტის სისტემები მიკერძობულია, რადგან ჩვენ ვართ თავად მიკერძობულნი. ხელოვნური ინტელექტის სისტემებში მიკერძობა წარმოიქმნება ორი ძირითადი მიზეზიდან გამომდინარე: პირველი, უნებლიე მიკერძობა ინჟინრების გონებაში, რომლებიც სისტემას ქმნიან და მეორე, მიკერძობა მონაცემებში.

ამ ინჟინრების უმეტესი ნაწილი ევროპა-სა და აშშ-ში ახალგაზრდა, თეთრი მამაკაცია. ალბათ ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ მათ შეიძლება არც კი იცოდნენ, რომ ისინი ქმნიან სისტემებს, რომლებიც ნამდვილად კარგად მუშაობენ თეთრკანიანებისთვის, მაგრამ ნაკლებად კარგად – შავკანიანი ქალბატონებისთვის. მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტის (MIT) მედიის ლაბორატორიის ახალგაზრდა, გონიერი შავკანიანი მკვლევარი ქალბატონი, სახელად – ჯოი ბუოლმეინი შეურაცხყოფილი დარჩა, როდესაც Google-ის სახის ამოცნობის სისტემის მიერ იგი იდენტიფიცირებულ იქნა როგორც გორილა და სისტემამ იქამდე ვერ ამოიცნო ქალბატონი ადამიანად, სანამ მან თეთრი ნიღაბი არ გაიკეთა სახეზე. აღნიშნულის შემდგომ, ჯოიმ ჩაატარა ექსპერიმენტი, რომელშიც დაახლოებით 300 ღია ფერის კანიანი მამაკაცის და ქალის ფოტო და იგივე რაოდენობის მუქი ფერის კანიანი მამაკაცის და ქალის ფოტოა წარმოდგენილი. სისტემა თითქმის 100%-ით ზუსტი იყო პირველი ნაკრებისთვის – ღია ფერის კანიანი მამაკაცებისთვის, 90%-ის ფარგლებში მეორე და მესამე კატეგორიისთვის, ხოლო შემაშფოთებლად არაზუსტი – 66% მუქი ფერის კანის მქონე ქალბატონების კატეგორიაში. როდესაც ჯოი ბუოლმეინმა გამოაქვეყნა ექსპერიმენტის შედეგები, Google-მა და

Microsoft-მა შეცვალეს თავიანთი ალგორითმები.

ხელოვნური ინტელექტის სისტემები სწავლობენ მონაცემთა იმ ნაკრებიდან, საიდანაც მიიღეს ტრენინგი. შესაბამისად, სასწავლო მონაცემთა ბაზაში არსებული ყველა მიკერძობული მონაცემი „შესწავლილი“ იქნება ხელოვნური ინტელექტის მიერ. მიკერძობა იქნება ღრმად გამჯდარი მონაცემთა ბაზაში, რადგან ჩვენც მიკერძობულნი ვართ, მრავალი თვალსაზრისით, რომელთაგან ზოგიერთს ვამჩნევთ, ზოგიერთს შეიძლება ვერც კი ვიპოვებდეთ. შედეგად, ხელოვნური ინტელექტის სისტემები აგრძელებენ სწავლას იმ მონაცემთა

ამერიკის რამდენიმე შტატის მოსამართლე იყენებს ხელთხვერი ინტელექტის მქონე სისტემას, რომელსაც ეწოდება – COMPAS, რათა განსაზღვროს გამოიყენოს თუ არა ბირაო ბრალდებულის მიმართ.

ბაზიდან, რაზეც ისინი მუშაობენ და თავისთავად ითვისებენ სისტემაში გამჯდარ მიკერძობულ ინფორმაციას. რაც უფრო დიდია მონაცემთა ბაზა, მით მეტია მიკერძობების შემთხვევა.

აქვს კი ყოველივე ამას მნიშვნელობა? ყველა პროგრამაში – არა. თარგმანის დროს, თქვენ გაინტერესებთ თარგმანის ხარისხი სამიზნე ენაზე. მაგალითისთვის – Google Translate კარგად თარგმნის ინგლისურიდან ფრანგულ ენაზე: „time flies like an arrow (დრო ისარივით მიფრინავს)“, და გვთავაზობს შემდეგ შედეგს: „le temps file comme une flèche.“ მაგრამ, არც ისე კარგად თარგმნა: „Fruit flies like a banana (ხილის მწერებს უყვართ ბანანი)“ და შემოგვთავაზა: „les mouches des fruits comme une banane.“ გასაკვირი არ არის, რადგან ამ შემთხვევაში ინგლისურიდან თარგმანი დამაბნეველია: „flies „(მიფრინავს)

არის ზმნა პირველ წინადადებაში, მაგრამ მეორე წინადადებაში იგი არსებითი სახელია.

მაგრამ აქ შეიძლება შემოიპაროს გენდერული მიკერძობაც. თურქულ ენას არ გააჩნია სქესის ნაცვალსახელები. Google და სხვა ავტომატური თარგმანის მექანიზმები „o bir mühendis“ თარგმნიან როგორც „ის(მამრ.სქესი) არის ინჟინერი“, „o bir doctor“ როგორც „ის(მამრ.სქესი) არის ექიმი“, მაგრამ „o bir hemşire“ როგორც „ის (მდედრ. სქესი) არის მედა“ და „o bir açfi“ როგორც „ის (მდედრ. სქესი) მზარეულია.“ ეს უფრო შეურაცხყოფელია, ვიდრე კრიტიკული.

ამერიკის რამდენიმე შტატის მოსამართლე იყენებს ხელოვნური ინტელექტის მქონე სისტემას, რომელსაც ეწოდება – Compas, რათა განსაზღვროს გამოიყენოს თუ არა გირაო ბრალდებულის მიმართ, ხოლო ვისკონსინში სისტემა ეხმარება მოსამართლეს სასჯელის ხანგრძლივობის გადაწყვეტაში. სისტემა ეყრდნობა უამრავ ინდიკატორს, რომლებიც არ მოიცავს რასას. თუმცა, სისტემა მხედველობაში იღებს დამნაშავეს ან სავარაუდო დამნაშავეს საცხოვრებელ ადგილს და თუ გავითვალისწინებთ მოსახლეობის რასობრივი განაწილების საკითხს ამერიკულ ქალაქებში, გეოგრაფიული ინდიკატორი რასის მახასიათებელი ხდება. ასე რომ, შავკანიანი რასის ბრალდებულს, რომელმაც შესაძლოა აღარ ჩაიდინოს იგივე დანაშაული მისი კრიმინალური ისტორიიდან გამომდინარე, უფრო ნაკლები შესაძლებლობა აქვს შეეფარდოს გირაო, ვიდრე იგივე კრიმინალური ისტორიის მქონე თეთრკანიანი პირს. Compas პროგრამა Northpointe-ის (ეხლანდელი Equivant) მიერ არის შემუშავებული და ეს უკანასკნელი არ ამხელს მისი მუშაობის პრინციპს. ალბათ მათ არ შეუძლიათ. ეს ნამდვილად არაეთიკურია.

ვისკონსინი ლუმის წინააღმდეგ (Wisconsin v. Loomis) დავის შემთხვევაში, ბრალდებული ერიკ ლუმისი დამნაშავედ იქნა ცნობილი ავტომობილიდან სროლისთვის. სასამართლო პროცესამდე,

ლუმისმა უბასუხა უამრავ კითხვას, რომლებიც შემდეგ Compas-ში შეიყვანეს. მოსამართლემ ლუმისს გრძელვადიანი სასჯელი მიანიჭა ნაწილობრივ იმის გამო, რომ ბრალდებულმა რისკის შეფასების მექანიზმის შემოღებით დააგროვა „მაღალი რისკის“ ქულა. ლუმისმა გაასაჩივრა თავისი სასჯელი, რადგან მას, უფრო სწორად, მის ექსპერტს, არ მიეცა უფლება შეეფასებინა გამოყენებული ალგორითმი. შტატის უზენაესმა სასამართლომ საბოლოო განაჩენი ლუმისის წინააღმდეგ მიიღო, რაც დაასაბუთა იმით, რომ ალგორითმით მიღებული შედეგის ცოდნა გამჭვირვალობის საკმარის ხარისხს წარმოადგენდა. სამართლებრივი საკითხია თუ ეთიკურიც? ორივე, ჩემი აზრით.

ამას მიყვარდათ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეთიკური საკითხის განხილვამდე, რომელსაც აქვს არათუ მხოლოდ ზოგადი, არამედ სამართლებრივი შედეგები, მაგალითად ფინანსებში.

ახსნადობა

ხელოვნური ინტელექტის ყველაზე პოპულარული ფორმები დღეს ნერვული ქსელების საშუალებით სიღრმისეულ სწავლებას ემყარება. ამ სისტემების მახასიათებელია ის, რომ მათ არ შეუძლიათ ახსნან, თუ როგორ მიიღებენ ამა თუ იმ გადაწყვეტილებებს. არც მათ დიზაინერებს და დველოპერებს შეუძლიათ ახსნან გადაწყვეტილების მიღების საფუძველი. ეს ცნობილია როგორც „შავი ყუთის“ პრობლემა. სისტემები აგრძელებენ სწავლას თავდაპირველი ტრენინგის შედეგად და პრობლემა კვლავაც გრძელდება. ინგლისური სამართლის პრინციპია, რომ მოსამართლემ უნდა განმარტოს თავისი გადაწყვეტილებები. თუ იგი უყრდნობა შავი ყუთის სისტემას, რომ მიიღოს გადაწყვეტილება ან მხარი დაუჭიროს მის გადაწყვეტილებას, იგი ვერ ასრულებს ამ ვალდებულებას. პრობლემა ასეთ შემთხვევებში არის ეთიკური და სამართლებრივი.

მსგავსი პრობლემა წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუ ბანკი ან საფინანსო კომპანია უყრდნობა „შავი ყუთის“ ხელოვნური ინტელექტის სისტემას, რომ

დაადგინოს, მოგვით თუ არა სესხი. თუ ის უარყოფს თქვენს განაცხადს და ვერ გეტყვით რატომ, მაშინ არ შეგიძლიათ შეცვალოთ თქვენი განაცხადი წარმატების შანსის გასაზრდელად. მაგალითად, ვერ განსაზღვრავთ იმას თუ ანაბრის გაზრდით რამდენად დააკმაყოფილებთ სისტემის მოთხოვნებს. მრავალი ადამიანი და ინსტიტუტი უარს ამბობს გადაწყვეტილების მიღების მიზეზების გამჟღავნებაზე, მაგამ ხელოვნური ინტელექტის სისტემებს ეს არ შეუძლიათ. ეს არის ხელოვნური ინტელექტის სპეციფიკური ეთიკური პრობლემა. მუშაობა მიმდინარეობს აღნიშნულის მოგვარებასა და გამჭვირვალობის გაზრდაზე, მაგალითად MIT Lincoln Labs-ში, მაგრამ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, შედეგი ჯერჯერობით მიღწეული არ არის.

უპნებლობა

1942 წელს ისააკ ასიმოვმა „I Robot“- ში გამოსცა რობოტიზმის შესახებ კანონები. პირველი იყო: „რობოტმა არ შეიძლება დააზიანოს ადამიანი ან უმოქმედობის გზით დაუშვას ადამიანის ზიანამდე მისვლა“. ხელოვნური ინტელექტის სისტემები არიან ინსტრუმენტები და ნებისმიერი ინსტრუმენტი შეიძლება გამოყენებულ იქნას კეთილი ან ბოროტი მიზნებისთვის. დანა შეიძლება გამოყენებულ იქნას პურის მოსაჭრელად ან ვინმეს დასაჭრელად. ხელოვნური ინტელექტიც შეიძლება გამოყენებულ იქნას კაცობრიობის სასარგებლოდ ან ადამიანებისთვის საზიანოდ. ხელოვნური ინტელექტის მიერ მართული დრონების გამოყენება როგორც ავტომატური ლეტალური იარაღების სისტემა (LAWS) უკვე სადავოა. გაეროში ბევრი ამტკიცებს, რომ აიკრძალოს მათი გამოყენება ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის მსგავსად. ზოგი ერი კი, მათ შორის დიდი ბრიტანეთი, ამის წინააღმდეგია, იმის საფუძველზე, რომ აღნიშნული საკითხი უკვე დარეგულირებულია არსებული საერთაშორისო სამართლის ნორმებით. უდავოდ, ყველა ძლიერი სახელმწიფო ავითარებს ასეთ სისტემებს და შესაძლოა ბევრი მათგანი უკვე იყენებს კიდევ მსგავს ტექნოლოგიას. შეიძლება თუ არა ამ დრონმა შეწყვიტოს მისია იმ მიზეზით, რომ მისი სამიზნე საავადმყოფოში შე-

ვიდა ან ბავშვთა ჯგუფს შეაფარა თავი? ასეთ შემთხვევაში, დრონი, რომელსაც ადამიანი მართავს შესაძლოა შეჩერებული ყოფილიყო. ეჭვი მეპარება, რომ ხელოვნური ინტელექტის სისტემამ შეძლოს ასეთი დახვეწილი გადაწყვეტილების მიღება. ანალოგიურად, შეძლებს თუ არა ხელოვნური ინტელექტის მქონე დრონი იმის განსაზღვრას, დაეშვას თუ არა იგი დასახლებულ ან ნაკლებად დასახლებულ ადგილზე? კვლავაც მეჭვება რომ კი. არაეთიკურია? დიახ. მაგრამ ეთიკა ყოველთვის არ არის პრიორიტეტული სფერო სამხედრო აზროვნებაში. ნამდვილად პრობლემური საკითხი საერთაშორისო სამართალში.

ამასთან, სახის ამოცნობის ტექნოლოგია შეიძლება გამოყენებული იყოს რეპრესიული, ავტორიტარული რეჟიმების მიერ დენის გასაადვილებლად. მსოფლიოში ყველაზე შემამფოთებელი მაგალითია ჩინეთის მთავრობის მიერ სახის ამოცნობის ტექნოლოგიის ფართოდ რეკლამირებული გამოყენება დასავლეთ ჩინეთში, Xinjiang-ში, მილიონამდე უიღურას იდენტიფიცირებისა და დაპატიმრებისთვის მხოლოდ მათი წარმომავლობისა და რელიგიის საფუძველზე. სრულიად არაეთიკურია. მე ვიყავი იქ 2016 წელს და ძალიან მტკივნეული იყო ამის შესწრება. ამ სამწუხარო მონათხრობის ერთი დადებითი მხარე ისაა, რომ ტრამპის ადმინისტრაციამ განიხილავს იმ ხუთი კომპანიის შავ სიაში შეყვანას (მათ შორის, Megvii, Zhejiang Dahua Technology Co. და Hangzhou Hikvision Digital Technology Co.), რომლებიც ამ სისტემებით ამარაგებენ ჩინეთის მთავრობას.

ზოგადად, სახის ამოცნობის ტექნოლოგიის გამოყენებით წამოჭრილი ეთიკური საკითხები ფართო ყურადღებას იპყრობს. მოსახერხებელია, რომ ჩემი კომპიუტერი ცნობს ჩემს სახეს, ასე რომ მე არ მჭირდება პაროლის გამოყენება სისტემაში შესასვლელად. უფრო მეტიც, ამ ტექნოლოგიამ პოლიციას საგრძნობლად გაუადვილა ანაპოლისის MD გაზეთის ოფისში მასობრივ სროლაში ეჭვმიტანილი პირის დაკავება გასულ ივნისს. მაგრამ, სან-ფრანცისკომ აკრძალა

პოლიციისა და საჯარო ხელისუფლების მიერ ამ ტექნოლოგიების გამოყენება. ედ ბრიჯმა კი სამხრეთ უელსის პოლიციის უჩივლა ამ ტექნოლოგიის გამოყენებისთვის მისი ნებართვის გარეშე. იგი ამტკიცებდა, რომ ეს იყო მისი პირადი ცხოვრების არაკანონიერი ხელყოფა და მონაცემთა დაცვის კანონისა და თანასწორობის კანონის დარღვევა. თუმცა მან საქმე ვერ მოიგო.

ხელოვნური ინტელექტი შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნას კრიმინალური მიზნებისათვის. მაგალითად, ვინმემ აიღოს თვითმართვადი მანქანა და აქციოს იგი იარაღად, შეტევა მოახდინოს ინფრასტრუქტურულ ობიექტებზე, როგორცაა სატელეფონო ქსელები და ელექტროგადამცემები, ან შეაგროვოს მონაცემები, და ა.შ. ამ მიმართულებით უამრავი სხვა წუხილიც არსებობს IoT-ში. ამჟამად არაეთიკური და ნამდვილად დანაშაულებრივია ეს ყოველივე. რისკები უნდა შეფასდეს ასეთ სიტუაციებში. ეს საკითხები და წუხილები ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ კიბერუსაფრთხოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხელოვნური ინტელექტთან მიმართებაში, რაც კარგად არის განხილული ანგარიშში – „ხელოვნური ინტელექტის მავნე გამოყენება: პროგნოზირება, პრევენცია და შემსუბუქება“, რომელიც გამოქვეყნდა 2018 წლის თებერვალში, ოქსფორდის უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფის მიერ. მათ დაადგინეს, რომ ხელოვნური ინტელექტის სისტემების მზარდი გამოყენება გამოიწვევს საფრთხეთა შემდეგ ნაირსახეობებს:

არსებული საფრთხეების გაზრდა. შეტევების ხარჯები შეიძლება შემცირდეს ხელოვნური ინტელექტის სისტემების მასშტაბური გამოყენებით იმ დავალებების შესრულების მიზნით, რომლებიც ჩვეულებრივ მოითხოვს ადამიანის შრომას, გამოცდილებას და ცოდნას.

ახალი საფრთხეების აღმოცენება. ახალი შეტევები შეიძლება წარმოიშვას ხელოვნური ინტელექტის სისტემის გამოყენებით ისეთი დავალებების შესასრულებლად, რაც სხვაგვარად არაპრაქტიკული იქნებოდა ადამიანისთვის.

გარდა ამისა, მავნე აქტორებმა შეიძლება არაკეთილსინდისიერად გამოიყენონ დამცველების მიერ განლაგებული ხელოვნური სისტემების ნაკლოვანებები და შედეგად შეიძლება მივიღოთ ხელოვნური ინტელექტის სისტემები, რომლებიც თავს ესხმიან მოწინააღმდეგე ხელოვნური ინტელექტის სისტემებს.

საფრთხეების ტიპური ხასიათის შეცვლა. მიგვაჩნია, რომ არსებობს საფუძველი იმისა, რომ ხელოვნური ინტელექტის მზარდი გამოყენებებით განხორციელებული შეტევები იყოს განსაკუთრებით ეფექტური, მიზნობრივი, რთულად ამოსაცნობი და სხვა სისტემების ნაკლოვანებებით მოსარგებლე.

ამ სისტემების მახასიათებელია ის, რომ მათ არ შეუძლიათ ახსნან, თუ როგორ მიიღებენ ამა თუ იმ გადაწყვეტილებას. არც მათ დიზაინერებს და დეველოპერებს შეუძლიათ ახსნან გადაწყვეტილების მიღების საფუძველი. ეს ცნობილია როგორც „შავი ყუთის“ პრობლემა.

ამ საფრთხეების საპასუხოდ ექსპერტებმა შეიმუშავეს ოთხი ზოგადი რეკომენდაცია:

- პოლიტიკის შემქმნელებმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ ტექნიკურ მკვლევარებთან, რომ შეისწავლონ, თავიდან აიცილონ და შეამცირონ ხელოვნური ინტელექტის შესაძლო მავნე გამოყენება.
- ხელოვნური ინტელექტის სფეროს მკვლევარებმა და ინჟინერებმა სერიოზულად უნდა მიიღონ მხედველობაში თავიანთი მუშაობის შედეგთა ორმაგი გამოყენების ხასიათი, რაც კვლევის პრიორიტეტებსა და ნორმებზე აისახება და პრაქტიკულად მიაწვდის შესაბამის

აქტორებს ინფორმაციას სისტემის შესაძლო მავნე გამოყენების თაობაზე.

- საუკეთესო პრაქტიკის დადგენა უნდა განხორციელდეს ისეთი კვლევის სფეროებში, სადაც გამოიყენება უფრო სრულყოფილი მეთოდი ორმაგი გამოყენების პრობლემების მოგვარებისთან მიმართებაში, როგორცაა კომპიუტერის უსაფრთხოება და მისი იმპორტი იმ შემთხვევაში თუ ის უკავშირდება ხელოვნური ინტელექტის შემთხვევას.

- ჩვენ აქტიურად უნდა ვეძიოთ და ხელი შევუწყოთ დაინტერესებული მხარეების და სფეროს ექსპერტების სპექტრის გაფართოებას, რომლებიც მონაწილეობენ ამ გამოწვევების განხილვაში.

პასუხისმგებლობა

ვინ არის პასუხისმგებელი, როდესაც ხელოვნური ინტელექტი შეცდომას უშვებს ან მწყობრიდან გამოდის? იცოდა მან რომ შეცდომა დაუშვა? ალბათ არა. ეს საკითხი შეიძლება განვიხილოთ უფრო სამართლებრივ ჭრილში ვიდრე ეთიკის ნორმების დარღვევად. თუმცა ჩემი აზრით, ეს ორივეა. ეს ყველაზე ხშირად აღინიშნება ავტომატურ მანქანებთან მიმართებით, რომლებსაც, ექიმების და მძღოლების მსგავსად, შეუძლიათ იმსხვერპლონ ადამიანი. 2018 წელს დიდი ბრიტანეთის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც განმარტავს პასუხისმგებლობის საკითხებს ავტომატური თვითმართვადი გადაადგილების საშუალებების შემთხვევაში, თუმცა აღნიშნული კანონის იმპლიმენტაცია ჯერ არ მომხდარა. კანონმა ზიანის ან დაზარალების შემთხვევაში პასუხისმგებლობა დააკისრა მზღვეველს, იმ შემთხვევაში თუ მანქანა დაზღვეული იყო, ხოლო თუ არ იყო დაზღვეული, პასუხისმგებლობა ეკისრება მესაკუთრეს. ეს უზრუნველყოფს, დაზარალებული მხარეების შედარებით სწრაფ კომპენსაციას, ძირითადი მიზეზების გამოძიების პროცესში, რასაც გაცილებით მეტი დრო სჭირდება. მზღვეველი კანონის შესაბამისად უფლებამოსილია მოგვიანებით შეიტანოს საჩივარი მწარმოებელის ან დეველოპერის წინააღმდეგ და მოითხოვოს გაუმართავი კომპონენტის ან პროგრამული

მოდულის მწყობრიდან გამოსვლისთვის შესაბამისი კომპენსაცია. აქტი ასევე არის მუხლები ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორც არის მაგალითად, მფლობელის მიერ მწარმოებლისგან მიღებული უსაფრთხოების პროგრამული უზრუნველყოფის პარამეტრების არ განახლება ან მოხმარებლის მიერ პროგრამული უზრუნველყოფის პარამეტრების არაავტორიზებული მოდიფიცირება. აქტი არ არის განხილული სიტუაცია, როდესაც თვითმართვად საშუალებას შეუტევს ჰაკერი ან მის მართვას ხელში ჩაიგდებს მტრული მხარე (სიტუაციები, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ). ამასთან, კონცეფციურად კანონი განიხილავს მძღოლის არყოფნის საკითხს, ვინც შესაძლოა პასუხისმგებელი იყოს. მიუხედავად ამისა, რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, სხვა სფეროებში პასუხისმგებლობის ეთიკური და სამართლებრივი საკითხები ღიად რჩება. თუმცა ევროკომისია აგრძელებს ამ მიმართულებით არსებულ სამართლებრივ გამოწვევებზე მუშაობას.

გავლენა დასაქმებასა და საზოგადოებაზე

შექმნის თუ არა ხელოვნური ინტელექტი ახალ სამუშაო ადგილებს? თუ პირიქით, გაანადგურებს არსებულს? აუცილებლად გამოიწვევს ორივეს. რა ეთიკური საკითხები წამოიჭრება აღნიშნულს შედეგად? ინდუსტრიული რევოლუციების მსგავსად, ე.წ. მე-4 ინდუსტრიული რევოლუცია პირველ რიგში გაანადგურებს სამუშაო ადგილებს, ჩაანაცვლებს ადამიანის შრომას უფრო სწრაფი, იაფი, ეფექტური აპარატებით, რომლებიც არ საჭიროებენ შევსებას და არ მოითხოვენ ხელფასის ზრდას. დროთა განმავლობაში ისინი შექმნიან ისეთ მოთხოვნებს, რაც ახლა ვერც კი წარმოგვიდგენია; საჭირო გახდება ისეთი ფუნქციების შეთავსება, რასაც ადამიანები ვერ დააკმაყოფილებენ. თანმიმდევრულად, მსგავსი ცვლილებები გამოიწვევს უმუშევრობას. ჩვენ ამ ფენომენის მასშტაბის შეფასება არ შეგვიძლია. ხელოვნური ინტელექტის ყველაზე გულმხურავლე დამცველები გვამყვინებენ, რომ სანერვიულო არ გვაქვს. ეს არასწორია. მეორე უკიდურეს შემთხვევაში, ზოგიერთი ექსპერტი გა-

დაჭარბებულად ზრდის საფრთხეების ჩამონათვალს და პროგნოზირებს უმუშევრობის კატასტროფას. ეს ჩვენ არაფერში გვეხმარება. ჩვენ აქტიურად უნდა ვიფიქროთ ამ საკითხებზე. ადამიანების სამსახურებიდან გაშვება ახალი სამუშაოს მოძიების გარეშე, არაეთიკურია და შედეგად ზიანს აყენებს საზოგადოებას.

რა უნდა გაკეთდეს ამის თავიდან ასაცილებლად? გადაშვადება არის მნიშვნელოვანი. არსებობს სამუშაოები, რომელსაც ხელოვნური ინტელექტი ვერ შეასრულებს. ამის მაგალითია, მოხმარებლის ინტერფეისის დიზაინი. ასევე, გასათვალისწინებელია თუ ვინ უნდა დააფინანსოს გადაშვადება – მთავრობამ, კორპორაციებმა, კერძო პირებმა? ალბათ, ჩამოთვლილთაგან ყველაში. ამ სფეროში კორპორატიული ძალის-

„სანდობა მთავარი ნინაპირობაა საზოგადოებისთვის, რომ მან განავითაროს და გამოიყენოს ხელოვნური ინტელექტის ძალა სისტემაში“.

ხმევის შესანიშნავი მაგალითებია: AT&T-ის Future Ready ინიციატივა, რომელიც არის 1 მილიარდი დოლარის ღირებულების ვებ პლატფორმა, რომელიც მოიცავს ონლაინ კურსებს და თანამშრომლობს სასწავლო კომპანიებთან, როგორცაა Coursera და Audacity და ასევე წამყვან უნივერსიტეტებთან. ამასთან, ფუნქციონირებს კარიერული ცენტრი, რომელიც თანამშრომლებს საშუალებას აძლევს გადაშვადდნენ ისეთი სამსახურებისთვის, როგორც კომპანიებს ესაჭიროებათ დღესდღეობით და სამომავლოდაც. 2020 წლისთვის AT&T-ს გადაშვადებული ეყოლება 100,000-მდე თანამშრომელი თანამედროვე პროფესიული უნარების მიმართულებით. BT-ს აქვს მსგავსი პროგრამა დიდ ბრიტანეთში, რომელსაც მხარს უჭერენ IBM, Cisco, Microsoft და სხვები, ისევე როგორც

25 უნივერსიტეტი და ბრიტანეთის კომპიუტერული ცენტრი.


არსებობს კიდევ ერთი ეკონომიკური და სოციალური ეთიკური საკითხი, რომელიც ეხება ხელოვნურ ინტელექტს. კერძოდ, რისკი იმისა, რომ სარგებელი არაპროპორციულად გადანაწილდება პრივილეგირებული ფენის სასარგებლოდ და არ გაითვალისწინებს დაბალ სოციალურ ფენას. ამ რისკის სწრაფი მოგვარების რეცეპტი არ არსებობს, მაგრამ აუცილებელია პოლიტიკის შემქმნელებმა გაითვალისწინონ ეს ასპექტიც.

არის თუ არა ხელოვნური ინტელექტის მიერ ადამიანის განსახიერება არაეთიკური?

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ალან ტურინგმა შეიმუშავა „იმიტაციის თამაში“, რომელიც დღეს ცნობილია „ტურინგის ტესტის“ სახელწოდებით – შეუძლია თუ არა მანქანას დაარწმუნოს ადამიანი, რომ ისიც ადამიანია. ბოლო დრომდე, არცერთ მანქანას არ გაუვლია ტურინგის ტესტი წარმატებით. თუმცა, Google-ის დეველოპერების 2018 წლის კონფერენციაზე, სანდარ პიჩაიმ, Google-ის აღმასრულებელმა დირექტორმა, ხელოვნური ინტელექტის -დუპლექსის (Duplex) დემონსტრირება მოახდინა, რომელიც დამაჯერებლად დაუკავშირდა სილაბის სალონს და ჩაეწერა თმის ვარცხნილობაზე და ამავდროულად დაჯავშნა მაგიდა რესტორანში. ზარის ვერც ერთმა მიძღვმა ვერ გაიაზრა, რომ მანქანასთან საუბრობდა. ნამდვილად დამაჯერებელი იყო. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ხელოვნურმა ინტელექტმა წარმატებით ჩააბარა ტურინგის ტესტი, მას შემდეგ, რაც ალან ტურინგმა 70 წლის წინ შექმნა იგი. აღნიშნული ტექნოლოგია ახლა ხელმისაწვდომია Google-ის მეშვეობით. მიუხედავად იმისა, რომ კონფერენციაზე დამსწრე საზოგადოება დემონსტრირებას აპლოდისმენტებით შეხვდა, სოციალურმა მედიამ მსგავს მოვლენას არაეთიკური უწოდა. ევროკავშირის მაღალი დონის საექსპერტო ჯგუფმა განაცხადა, რომ ეს ეწინააღმდეგება მათ ერთ – ერთ ძირითად პრინციპს.

რამდენად მნიშვნელოვანია ეთიკა ხელოვნური ინტელექტში ?

საკმაოდ. თუ საზოგადოება თვლის, რომ ხელოვნური ინტელექტის გამოყენება არაეთიკურია, ის დაკარგავს საზოგადოების ნდობას. ამის მრავალი მაგალითია, მეცნიერული დასაბუთებით ან დასაბუთების გარეშე. გენეტიკურად შეცვლილი (GM) საკვებისადმი უნდობლობა და Boeing 737 Max– ის შემთხვევა აშკარა მაგალითებია. ევროკავშირის ხელოვნური ინტელექტის მაღალი დონის ექსპერტთა ჯგუფის თქმით:



„სანდლობა მთავარი წინაპირობაა საზოგადოებისთვის, რომ მან განავითაროს და გამოიყენოს ხელოვნური ინტელექტის მქონე სისტემები. ხელოვნური ინტელექტის სისტემებისა და მათ უკან მყოფი ადამიანების მიმართ ნდობის გარეშე, ხელოვნური ინტელექტის შემდგომი განვითარება შეიძლება შეფერხდეს, რაც ხელს შეუშლის პოტენციურად მზარდი სოციალური და ეკონომიკური სარგებლის რეალიზაციას.“

ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით აღნიშნა: „იმისთვის, რომ დავეხმაროთ ევროპას ხელოვნური ინტელექტით მიღებული სარგებლის რეალიზაციაში, აუცილებელია უზრუნველყოთ სანდო ხელოვნური ინტელექტის არსებობა“.

ჯგუფმა გამოავლინა ოთხი ეთიკური პრინციპი, რომელიც ხელოვნურმა ინტელექტმა უნდა დაიცვას:

- ადამიანის ავტონომიის პატივისცემა;
- ზიანის პრევენცია;
- სამართლიანობა;
- ახსნადობა.

მათ აღნიშნეს, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი სამართლებრივი ვალდებულება მოიცავს ეთიკურ პრინციპებს, ეთიკური პრინციპების დაცვა სცილდება არსებული კანონების მხოლოდ ფორმალურ დაცვას. ეს დამაჯერებელი არგუმენტია.

ეთიკას ხშირად განიხილავენ, როგორც რა „ არ შეიძლება გაკეთდეს“. რა თქმა უნდა, არსებობს არაეთიკური საფრთხე-

ები, რომელიც ასევე გასათვალისწინებელია, მაგრამ საჭიროა ეთიკა განვიხილოთ პოზიტიურ ჭრილში. ჩვენ უნდა შევიძინოთ პროდუქცია იმ კომპანიებისგან, რომლებსაც ეთიკურად მივიჩნევთ. ხალხს სურს იმუშაონ ეთიკურ დამსაქმებლებთან. აკადემიკოსებს სურთ კვლევის ჩატარება ეთიკური გზით. იურისტებისთვის ეთიკურად მოქმედება მათი პროფესიის საფუძველია. ეთიკურობა უნდა იყოს ორგანიზაციის პოზიციისა და სტრატეგიის მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტი. ამრიგად, ეთიკურობა აუცილებელი წინაპირობაა, რაც უნდა მოიაზრებოდეს ხელოვნური ინტელექტის განვითარების ყოველ საფეხურზე -დაწყებული კონცეფციიდან და დიზაინიდან მის საბოლოო კონსტრუქციამდე.

დასკვნა

მე განვიხილე ექვსი ეთიკური საკითხი ხელოვნური ინტელექტთან მიმართებაში: მიკერძობა, ახსნადობა, უვნებლობა, პასუხისმგებლობა ზიანზე, გავლენა და-საქმებაზე, და ხელოვნური ინტელექტის მიერ ადამიანების განსახიერება. ჩემი მთავარი არგუმენტია, რომ ეთიკას ნამდვილად აქვს მნიშვნელობა ხელოვნური ინტელექტის განვითარებაში, რადგან თუკი ის სანდოა მისი სარგებელი დადებითად აისახება საზოგადოებაზე.

როგორ მოქმედებს ეს კანონზე? ბუნებრივია ნებისმიერი კანონი, მათ შორის რეგულირება, უნდა ემყარებოდეს ეთიკურ პრინციპებს. კარგი რეგულაციის შემუშავება რთულია ასეთ სწრაფად მზარდ სფეროში; გადაჭარბებული რეგულირება

კი იწვევს ინოვაციის შეფერხების რისკს. თუმცა, ევროკავშირმა აჩვენა, რომ ამ მიმართულებით პროგრესი შესაძლებელია და საჭიროა მან კვლავ განაგრძოს სტანდარტის დადგენა ამ კუთხით.

ამ კონტექსტში იმედის მომცემია ის ფაქტი, რომ OECD-ს 42-მა ქვეყანამ ახლახანს ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომელიც მიზნად ისახავს ხელოვნური ინტელექტის გლობალური მმართველობის ჩარჩოს ხელშეწყობას (“ხელოვნური ინტელექტის საბჭოს რეკომენდაციები – პრინციპები სანდო ხელოვნური ინტელექტის პასუხისმგებლობით მართვის შესახებ”). მართალია შეთანხმებას არ აქვს კანონის ძალა, თუმცა კარგი დასაწყისია, თუ ხელმოწერა მხარეები იმოქმედებენ მის შესაბამისად.

ასე რომ, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატებისთვის ჩემი მესიჯი ნათელია: ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ეთიკა ჩვენი საქმიანობის თითოეულ ეტაპზე, იქნება ეს კლიენტებისთვის მიცემული რჩევა თუ ხელოვნური ინტელექტის განვითარება-გამოყენების საკითხები თქვენს პრაქტიკაში ან მართლმსაჯულების განხორციელებაში. ეთიკის ნორმებს უნდა იცავდეს ყველა თანამშრომელი, მათ შორის უფროსი პარტნიორი თუ აღმასრულებელი დირექტორი. ყველაფერი კი რაც უკავშირდება ხელოვნურ ინტელექტს, უპირველეს ყოვლისა დაფუძნებული უნდა იყოს ეთიკურ პრინციპებზე.

თარგმანი: თაკო ბოჭორიშვილი



ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობის საკითხისათვის (დოკუმტური გააზრების მცდელობა)

ავტორი: ირაკლი ბურდული, პროფ. დოქ. (თსუ)

I. შესავალი

ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობის საკითხი ქართულ საკორპორაციო სამართალში განსაკუთრებით აქტუალურია. ამასთან დაკავშირებით, სუხოს მიღებული აქვს რამდენიმე გადაწყვეტილება. ეს საკმარისი შეიძლება არ იყოს ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის, რამდენადაც ზოგიერთ შემთხვევაში პრაქტიკის მრავალფეროვნებაც

შეიძლება ჩაითვალოს ამ საკითხის თაობაზე დოგმატური გააზრების წინაპირობად და იურიდიულ ლიტერატურაში სხვადასხვა თეორიულ-პრაქტიკული ხასიათის გადაწყვეტის მიღების საფუძვლად. აღნიშნული თემა, დასავლეთის განვითარებული ქვეყნების საკორპორაციო სამართლისაგან განსხვავებით, საკმაოდ ახალია ქართული სამართლისთვის. საქართველოში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იურიდიუ-

ლი ლიტერატურა არც თუ ისე ბევრია. თუ არ გავითვალისწინებთ პროფესორ ჭანტურიას 2006 წლის მონოგრაფიას, რომელიც სწორედ ხელმძღვანელ პირთა პასუხისმგებლობას ეძღვნება საკორპორაციო სამართალში, ძირეული გამოკვლევა წინამდებარე თემის თაობაზე, თანაც შედარებითსამართლებრივ პერსპექტივაში, უახლოეს წარსულში არც გაკეთებულა. შესაბამისად, მიზანშეწონილი იქნებოდა მსგავს საკითხთან

დაკავშირებით გარკვეული მეცნიერული პასაჟის ჩამოყალიბება, რაც შეიძლება წაადგეს ქართულ იურიდიულ ლიტერატურას და გაამდიდროს ქართველ იურისტთა შემეცნების დიაპაზონი.

დღევანდელ რეალობაში ხშირია ცხოვრებისეული სიტუაცია, რომელშიც ხელმძღვანელი პირის (დირექტორის) არამართლზომიერი ქმედებით გამოწვეულია ზიანი. ზიანი ძირითადად მატერიალურ-ქონებრივ ზარალში გამოიხატება, რომლის შემდეგაც პრაქტიკულად შეუძლებელია მესამე პირმა სამეწარმეო საზოგადოების ქონებიდან დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა, რამდენადაც უმეტეს შემთხვევაში აღნიშნული იურიდიული პირი კრედიტუნაროა და უნდა მოხდეს მისი ლიკვიდაცია ქონების არარსებობის გამო. თუმცა მსგავს მდგომარეობაში მესამე პირის ინტერესი – დაიკმაყოფილოს საკუთარი მოთხოვნა, აინაზღაუროს ზიანი – შეიძლება იგნორირებულ იქნეს იმით, რომ საზოგადოების ლიკვიდაცია და რეესტრიდან ამოშლა არ არის კრედიტორის ქონებრივი რეაბილიტაციის ელემენტი. ისიც გასათვალისწინებელია, რომ დირექტორის პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძველი შესაძლოა სხვადასხვაგვარი იყოს ამხანაგური ტიპის საზოგადოებისა და კაპიტალური ტიპის საზოგადოების სამართალში. ამას თავად პერსონალური და კაპიტალური სამართლებრივი ფორმის დიქტომია განაპირობებს, რომელიც მკაცრად ჩამოყალიბებულ ტიპოლოგიურ ბუნებაზე უნდა იყოს დაფუძნებული. განსხვავებით კაპიტალისტური სამეწარმეო ფორმისაგან, ამხანაგური ტიპის საზოგადოებაში, სადაც კორპორაციული მოსახამის დოქტრინა არ მოქმედებს, კრედიტორი საზოგადოების ქონების დანაკლისის ან საერთოდ არარსებობის პირობებშიც კი იკმაყოფილებს თავის მოთხოვნას პირდაპირ და უშუალოდ საზოგადოების პარტნიორის ქონების ხარჯზე, მაშინ, როდესაც ეს, გარკვეული გამოწვევის გარდა, წარმოუდგენელია კაპიტალურ საზოგადოებაში. თავად კაპიტალური საზოგადოების სამართლებრივ ფორმებშიც კი სახვადსხვანაირად შეიძლე-

ბა წარმოჩინდეს ხელმძღვანელ პირთა პასუხისმგებლობის დიაგრამა და იგი განსხვავებული იყოს შპს-ისა და სს-ის სამართლებრივ ფორმაში, თუკი გათვალისწინებული იქნება თითოეული სამეწარმეო საქმიანობის განმარტებელი ორგანიზაციული ფორმის დამოუკიდებლობა და, რალა თქმა უნდა, სპეციფიკური მოწესრიგების თავისებურება. საქართველოში ორგანიზაციული ეკნომიკის მამოძრავებელ ძალას შპს-ის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა წარმოადგენს. სასამართლო პრაქტიკაც, ძირითადად, სწორედ შპს-ს შეეხება.¹ ამდენად, აღნიშნულ სტატიაშიც ყურადღება სწორედ შპს-ში დირექტორის პასუხისმგებლობის სამართლებრივ საკითხზე გამახვილდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ კრედიტორის მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობა ან მისი სრულად ვერდაკმაყოფილების რისკი, მიუხედავად მისი მნიშვნელობისა, არ გახლავთ აპრიორი თავად შპს-ის საქმიანობის რენტაბელობის წინაპირობა. ხშირად ხელმძღვანელის არამართლზომიერი ქმედება საზოგადოების მიზნის შემდგომ მიღწევას ხდის შეუძლებელს. ამიტომ კომპანიისთვის და მისი პარტნიორისთვის ხელმძღვანელის მხრიდან ზიანის ანაზღაურება თავად საზოგადოების, როგორც სოციალური კეთილდღეობის შემქმნაზე ორიენტირებული წარმონაქმნის რეაბილიტაციის საფუძველია.

შპს, როგორც კაპიტალური ტიპის საზოგადოება და იურიდიული პირი, საკუთარი ქონების მქონე სოციალური წარმონაქმნია. იგი მისი ორგანული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის სახით გამოდის მესამე პირთან ურთიერთობაში, დებს გარიგებას და იღებს ვალდებულებას. იურიდიული პირის განცალკევებულმა ქონებამ კი უნდა უზრუნველყოს საზოგადოების მიზნის მიღწევა და მესამე პირის მატერიალური ინტერესის, მისი მოთხოვნის დაკმაყოფილება. იმ შემთხვევაში, როდესაც დირექტორის ან პარტნიორის მხრიდან არამართლზომიერ ქმედებას ადგილი არ აქვს, მაშინ დირექტორის პასუხისმგებლობა საზოგადოებისა და მესამე პირის წინაშე გამოირიცხება, ერ-

თი მხრივ, business judgment rule-ით, მეორე მხრივ, მისი მხრიდან გადაწყვეტილებათა მართებულად მიღების თავისუფლების მასშტაბით, ხოლო პარტნიორის შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპი და მასა და იურიდიული პირის ქონებას შორის ზღვარის გაღლება² უზრუნველყოფს კორპორაციული საფარველის შენარჩუნებას. ეს კი თავის მხრივ ნიშნავს გამჭოლი პასუხისმგებლობის³ გამოუყენებლობას. ამ ვითარებაში, საზოგადოებას „მართლზომიერად“ არ აქვს მესამე პირის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობა, რაც ზემოთ მოყვანილი თეორიებით არის გამართლებული. დამატებითი ინვესტიციისა და რეაბილიტაციის შეუძლებლობის შემთხვევაში იგი კოტრდება, ხოლო მესამე პირი რჩება მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების გარეშე. ერთი შეხედვით ეკონომიკურად ეს გამართლებულიც უნდა იყოს,⁴ რადგან კორელაციაში მოვიდოდა კრედიტორის გამართლებულ რისკთან. აქაც უნდა განსხვავებულიყო ერთმანეთისაგან სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო კრედიტორი, რამდენადაც სახელშეკრულებო კრედიტორი უფრო გარანტირებული შეიძლება იყოს მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და რისკის სახელშეკრულებო საფუძველზე განმეორალებისაგან,⁵ ვიდრე არასახელშეკრულებო. დელიქტით მიყენებული ზიანის დროს უსამართლო იქნებოდა ნამდვილად უგულვებლადყოფილი ზემოთ აღნიშნული თეორიები და კრედიტორი პირისპირ დაგვეყენებინა მხოლოდ ქონებისაგან „გამომიგნული“ იურიდიული პირის წინაშე. ამიტომ ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში როგორც ამერიკულმა სასამართლოებმა, ისე გერმანიის საიმპერიო სასამართლომ შემუშავება დაიწყეს იმ გამოწვევის შესახებ, რომელიც იურიდიული პირის ქონების დანაკლისის შემთხვევაში პასუხს იმ პირს დააკისრებდა, რომლის არამართლზომიერი ქმედების შედეგად საზოგადოება ამ მდგომარეობამდე მივიდა. სტატიაში აქცენტი არ გამახვილდება პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობაზე, არამედ დირექტორის არამართლზომიერი ქმედების შედეგზე და იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს მსგავს სიტუაციაში დოგმატუ-

რად სწორად მისი პასუხისმგებლობის საკითხის გააზრება და საზოგადოების, საზოგადოების პარტნიორის და მესამე პირის მოთხოვნის დაკმაყოფილება. შესაბამისად, შემდეგ თემებზე იქნება მსჯელობა: შესავლის შემდეგ (I) მოკლედ განიხილება დირექტორის ადგილი და სტატუსი შპს-ში (II); (III) პასუხისმგებლობის სუბიექტები, რასაც მოყვება (IV) დირექტორის პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმები და ბოლოს, ჩამოყალიბდება ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის სისტემა (V).

ქართული საკორპორაციო სამართლის ინსპირირების საფუძველი გერმანული (ევროპული) საზოგადოებათა და სავაჭრო სამართალია.⁶ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, როდესაც საკორპორაციო სამართლის ძირითადი წყარო – მეწარმეთა შესახებ კანონი – შეიქმნა, შპს-ის, როგორც სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების დამოუკიდებელი და თვითმყოფადი სამართლებრივი ფორმა ჩამოყალიბდა, მისი მომწესრიგებელი ნორმა-დებულებები, მათ შორის, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობასთან დაკავშირებული, სწორედ რომ გერმანული სამართლის რეცეფციის შედეგად დაფუძნდა. რეცეფციის მეცნიერების⁷ მნიშვნელობიდან გამომდინარე აღნიშნულ სტატიამ ჩამოჭრილი საკითხები შედარებითსამართლებრივ დისკურსში იქნება წარმოჩენილი, რაც გაამდიდრებს საკვლევ თემას და მოემსახურება მსგავსი ინსტიტუტის მომწესრიგებელი ქართული სამართლებრივი ნორმის (ნორმების) არგუმენტაციის სისწორისა და სამართალშეფარდების პროცესში მისი გამოყენების მართებულობის ჩამოყალიბებას.⁸ ამ მხრივ, გასათვალისწინებელი იქნებოდა რეცეფციის, როგორც ჰერმენევტიკული მეცნიერების დანიშნულება,⁹ რამდენადაც რეცეფცია და „დაიწყება“ უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაში „განვიხილო კატეგორიებადაც“ მოიხსენიება,¹⁰ არადა ე.წ. ანნა კარენინას პრინციპის¹¹ მხედველობაში მიღება, შესაძლოა ზოგიერთ შემთხვევაში არც თუ ისე მიუღებელი იყოს იურისპრუდენციისთვისაც.

II. ხელმძღვანელი პირის (დირექტორის) ადგილი და სტატუსი

ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობასთან დაკავშირებული მოწესრიგებები ქართულ საკორპორაციო სამართალში თავის დროზე გერმანული საზოგადოებათა სამართლის რეცეფციის შედეგად ჩნდება.¹² ხელმძღვანელობა, ქართული სამართლის მიხედვით, ფართე და ვიწრო გაგებას მოიცავს. ვიწრო გაგებით მასში შედის ფაქტობრივი და იურიდიული ქმედებების განხორციელება და ამასთანავე იგი თავის თავში მოიცავს მესამე პირებთან საზოგადოების სახელით წარმომადგენლობას (დირექტორატი), ხოლო ფართე გაგებით ხელმძღვანელ პირში შეიძლება მოაზრებულ იქნეს პარტნიორი, რომელიც პარტნიორთა კრებაზე (ან ერთპიროვნულად 100%-იანი წილობრივი მონაწილეობის შემთხვევაში) იღებს გადაწყვეტილებას საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებით. აქვე შეიძლება მოიზარებოდეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც (წევრებიც), თუკი ასეთი საზოგადოებრივი რგოლი ჩამოყალიბებულია შპს-ში¹³ და საწარმოს ფაქტობრივი ხელმძღვანელიც. ეს უკანაგონი¹⁴ იურიდიულად შეიძლება არც დირექტორი იყოს, არც სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და არც პარტნიორი, არამედ სხვა პირი,¹⁵ რომელიც ფაქტურად მართავს¹⁶ აღნიშნულ საწარმოს. მატერიალურ-სამართლებრივად საზოგადოებას მესამე პირთან ურთიერთობაში წარმოადგენს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი – დირექტორი, რომელიც ფაქტობრივად და იურიდიულად მართავს კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას. ერთი პერიოდი ქართული სასამართლო პრაქტიკა არაერთგვაროვანი იყო იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა განსაზღვრულიყო დირექტორის ადგილი საზოგადოებაში, თუ რა სასამართლო ურთიერთობაში იმყოფებოდა იგი საწარმოსთან – უნდა გავრცელებულიყო მასზე შრომის კანონმდებლობის მოთხოვნები, უნდა გამოგვერიცხა საერთოდ შრომის კოდექსის მოქმედება მასზე თუ უნდა გავრცელებულიყო

მხოლოდ შემზღველად საგამონაკლისო სახით.¹⁷ საბოლოოდ ჩამოყალიბდა ერთიანი პრაქტიკა იმასთან დაკავშირებით, რომ დირექტორი, დაფუძნებული უცხო ორგანოს კონცეფციაზე,¹⁸ არის საზოგადოების პროფესიონალი მენეჯერი, რომელიც დამოუკიდებლად, საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში წარმართავს საწარმოს საქმიანობას, მასზე არ ვრცელდება შრომის კოდექსის მოთხოვნები და მასა და საზოგადოებას შორის ჩამოყალიბებულია ე.წ. სასამსახურო კავშირურთიერთობა,¹⁹ რომელიც უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებით განვრცობილი, დახასიათებული და მიმსგავსებულია დეკლარაციის სამართალურთიერთობასთან.²⁰ ეს უკანასკნელი მიდგომა საინტერესოა ასევე დირექტორისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებისა და ზიანის ანაზღაურების ნაწილშიც,²¹ რამდენადაც, როგორც სასამართლო განმარტავს, დირექტორზე დაკისრებული ვალდებულება სწორედ დეკლარაციის ხელშეკრულებიდან მომდინარეობს, ხოლო მოსარჩელეს ევალება დაამტკიცოს უძევებოდა თუ არა დირექტორი საწარმოს სპეციალური კანონით (იგულისხმება მეწარმეთა შესახებ კანონის მე-9.6 მუხ.) დადგენილი მოთხოვნებით²² და მხოლოდ მისი დარღვევის შემთხვევაში ხდება იგი პასუხისმგებლობის დაკისრების (და შემდეგ კი შეიძლება გახდეს ასევე ზიანის ანაზღაურების) სუბიექტი.

III. პასუხისმგებლობის სუბიექტი

პასუხისმგებლობის დაკისრების სუბიექტი ქართული სამართლის მიხედვით არის ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირი. აქ უნდა განვასხვავოთ ხელმძღვანელობა ფართე და ვიწრო კონტექსტში. პასუხისმგებლობის სუბიექტია ხელმძღვანელობა ორივე გაგებით, ანუ საზოგადოების პარტნიორი²³ ან მმართველი რგოლის²⁴ წარმომადგენელი – დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. პარტნიორის შემთხვევაში პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობა და მესამე პირისათვის ზიანის ანაზღაურების საფუძველი გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის გამოყენებაა. აღნიშნულ

ვითარებაში ხდება კორპორაციული მოსახსამის მოხსნა და კრედიტორს უფლება აქვს მიზანში პირდაპირ ამოიღოს იურიდიული პირის პარტნიორი და მას წაუყენოს მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე. ქართულ რეალობაში ხშირია შემთხვევა, როდესაც სახეზეა ერთკაცა საზოგადოება²⁵ და პარტნიორი იმავდროულად საწარმოს დირექტორიცაა.²⁶ ამ დროს სასამართლო ავლებს მიჯნას პარტნიორისა და დირექტორის ქმედებას შორის.²⁷ შესაძლებელია, პარტნიორს, როგორც დირექტორს, მისი არამართლზომიერი ქმედებიდან გამომდინარე, დაეკისროს ზიანის ანაზღაურების მოვალეობა და გახდეს პასუხისმგებლობის სუბიექტი, მაგრამ როგორც პარტნიორი არ იქნეს გარიცხული საზოგადოებიდან.²⁸ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული სუბიექტებისა, პასუხისმგებლობის სუბიექტი შესაძლოა იყოს აგრეთვე საზოგადოების ფაქტობრივი მმართველი.²⁹ პრინციპში ეს მოსაზრება შესაბამისობაში მოდის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებასთან ვ. გელაშვილის საქმეზე.³⁰ შესაბამისად, მსგავს სიტუაციაში შესაძლებელია ფიქრი სასამართლოს მიერ საკანონმდებლო ჩანაწერით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის სუბიექტების კატეგორიის გაფართოებაზე, უფრო სწორედ, ნორმის მეტად ფართო განმარტებაზე. როგორც წესი, ფაქტობრივი ხელმძღვანელის შესახებ მაშინ არის საუბარი,³¹ როდესაც პირი კორპორაციულსამართლებრივი აქტის საფუძველზე არ არის დანიშნული დირექტორად ან მისი ხელმძღვანელ პირად დანიშნვის/წარდგენის გარიგება არის ბათილი, მაგრამ იგი ფაქტობრივად შეუდგა საქმიანობის განხორციელებას.³² ამასთან უმნიშვნელოა ის ფაქტი, რომ აღნიშნული პირი დირექტორად არ არის აღნუსხული სამეწარმეო რეესტრში.³³ ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დეკლარაციული მოქმედების კონცეფციიდან გამომდინარე, მესამე პირმა, რომელმაც იცოდა ამგვარი პირის ხელმძღვანელად და-

ნიშვნის თაობაზე და შევიდა გარიგებითსამართლებრივ ურთიერთობაში მასთან, უფრო სწორედ, მისი მეშვეობით შპს-ასთან, ითვლება, რომ რეგისტრაციის ფაქტი არ არის სავალდებულო წინაპირობა ასეთი გარიგების განუხორციელებლობისა (მას აქვს იურიდიული ძალა), ხოლო პირი – ფაქტობრივი ხელმძღვანელი საწარმოს დირექტორად განიხილება. მოქმედების კონტრეტური თეორიის მიხედვით კი სიტუაცია იცვლება, რამდენადაც მესამე პირთან ურთიერთობაში სახეზე უნდა იყოს, როგორც ხელმძღვანელი პირის კორპორაციულსამართლებრივი დანიშვნა თანამდებობაზე, ისე „საჯარო სამართლებრივი აქტი“ – რეგისტრაცია, რაც აქცევს კიდევ ამ უკანასკნელს დირექტორის სტატუსის მქონე საზოგადოების წარმომადგენელ პირად. გერმანიაში მოქმედებს უპირატესად დეკლარაციული მოქმედების თეორია, ხოლო საქართველოში კანონმდებლობით პრაქტიკის გათვალისწინებით – კონტრეტური.³⁴ მთავარი კითხვა, რომელსაც საკორპორაციო სამართალმა ამ შემთხვევაში უნდა გასცეს პასუხი არის ის, გავრცელდება თუ არა ამგვარ ფაქტობრივ ხელმძღვანელზე შპს-ის კანონის 43-ე პარ., ქართულში მეწარმეთა შესახებ კანონის მე-9.6 მუხ., ანუ თუ ვინ უნდა ჩაითვალოს კანონით მოაზრებული პასუხისმგებლობის სუბიექტში – მხოლოდ ის პირი, რომელსაც დაკავებული აქვს ორგანულსამართლებრივი ადგილი საზოგადოებაში მართლზომიერად, თუ ნებისმიერი სხვა, რომელიც ფაქტობრივად ასრულებს ხელმძღვანელის მოვალეობას და მისი ეს ქმედება სწორედ ასეთად იქნებოდა აღქმული როგორც შიდაორგანიზაციული, ისე გარესამართლებრივი თვალსაზრისით.³⁵ ლიტერატურაში აღნიშნულს „ფაქტობრივი ხელმძღვანელი სამოსამართლო სამართლის მითიურ აღმოჩენას“ უწოდებენ, რომელიც ამ შემთხვევაში ცდილობს „შეავსოს კონკრეტული ნორმის გამოყენების ხარვეზი“³⁶ და ამგვარად გაავრცელოს და გახადოს ფაქტური მმართველი პასუხისმგებლობის სუბიექტად. ქართულ საკორპორაციო სამართალში ასევე

არ არის მოცემული ფაქტობრივი ხელმძღვანელის დეფინიცია. ეს უკანასკნელი (საერთო სასამართლოების) სამოსამართლო სამართლით უნდა შეიქმნას უშუალოდ მასთან დაკავშირებული დავის განხილვისას. თუმცა საკითხის ქართული გადაწყვეტისთვის კვლავ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება³⁷ იქნება მოხმობილი, რამდენადაც სასამართლო არა ფორმის, არამედ მის უკან მდგარი შინაარსის გარკვევიდან, მისი ხასიათიდან, საქმიანობის ინტენსივობიდან და ფაქტობრივი ქმედების განხორციელების მასშტაბიდან ამოვიდა. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ ზემოთ აღწერილ სიტუაციაში სასამართლო ხელმძღვანელის დეკლარაციული მოქმედების კონცეფციიდან ამოვა, უაზროფს რა მკაცრად განსაზღვრულ კონტრეტურ თეორიას, პასუხისმგებლობის სუბიექტად მიჩნევისთვის გამაძმვეტ ყურადღებას არ მიაქცევს სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის ფაქტს და მეწარმეთა შესახებ კანონის მე-9.6 მუხ. მოქმედებას გაავრცელებს მასზე.³⁸ მანამდე, საკითხის გადაწყვეტა სამოსამართლო სამართლის მიერ ფაქტობრივი ხელმძღვანელის ცნების „მისტიურ განსაზღვრებას“ დაელოდება. მოკლედ, ხელმძღვანელი პასუხისმგებლობის სუბიექტია კანონის ფართე გაგებით. ეს უკავშირდება, როგორც წესი, პირის მხრიდან ორგანულსამართლებრივი ადგილის დაკავებასა და სტატუსის განსაზღვრას საზოგადოებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ამისთვის გათვალისწინებული ყველა მატერიალური აღნიშვნა/გამწესებით, მასთან სასამართლო ხელშეკრულების (წარდგენის) დადებითა და სამეწარმეო რეესტრში დირექტორად რეგისტრაციით დასრულებული. ამიტომ კომენტარულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ხელმძღვანელის (საკორპორაციო სამართლით გათვალისწინებული) პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი ნორმის შემადგენლობის მოქმედება, იდეალტიპურ შემთხვევაში, დაკავშირებულია ორგანიზაციულსამართლებრი-

ვი აქტის – დანიშვნის ნამდვილობასა და ამოქმედებასთან, ისევე, როგორც ნორმის მოქმედების დიამეტრი სრულდება, მაშინ, როდესაც ხელმძღვანელი გათავისუფლებულ იქნება თანამდებობიდან.³⁹ თუმცა პასუხისმგებლობის სუბიექტი, როგორც ითქვა, ხელმძღვანელი შესაძლოა გახდეს მაშინაც, როდესაც არ არსებობს დანიშვნის აქტი ან იგი არანამდვილია, ხოლო პირი ფაქტობრივად შეუდგა საქმიანობის განხორციელებას⁴⁰ და საწარმოს მართვას. დასაშვებია ასევე ამ კონსტრუქციის შებრუნებული ვარიანტი. კერძოდ, არსებობს პარტნიორთა გადაწყვეტილება, ანუ კორპორაციულსამართლებრივი აქტი პირის ხელმძღვანელად გამიწესებასთან დაკავშირებით, მაგრამ არ არსებობს⁴¹ პირთან სასამსახურო კავშირურთიერთობა ან მასთან გაფორმებული ხელშეკრულება არანამდვილია. მსგავს სიტუაციაშიც პირი შესაძლოა გახდეს პასუხისმგებლობის დაკისრების ადრესატი, თუკი იგი ფაქტობრივ ხელმძღვანელად მიიჩნევა სასამართლოს მიერ. პასუხისმგებლობის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი იქნება ასევე შემთხვევა, როდესაც ხელმძღვანელი პირის ორგანულსამართლებრივი მოქმედება დასრულებულია მოქმედების ვადის ამოწურვის გამო, მაგრამ ეს უკანასკნელი მაინც აგრძელებს ფაქტობრივად საქმიანობას,⁴² რაც შეიძლება გახდეს კიდევ მასზე კეთილსინდისიერი ხელმძღვანელის მოვალეობის მავალდებულებული ნორმების გავრცელების წინაპირობა.

IV. ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის მომხსარი-გეგმარი მატერიალურსამართლებრივი ნორმები

დირექტორის პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები კომპლექსური ხასიათის უნდა იყოს და განაპირობებს ხელმძღვანელი პირისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას. როგორც წესი, თითქმის ყველა მათგანი დელიქტურსამართლებრივი ბუნებისაა. ამ თვალსაზრისით მიზანშეუწონელი არ უნდა იყოს, როგორც ზოგადი კერძო, ისე სპეციალური კერძო

მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების გამოყენება. იმისდა მიხედვით, თუ ვის წინაშე შეიძლება იყოს დირექტორი პასუხისმგებლობის სუბიექტი განსხვავებული ნორმების გამოყენება შეიძლება დაგვირდეს, თუმცა ეროვნულ დონეზე მწირი მოწესრიგებისა და სასამართლო პრაქტიკის პირობებში განვრცობისა და საკითხის სისტემურად ჩამოყალიბების წინაპირობად შედარებითი სამართალი იქნებოდა გამოყენებული, როგორც ნორმის ინტერპრეტაციის შესაძლო დამოუკიდებელი მეთოდი.⁴³ ეს მოემსახურებოდა ხელმძღვანელისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების დოგმატურად სწორად გააზრებისა და შეფარდების საქმეს.

ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობა, როგორც წესი, გამომდინარეობს რეგისტრაციის ძალით შექმნილი იურიდიული პირის ორგანულსამართლებრივი წარმომადგენლობისა და ხელმძღვანელობის ადგილის დაკავებიდან. ეს ნიშნავს, რომ (თუკი პასუხისმგებლობის სუბიექტი უნდა იყოს ხელმძღვანელობა ფართე გაგებით, ანუ დირექტორატი, უფრო სწორედ, დირექტორატის წევრი – დირექტორი, როგორც ფიზიკური პირი) პირი სამეწარმეო რეესტრში უნდა იყოს რეგისტრირებული დირექტორად, საზოგადოების წესდებისა და კანონის შესაბამისად მიკუთვნებული უნდა ჰქონდეს ორგანულსამართლებრივი სტატუსი და ახორციელებდეს მასზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობას. გამორიცხული არ არის, რომ ხელმძღვანელი პირი პასუხისმგებლობის სუბიექტი გახდეს პრე-რეგისტრაციის პერიოდში.⁴⁴ ასევე არ უნდა გამოირიცხოს ყოფილი დირექტორისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება საწარმოს პოსტლიკვიდაციის დროს, თუმცა აქ საჭირო უნდა იყოს კომპანიის წესდების ან ცალკე შეთანხმების არსებობა, რამდენადაც ეს უკანასკნელი ძირითადად დაფუძნებულია სახელშეკრულებოსამართლებრივ პრინციპზე და შეიძლება არ გამომდინარეობდეს კანონიდან. როგორც სტატიის წინა თავში წარმოჩინდა, შესაძლებელია პასუხისმგებლობის სუბიექტი გახდეს ფაქტობრივი ხელმძღვანელი. რეგისტრაციამდელ

ეტაპზე ქართულ სამართალში ამის მომწესრიგებელი პირდაპირი ნორმა მეწარმეთა შესახებ კანონის მე-2 მუხ. მე-2 პუნქ. რაც შეეხება საზოგადოების რეგისტრაციის შემდგომ პერიოდს, აქ პირდაპირი ნორმა არ გვაქვს, თუმცა დეკლარაციული მოქმედების კონცეფციიდან გამომდინარე შესაძლებელია პასუხისმგებლობის სუბიექტი იყოს დანიშნული, მაგრამ არა რეგისტრირებული ხელმძღვანელი. ეს უფრო საკითხის გერმანული გადაწყვეტა იქნებოდა. თუმცა მიუხედავად ზემოთ მოყვანილი სასამართლო პრაქტიკისა და ნახსენები კაუტალური იურისპრუდენციით თითქოსდა დადგენილი კონტრეტური მოქმედების კონცეფციისა, იგი უნდა ეწინააღმდეგებოდეს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც ასევე ზემოთ იქნა მოყვანილი.

V. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის სისტემატიკა

1. სისტემის დახასიათება

ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი იურიდიული ნორმების განხილვისას აუცილებელია, განისაზღვროს თავად პასუხისმგებლობის სისტემატიკა, ანუ ის, თუ ვის წინაშე ეკისრება ხელმძღვანელ პირს პასუხისმგებლობა მისი არამართლობიერი და ზიანის მიმყენებლური ქმედებიდან გამომდინარე. ამ მხრივ, თუკი თვალის გადავლება იურიდიულ ლიტერატურას,⁴⁵ ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა შესაძლოა მიმართული იყოს სამი ძირითადი სუბიექტის მიმართ: პირველი და უმთავრესი, გახლავთ პასუხისმგებლობა თავად საზოგადოების წინაშე. ამ თვალსაზრისით განსხვავებულია ქართული და გერმანული სამართლის მიდგომა საკითხისადმი, რამდენადაც საზოგადოების სახელით დირექტორის წინააღმდეგ პრეტენზიის წარდგენის განსხვავებული ინსტიტუციური წესი არსებობს. თუმცა მატერიალურსამართლებრივად იგი არაფერს უნდა ცვლიდეს. გერმანული შპს-ის სამართალი არ იცნობს აღნიშნულ სამართლებრივ ფორმაში დერეგულირებულ სარჩელის ინსტიტუტს, რომელიც



(ყოველგვარი კვოტის გარეშე) ხმის უფლების მქონე ნებისმიერ პარტნიორს აქვს აშშ-ის ბიზნეს კორპორაციის უნიფიცირებულ სამართლებრივ ფორმაში და მის ორ სუბტიპში – დახურულ და ღია კორპორაციაში. ეს ინსტიტუტი ქართულ საკორპორაციო სამართალში სწორედ რომ ამერიკულიდან შემოვიდა. თუმცა, საკითხის გააზრებისთვის საინტერესო იქნებოდა ისტორიული პასაჟის მოხმობა ქართულ სამართალში, რამდენადაც მეწარმეთა შესახებ კანონის მიღებისას გათვალისწინებული იყო გერმანული შპს-ის სამართლის რეცეფცია მთლიანად და შესაბამისად, ქართულმა საკორპორაციო სამართალმა უარყო დერივაციული სარჩელის ინსტიტუტი ამ ორგანიზაციულ ფორმაში. ეს კი გარკვეული თავისებურებით უნდა ყოფილიყო განპირობებული. ასე რომ, საკითხის სწორი დოგმატური გააზრებისთვის გერმანული მიდგომა, მიუხედავად მსგავსი ინსტიტუტის არსებობისა გერმანულ სამართალში, ქართულ საკორპორაციო სამართალში საინტე-

რესო და მეტიც, მიზანშეწონილი და მართებული იქნებოდა. მეორე ეს არის პასუხისმგებლობა მესამე პირის – კრედიტორის წინაშე. აქ გერმანელები ძირითადად განასხვავებენ⁴⁶ პასუხისმგებლობას culpa in contrahendo-დან და დელიქტურ პასუხისმგებლობას. მესამე პირის წინაშე დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც სუს-ოს ორი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო გამჭოლ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით,⁴⁷ სადაც გამოყო დირექტორის პასუხისმგებლობა კრედიტორის, ამ შემთხვევაში სახელმწიფოს წინაშე და პასუხისმგებლობა დააკისრა ხელმძღვანელ პირს. ასე რომ, საინტერესო უნდა იყოს პასუხისმგებლობის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გერმანელები გამოყოფენ ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობას კერძო-სამართლებრივი კრედიტორის წინაშე, რასაც გარკვეულწილად განასხვავებენ სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებლო-

ბისაგან, რომელსაც, როგორც წესი, უკავშირდება დირექტორის მხრიდან დამცავი კანონის დარღვევის შედეგად განხორციელებული პასუხისმგებლობა და ზიანის ანაზღაურება. თუ რამდენად უნდა განსხვავდებოდეს ქართულ სამართალში კრედიტორის ეს ორი კატეგორია – კერძო და საჯარო – ერთმანეთისაგან საკითხავია. და ბოლო მესამე კატეგორია – ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობა საზოგადოების პარტნიორის წინაშე. ეს ნაკლებად გავრცელებული შემთხვევაა დასავლეთის ქვეყნებში, თუმცა ქართულ რეალობაში არც თუ ისე უმნიშვნელოა. შესაბამისად, ღირს ამაზეც ორიოდე სიტყვა ითქვას.

საწარმოს მართვის პროცესში ხელმძღვანელ პირს ეკისრება კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებისა და აკრძალვების შესრულების მოვალეობა და ყოველდღიურ საქმიანობაში მათი განუხრელი დაცვა. კანონისმიერი საკორპორაციო სამართლის ქვეყნებში კანონმდებელი ცდილობს, რაც შე-

იძლება დეტალურად ჩამოაყალიბოს მსგავსი აკრძალვა და მოთხოვნა, რათა ხელმძღვანელისთვისაც უკეთ იყოს გასაგები თუ რა უნდა დაიცვას მან საზოგადოების საქმიანობის განხორციელებისას. მსგავსი საკანონმდებლო ჩანაწერები ხელს უწყობს სიცხადის შეტანას ასევე პასუხისმგებლობის საკითხში და შემდგომ მის უკეთესად განსაზღვრას, თუ რის გამო შეიძლება გახდეს დირექტორი პასუხისმგებელი და ვის წინაშე – ვის მიმართ ირღვევა კანონით დადგენილი მოთხოვნა და აკრძალვა. რაიზერისა და ვილის გერმანულ სახელმძღვანელოში ჩამოაყალიბებული ხელმძღვანელი პირის მოვალეობის 5 ძირითადი სტანდარტი⁴⁸ კარგად წარმოაჩენს ზემოთქმულს. ხელმძღვანელის ეს მოვალეობები უკავშირდება საზოგადოების დაფუძნებიდან მოყოლებული⁴⁹ მისი ლიკვიდაციითადა⁵⁰ რექსტრიდან ამოშლით დამთავრებულ პერიოდს. კანონით დადგენილი მოთხოვნისა და აკრძალვის გათვალისწინების მოვალეობა, როგორც ქმედების მასშტაბი განსახიარდება დირექტორის ფიდეუციალურ მოვალეობებში, რომელიც ორ ძირითად კატეგორიად იყოფა: გულმოდგინების, იგივე გულისხმიერების⁵¹ და ერთგულების მოვალეობად.⁵²

2. ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე და მისი გამორიხხვა

საწარმოს ხელმძღვანელი, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების ინტერესის გამტარებელია. იგი კომპანიის ფიდეუციარად მიიჩნევა და, აქედან გამომდინარე, დაკისრებული აქვს ფიდეუციური მოვალეობები, რომლის მართლზომიერად განხორციელება და დაცვა მისი ყოველდღიური საქმიანობის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს. საწარმოს დირექტორი ვალდებულია, საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს კეთილსინდისიერად. ეს არის დირექტორის ქმედების მეტად ზოგადი მასშტაბი, რომლის ფარგლებიც შესაძლოა სპეციალური კანონით იქნეს დავიწროებული ან შესაბამისად განმარტებული. სწორედ ასეთ დათქმასთან გვაქვს საქმე, რო-

დესაც სპეციალური კერძო სამართალი გვთავაზობს ნორმებს, რომელიც ამ სტანდარტის კორპორაციულსამართლებრივ ფარგლებს განსაზღვრავს.⁵³ სპეციალური კანონებით, როგორც წესი, ასევე ხდება დირექტორის კეთილსინდისიერი ქმედების კონტურების მოხაზვა. მაგალითად, როგორც ეს ზემოთ წარმოჩინდა, როდესაც საუბარია ინტერესთა კონფლიქტის მომწესრიგებელ ნორმებზე, კონკურენციის აკრძალვაზე, კორპორაციული კაპიტალის დაცვის ნორმებზე და ა.შ. ამასთანავე, ხელმძღვანელს ევალება დამცავი კანონით დაცული სიკეთის გაფრთხილება, რომლის იგნორირებამაც შეიძლება გამოიყენოს საზოგადოებისთვის ან მესამე პირისთვის ზიანის მიყენება და აქციოს იგი პასუხისმგებლობის სუბიექტად. ამ შემთხვევაში შეიძლება საუბარი სისხლისსამართლებრივ, ადმინისტრაციულ, საგადასახადო სამართლით გათვალისწინებულ აკრძალვებზე დათქმებზე, რომელთა შეუსრულებლობა იწვევს საჯარო-სამართლებრივთან ერთად სამოქალაქო-სამართლებრივ სანქციას. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ პასუხისმგებლობის ყოველმხრივი გაფართოება, ანუ ნებისმიერი დარღვევისათვის, რომელიც მესამე პირს ან საზოგადოების პარტნიორს აქცევს პასუხისმგებლობის მიმართვის სუბიექტად გაუმართლებელი იქნებოდა, რამდენადაც საკანონმდებლო დონეზე საჭიროა იმის იდენტიფიცირება, თუ ვისი ინტერესის გამტარებელი უნდა იყოს საწარმოს ხელმძღვანელი და უშუალოდ ვის წინაშე უნდა იყოს იგი პირველ ყოვლისა პასუხისმგებელი. ამ მხრივ შეიძლება საუბარი მეწარმეთა შესახებ კანონის მე-9.6 მუხ. გათვალისწინებულ ქმედების მასშტაბზე და პასუხისმგებელ სუბიექტად მოხაზვის ფარგლებზე, ვინაიდან ამ ნორმის შეუზღუდავად გაფართოვება და მისი გავრცელება ნებისმიერ დარღვევაზე, დირექტორს ყველას და ყველაფრის წინაშე პასუხისმგებელ სუბიექტად აქცევს. ეს კი უნდა ეწინააღმდეგებოდეს ხელმძღვანელი პირის ანგარიშვალდებულების პრინციპს, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებისა და კორპორაციული ინტერესის წინაშე. ასევეა მნიშვნელოვანი მისი

დადგენა, თუ შიდაორგანიზაციული თვალსაზრისით ვის წინაშეა ხელმძღვანელი პასუხისმგებელი, თუ რომელ კორპორაციულ სტრუქტურულ ორგანოსთან უნდა თანაქმედებდეს იგი, თუ ვის უნდა მიაწოდოს ანგარიში და ინფორმაცია სათანადო წესით, ვინაიდან ამ საქმიანობის სტანდარტის დარღვევამ შიდაკორპორაციული ორგანოების წინაშე შესაძლებელია, დირექტორი პასუხისმგებლობის სუბიექტად აქციოს. თითოეული ხელმძღვანელი პირი მოვალეა, სხვა ხელმძღვანელთან, როგორც ორგანულ წარმომადგენელთან, იყოს მჭიდრო და უშუალო სამსახურებრივ კავშირში და აქტიური თანამშრომლობა ჰქონდეს ამ აუკანასკნელთან. ეს მეტად მნიშვნელოვანია, როდესაც შპს-ის ხელმძღვანელობითი ორგანო (დირექტორთა საბჭო – ბორდი) რამდენიმე პირისაგან შედგება. დირექტორი ვალდებულია ასევე, რომ ითანამშრომლოს საზოგადოების სხვა ორგანოებთან და საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიაწოდოს მას ინფორმაცია.⁵⁴ ასეთ ორგანოდ ძირითადად ითვლება პარტნიორთა საერთო კრება. სამეთვალყურეო საბჭოს არსებობისას, ასევე, ეს უკანასკნელი. თუ რამდენად არის სავალდებულო ხელმძღვანელისთვის კომპანიაში შექმნილი აგრეთვე სხვა სტრუქტურული ერთეულის წინაშე ანგარიშვალდებულება ამ კუთხით საკითხავია. მაგალითად, როდესაც შედარებით მსხვილ საწარმოში შექმნილია საუდიტო კომიტეტი ან მასთან ერთად კიდევ სხვა სტრუქტურული რგოლი, ვთქვათ, შესაბამისობის ოფისი.⁵⁵ ერთი შეხედვით საზოგადოების წესდებით ან სასამსახურო ხელშეკრულებით შესაძლოა გათვალისწინებული იყოს მსგავსი ორგანოს წინაშე დირექტორის ანგარიშვალდებულება. თუმცა აქ ყურადღება უნდა მიექცეს თავად კორპორაციის ხელმძღვანელი პირის სტატუსს, მის ადგილს საზოგადოებაში, მის ფუნქციონალურ დანიშნულებას, რადგანაც ყოველმხრივი ანგარიშვალდებულება არსებითი თუ არაარსებითი, ზემოდგომი თუ ქვემდგომი ორგანოს წინაშე მას ჩვეულებრივ მუშა-მოსამსახურესთან გააიგივებს, რაც შეეწინააღმდეგებოდა მიზანშეწონილი და გა-

მართული კორპორაციული მართვის სტანდარტს სამეწარმეო კაპიტალურ საზოგადოებაში.⁵⁶ შესაბამისად, მსგავსი ჩანაწერი სასამართლომ შეიძლება ბათილად ცნოს ან პასუხისმგებლობის დაკისრების დავაში ეს უკანასკნელი არასაკმარის საფუძვლად მიიჩნიოს. მოკლედ, მიუხედავად ცალკეული „ორგანული მოვალეობისა“,⁵⁷ საწარმოს ხელმძღვანელი, პირველ რიგში, პასუხისმგებელია საზოგადოების წინაშე და მისი განუხრელი მოვალეობაა მისი საქმიანობით აქტიურად მისდევდეს კომპანიის საზოგადოების მიზანს.⁵⁸ შესაბამისად, ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ ლონისძიება, რომელიც არ შეესაბამება და არ გამომდინარეობს საწარმოს მიზნიდან, გამოირიცხება პასუხისმგებლობის სპეციალური კერძო-სამართლებრივი ნორმის მოწესრიგებიდან⁵⁹ (მხედველობაშია შპს-ის კანონის 43-ე პარ. და მეწარმეთა კანონის მე-9.6 მუხ.).

ხელმძღვანელის ორგანულსამართლებრივი პასუხისმგებლობა სოლიდარულია,⁶⁰ დირექტორატის ერთობლივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე. თუმცა გამორიცხული არ არის, რომ თავად ორგანოს წევრი პირადად იყოს პასუხისმგებელი საზოგადოების წინაშე მისი არამართლზომიერი ქმედებისათვის. ამ შემთხვევაში იგი „გაირიყება“ ორგანოსაგან, ხოლო თავად ორგანო საწარმოს სახელით გამოდის მასთან სადავო პროცესში. გერმანული სამართალი გამოირიცხავს პასუხისმგებლობას რამდენიმე შემთხვევაში: ა.) როდესაც სახეზეა ხელმძღვანელის სამეწარმეო გადაწყვეტილების მიღების თავისუფლებიდან გამომდინარე ქმედების მასშტაბი, რომელიც მას კეთილსინდისიერ პირად აქცევს და შესაბამისად გამორიცხავს პასუხისმგებლობას.⁶¹ ქართულ საკორპორაციო სამართალშიც იგივე წესი იქნება მხედველობაში მისაღები მიუხედავად Business judgment rule-ის კონკრეტული საკანონმდებლო ჩანაწერის არარსებობისა;⁶² ბ.) როდესაც ხელმძღვანელი დამოკიდებულია პარტნიორის (პარტნიორთა კრების) მითითებაზე და ამის საფუძველზე ასრულებს დავალებას.⁶³ აქ ყურადღება

უნდა მიექცეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ჩანაწერს, რომელიც გარდა პასუხისმგებლობის გამორიცხვის საკითხისა შპს-ის სამართლებრივ ფორმაში ასევე აყალიბებს ერთ-ერთ ძირითად განსხვავებას სს-ისა და შპს-ის ტიპოლოგიურ ბუნებას⁶⁴ შორის. საქმე ის არის, რომ გერმანიის სააქციო კანონში პირდაპირ არის მითითებული, რომ „გამგეობა საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ მართავს საზოგადოებას“.⁶⁵ მსგავსი საკანონმდებლო ჩანაწერი პირდაპირ უზრუნველყოფს სს-ის ორგანიზაციულ ფორმაში გამგეობის წევრთა „მოჭარბებულად“ მაღალი სტანდარტისა და საქმიანობის თავისუფლების მეტად ფართე არეალის მიცემას. ასევე ორგანოთა შორის კომპეტენციური ჰორიზონტალურობის პრინციპის დაფუძნებას, რაც მსგავსი სამართლებრივი ფორმისთვის უნდა იყოს დამახასიათებელი.⁶⁶ მართალია, უახლესი შეხედულებით, თანამედროვე კორპორაციული მართვის სტანდარტები გამოიყენება ასევე შპს-შიც, თუმცა მისი უფრო მეტად პერსონალური პარტნიორული სტრუქტურის, ბიზნესის სფეროს, ეკონომიკურ სეგმენტში როგორც საშუალო და მცირე ზომის საწარმოს მონაწილეობის გათვალისწინებით, ეს უკანასკნელი უნდა განსხვავდებოდეს სს-ის ორგანიზაციული ფორმისაგან და შესაძლოა ამ განსხვავებამ კორპორაციული მოწყობის დიქტომიასაც შეუწყოს ხელი.⁶⁷ ალბათ სწორედ ამიტომ მიუთითებს გერმანული სამართალი საკანონმდებლო დონეზე პარტნიორთა კრების მითითებების ბმაზე ხელმძღვანელთა მხრიდან.⁶⁸ თუმცა აშკარა უნდა იყოს, „სრულყოფილი, ტოტალური და გადამეტებული მორჩილება“ დირექტორატისა პარტნიორის წინაშე⁶⁹ მისი ადგილისა და სტატუსის იმგვარ დაკნინებას გამოიწვევს, რომ კორპორაციული მართვის ანატომიის ჩამოყალიბებას მსგავს ორგანიზაციულ ფორმაში აზრი აღარ ექნება. ეს კი რაციონალური და მიზანშეწონილი მართვის ანტიპოდად უნდა ჩაითვალოს. ქართულ საკორპორაციო სამართალში, საკანონმდებლო ჩანაწერების არარსებობის პირობებში, რამდენად შეიძლება გერმანული მიდგომის გამოყენება საკითხავია. რო-

გორც ითქვა ეს სამართლის პოლიტიკის საკითხია. ვფიქრობ, წესდებაში მსგავს მითითებებზე ბმის შესახებ დებულების არარსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობა არ შეიძლება გამოირიცხოს იმ მოტივით, რომ იგი პარტნიორის მითითებას ასრულებდა. აქ მნიშვნელოვანია, დირექტორის ქმედება წინააღმდეგობაში არ მოვიდეს მე-9.6 მუხლთან;⁷⁰ გ.) ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა გამოირიცხება. ეს პირდაპირ არის მითითებული გერმანულ კანონმდებლობაში.⁷¹ ქართულში მსგავსი კონკრეტული სახის ჩანაწერი არ მოიპოვება.

პასუხისმგებლობის დაკისრების მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს როგორც ზოგადი, ისე განსაკუთრებული კერძო სამართლებრივი ნორმები. მიუხედავად მწირი სასამართლო პრაქტიკისა, სუს-ის გადაწყვეტილებებში მოყვანილია შესაბამისი მუხლები და არის მათი განმარტება⁷². პირველ რიგში სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სკ-ის 709-723-ე მუხ., რომელიც დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმებია.⁷³ აღნიშნულ სამოქალაქო-სამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობით სასამართლო ადგენს, რომ დირექტორი საწარმოს სახელითა და ხარჯზე ახორციელებს კანონით და კანონიდან გამომდინარე საწესდებო ავტონომიის ფარგლებში საზოგადოების ხელშეკრულებით მინიჭებულ უფლებამოსილებას. ამგვარად, ზიანის თაობაზე საზოგადოების მიერ აღძრულ სარჩელს აკვალიფიცირებს როგორც სახელშეკრულებო მოთხოვნათა ფარგლებში და არა დელიქტური ვალდებულების ფარგლებში შესამოწმებელ სარჩელს.⁷⁴ თუმცა როდესაც საკითხი ეხება დირექტორის „პირდაპირ“ პასუხისმგებლობას მესამე პირის წინაშე, ამ საკითხის განმარტება აღნიშნულ კონტექსტში არ ხდება.⁷⁵ საზოგადოების წინაშე ხელმძღვანელის (დირექტორის) პასუხისმგებლობის დამდგენი ძირითადი საკორპორაციოსამართლებრივი ნორმა მეწარმეთა შესახებ კანონის მე-9.6 მუხ., ისევე როგორც 43-ე პარ.



გერმანიის შპს-ის შესახებ კანონისა. გერმანული სამართლის მიხედვით, როგორც ზემოთ წარმოჩინდა, კანონმდებლობით გაცილებით დეტალურად არის გაწერილი ხელმძღვანელი პირის ფიდუციარული მოვალეობები,⁷⁶ რითიც იგი განსხვავდება ქართულისაგან. ამიტომ კანონმდებლობით გათვალისწინებული კონკრეტული მოვალეობის დარღვევის იდენტიფიცირება უფრო ადვილი უნდა იყოს. ამ შემთხვევაში გერმანული საკორპორაციო სამართალი განასხვავებს პასუხისმგებლობას კანონით გათვალისწინებული კონკრეტული დარღვევის შემთხვევებს და პასუხისმგებლობას დელიქტიდან გამომდინარე. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არის ან დამცავი კანონით დადგენილი სიკეთის ხელყოფის მომწესრიგებელი ნორმა შპს-ის კანონის 43-ე პარ. ერთად ან (სპეციალური) კანონით გათვალისწინებული მოთხოვნის ან აკრძალვის მომწესრიგებელი დებულება 43-ე პარ.

ერთობლიობაში. მოკლედ, გერმანულ შპს-ის სამართალში პრინციპში მიიჩნევა, რომ 43-ე პარ. არის საზოგადოების წინაშე დირექტორის პასუხისმგებლობის მოთხოვნის დამოუკიდებელი და ერთ-ერთი უძირითადესი სამართლებრივი საფუძველი.⁷⁷ თუმცა ეს არ გამოირიცხავს ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის სამართლებრივ საფუძველად გსკ-ის 823-ე პარ. (სკ-ის 992-ე მუხ.) გამოყენებას. გამომდინარე იქედან, რომ ქართულ ზოგად კერძო სამართალში არ მოიპოვება გერმანულის 826-ე პარ. მსგავსი ჩანაწერი,⁷⁸ დელიქტური სამართლით მოწესრიგებული 992-ე მუხ. გამოყენება მიზანშეწონილი იქნებოდა დამცავი კანონის მომწესრიგებელი ნორმების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების დროს. მსგავს შემთხვევაში აუცილებელი იქნებოდა კუხალობა დირექტორის ბრალეულ ქმედებასა (მე-9.6 მუხ.) და დამდგარ ზიანს შორის, რაც იქნებოდა კიდევ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი.

მოთხოვნის განხორციელების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს მეწარმეთა შესახებ კანონის მე-9¹ მუხ. მე-6 პუნ. „ბ“ ქვეპუნქტი, შპს-ის შესახებ კანონის 46-ე პარ.⁷⁹ ის, რომ გერმანულ შპს-ის სამართალში არ არსებობს დერივაციული სარჩელის ინსტიტუტი არ ნიშნავს იმას, რომ ქართულ სამართალში მეწარმეთა კანონის მე-9.6 მუხ. შინაარსში ასევე დავინახოთ ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა მესამე პირის წინაშე და (მხოლოდ) ეს ნორმა გავხადოთ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად. ისტორიული პასაჟისთვის თვალის გადავლებით დავინახავთ, რომ დერივაციული სარჩელის შესაძლებლობა ქართულ შპს-ის სამართალში სულ რამდენიმე ხნის წინ დამკვიდრდა. ადრე არსებული მოწესრიგება გამოირიცხავდა პარტნიორის სარჩელს საზოგადოების სახელით ხელმძღვანელი პირის წინააღმდეგ და საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ პარტნიორთა კრებაზე იყო შესაძლებელი.

გერმანული სამართლის მსგავსად, ცალკეულ⁸⁰ პარტნიორს მაინც ჰქონდა შესაძლებლობა ედავა დირექტორის წინააღმდეგ, მაგრამ ეს იშვიათ შემთხვევას წარმოადგენდა.⁸¹ დერივაციული სარჩელის⁸² დაშვება არ უარყოფს პირველ რიგში საერთო კრების მიერ მისაღებ გადაწყვეტილებას. პირიქით, საზოგადოების სახელით ხელმძღვანელის წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის განხორციელების სამართლებრივი საფუძველი არის პარტნიორთა კრებაზე ამ საკითხთან დაკავშირებით მისაღებ გადაწყვეტილება.⁸³ ამავე სხდომაზე, როგორც წესი, ინიშნება სპეციალური წარმომადგენელი სადავო ურთიერთობისთვის. უმცირესობაში მყოფ პარტნიორს⁸⁴ კი მას შემდეგ აქვს დერივაციული სარჩელის აღძვრის უფლება, რაც პარტნიორთა კრება ამ უფლებას არ განახორციელებს. მოკლედ, იქნება სახეზე გერმანული თუ ქართული შპს-ის სამართლის თავისებურება ხელმძღვანელი პირი მე-9.6 მუხ. გათვალისწინებულ შემთხვევაში პასუხისმგებელია მხოლოდ საზოგადოების წინაშე, რამაც უნდა გამოირიცხოს აღნიშნული მუხლით პასუხისმგებლობის ადრესატის წრის გაფართოება მიუხედავად წინამდებარე (მე-9.6) ნორმის ჩანაწერისა — „თუ ეს აუცილებელია კრედიტორთა მოთხოვნის დასაკმაყოფილებად“. ამ მუხ. ხდება მხოლოდ არაპირდაპირ, გამუქლებულად კრედიტორის ინტერესის უზრუნველყოფა, ამიტომ მუხლს „შიდაპასუხისმგებლობის კონცეფცია“ უდევს საფუძვლად.⁸⁵ აღიარებულია, რომ სს-ის სამართლებრივი ფორმისაგან განსხვავებით, შპს-ის კრედიტორს არ შეუძლია საზოგადოების მოთხოვნის პირდაპირ განხორციელება. თუკი მას ამის გაკეთება სურს შესაბამისად უნდა მოხდეს საზოგადოების მოთხოვნის დაგირავება კრედიტორის მიერ.⁸⁶

მოთხოვნის გამოყენებას კორპორაციის კრედიტორის მიერ შედარებით-სამართლებრივ პერსპექტივაში ეხება ჭანტურია.⁸⁷ აქ უნდა განვასხვავოთ კაპიტალური ტიპის ორი სამართლებრივი ფორმა ერთმანეთისაგან. სს-ის შემთხვევაში მეწარმეთა შესახებ კანონის 56-ე მუხ. მე-4 პუნ. გათვალისწინებით კრე-

დიტორს, თუკი მას არ მიუღია თავისი მოთხოვნის კომპენსაცია საზოგადოებისგან, შეუძლია გამოიყენოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დირექტორის წინააღმდეგ. მსგავსი შინაარსის მქონე ნორმა არსებობს ასევე გერმანიის სააქციო კანონში და იგი ქართულში სწორედ რეცეფციის შედეგად გაჩნდა.⁸⁸ სს-ის სამართლებრივ ფორმაში, მითუმეტეს, რომ აქ დერივაციული სარჩელის ინსტიტუტი არსებობს, გვაქვს სპეციალური ჩანაწერი, რომელიც ამ საკითხს აწესრიგებს. რაც შეეხება შპს-ს. ერთადერთი მუხლი არის, როგორც ზემოთ წარმოიჩინა, მე-9.6, სადაც ნათქვამია, რომ დირექტორმა საზოგადოებას უნდა აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი. ნებისმიერი კომპრომისი ან უარი რეგრესულ ანაზღაურებაზე არის ბათილი საზოგადოების (პარტნიორის) მხრიდან. აღნიშნული მუხლის შინაარსი აპელირებას მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოების წინაშე დირექტორის პასუხისმგებლობაზე აკეთებს. კრედიტორის ჩართვა ამ პროცესში, აქედან საზოგადოების წინაშე დაყენებული მოთხოვნის იგნორირების გარეშე არ შეიძლება. ანალოგიით ვერც 56.4-ე მუხ. გამოვიყენებთ. მაშასადამე, ერთადერთი გამართლებული დოკუმენტური გზა არის იმ მოთხოვნის დაგირავება კრედიტორის სასარგებლოდ, რომელიც საზოგადოების მხრიდან უნდა იყოს დირექტორის წინაშე დაყენებული. გამჭოლი პასუხისმგებლობის დამდგენ გადაწყვეტილებაში კი სასამართლო პირდაპირ ასკვნის, რომ ეს საჭირო არაა მე-9.6 მუხ. დაყრდნობით, რაც არასწორი უნდა იყოს.⁸⁹

3. ხელმძღვანელის

პასუხისმგებლობა მესამე პირის წინაშე

ამ შემთხვევაში მესამე პირის წინაშე ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობის ორ კატეგორიაზე გამახვილდება ყურადღება: პასუხისმგებლობა culpa in condrahendo-დან და დელიქტურსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ა.) სახელმწიფოებო მოლაპარაკებისას ბრალიდან გამომდინარე საკუთარი პასუხისმგებლობა

მიღებულია, რომ მოთხოვნა, რომელიც ამ ინსტიტუტს უკავშირდება, როგორც წესი, მიმართულია ხელმწიფოების ინტენდირებული, ანუ დაკავშირებული მხარის მიმართ. იურიდიულ პირთან წინასახელმწიფოებო ურთიერთობაში შესვლისას ამ უკანასკნელთან. თუმცა ამ პრინციპიდან გსკ-ის 311-ე პარ., ისევე, როგორც სსკ-ის 317, 316 მუხ. აკეთებს გამონაკლისს: გარკვეული შემთხვევისას მხედველობაში მიიღება აგრეთვე მესამე პირის პასუხისმგებლობაც. ჩვენ შემთხვევაში მესამე პირად შეიძლება ჩაითვალოს საწარმოს ხელმძღვანელი. ეს არსებითად მაშინ არის მნიშვნელოვანი, როდესაც „ხელმძღვანელი უჩვეულო, მოჭარბებული ხასიათის ნდობას მოიპოვებს საკუთარი თავისთვის და ხელმწიფოების მოლაპარაკების პროცესზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასა და გავლენას მოახდენს.“⁹⁰ წარმომადგენლის მსგავსი პიროვნული გადამეტებული ნდობის ხარისხი მასინ არის სახე, როცა მას განსაკუთრებული ინდივიდუალური პირადი ეკონომიკური ინტერესის მოლოდინი აქვს ხელმწიფოების დადებიდან. ეს აღიარებულია უცხოური სასამართლო პრაქტიკით მითუმეტეს, თუ გათვალისწინებული იქნება ის გარემოება, რომ ბევრ საწარმოში პარტნიორი იმავდროულად საწარმოს ხელმძღვანელი პირიცაა, სრულიად ბუნებრივია, რომ ეს უკანასკნელი შესაძლოა იყოს „არც თუ ისე უმნიშვნელო პასუხისმგებლობის რისკის მატარებელი“.⁹¹ ხელმძღვანელის მხრიდან მესამე პირისთვის განსაკუთრებული პიროვნული ნდობის ინტერესის აღქმა აუცილებელია იმისთვის, რომ დირექტორს მის წინაშე პასუხისმგებლობა დაეკისროს.⁹²

ბ.) დელიქტური პასუხისმგებლობა

დირექტორის არამართლზომიერი ქმედების კვალიფიკაციისთვის სუს ძალიან ფართე განმარტებას აძლევს მეწარმეთა შესახებ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტს. აღნიშნული ნორმა, როგორც ითქვა, ქართულ საკორპორაციო სამართალში ფიდუციური მოვალეობის დამდგენია და განსაზღვრავს დირექტორის მხრიდან საწარმოს კეთილსინ-

დისიერად მართვის სტანდარტს. სწორედ ამ ნორმის დარღვევას მიიჩნევენ სასამართლო დამოუკიდებელ საფუძვლად დირექტორისთვის მესამე პირის წინაშე ზიანის ანაზღაურების საკმარის წინაპირობად.⁹³ ქართულ საკორპორაციო სამართალში დირექტორის პირდაპირ და უშუალო პასუხისმგებლობას მესამე პირის (კრედიტორის) წინაშე ადგენს სუს-ოს ორი დამაფუძნებელი გადაწყვეტილება,⁹⁴ რომლითაც ჩამოყალიბებულია სასამართლო პრაქტიკა და კრიტიკის მიუხედავად,⁹⁵ დღესაც მოქმედია. საქმის ფაბულა შემდეგში მდგომარეობდა: შპს-ს სახელმწიფოს წინაშე⁹⁶ არსებული საგადასახადო დავალიანების მიუხედავად არ ქონდა უნარი დაეკმაყოფილებინა კრედიტორი, რითიც ბუნებრივია ამ უკანასკნელს მიადგა ზიანი. იურიდიული პირის კრედიტუნარობა გამოჩვენებული იყო მისი პარტნიორისა და დირექტორის არამართლზომიერი ქმედებით, რაც დადასტურებულ იქნა სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით. საგადასახადომ მიმართა სასამართლოს, რათა ზიანის ანაზღაურება დააკისრებოდათ შპს-ის პარტნიორებსა და დირექტორს პირდაპირ და უშუალოდ, რამდენადაც იურიდიული პირი, ქონების არარსებობის (არასაკმარისობის) გამო, გადახდისუნარი იყო. სამივე ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა, თუმცა უზენაესმა სასამართლომ⁹⁷ სხვა სამართლებრივი გააზრება დაუდო აღნიშნულ საქმეს.⁹⁸ სასამართლოს განმარტებით, დირექტორმა დაარღვია საზოგადოების წინაშე ზრუნვის მოვალეობა, რის გამოც მან პირდაპირ და უშუალოდ უნდა აგოს პასუხი კრედიტორის წინაშე. მართალია, მეწარმეთა შესახებ კანონის მე-9 მუხ. მე-9 პუნ. ითვალისწინებს დირექტორის არამართლზომიერი მოქმედების შედეგად მხოლოდ საზოგადოების წინაშე მის პასუხისმგებლობას, თუმცა საქმის მასალებითა და ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით ისედაც თვალნათელია, რომ საზოგადოებას ყავს ორი პარტნიორი და ორივე თავად არის პასუხისმგებლობის სუბიექტი. ამდენად,

სასამართლოს განმარტებით, კრედიტორს (სახელმწიფოს) პირდაპირ აქვს უფლება ზიანის ანაზღაურება სუბსიდიურად მოთხოვოს საწარმოს დირექტორს ისე, რომ საჭირო აღარაა თავად საზოგადოება გახდეს ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნის წარმდგენი, რამაც შეიძლება საკითხის დოგმატური გააზრების აღრევისაკენ მიგვიყვანოს. დირექტორი, როგორც საზოგადოების ფიდეციარი ვალდებულია, კომპანიას მართავდეს მისი ინტერესის გათვალისწინებით, ხოლო ამ ინტერესის ბრალეული იგნორირების გამო მეწარმეთა კანონის მე-9.6 მუხ. შესაბამისად ჩაითვალოს დამრღვევად, რაც მას უშუალოდ საზოგადოების წინაშე აქცევს პასუხისმგებლობის სუბიექტად. ამ თვალსაზრისით საკითხის სპეციალური მომწესრიგებელი ნორმები დელიტურ-სამართლებრივი ბუნებისაა. თუმცა დელიტის შემთხვევაში (სკ-ის 992-ე მუხ.) პირი, რომელიც ზიანს აყენებს სხვა პირს მოცემულ ვითარებაში არის თავად შპს, რომლის ორგანულსამართლებრივი წარმომადგენლობითი კომპეტენციის მატარებელია დირექტორი.⁹⁹ ერთი შეხედვით, დირექტორი ცალკე აღებული პირდაპირ ვერ უნდა იყოს ზიანის მიმყენებელი კრედიტორისთვის. დირექტორი ზიანს აყენებს საზოგადოებას, რის გამოც კრედიტორის მოთხოვნა ვერ კმაყოფილდება. შპს-ში დერივაციული სარჩელის დამზღვევის შემდეგ, ნებისმიერი ხმის უფლების ოდენობის პარტნიორს მიეცა შესაძლებლობა საზოგადოების ნაცვლად მმართველ ორგანოს ან მის წევრს წაუყენოს მოთხოვნა საზოგადოების სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურებაზე. სწორი დოგმატური გააზრების პირობებში მოხდებოდა კრედიტორის მხრიდან საზოგადოების მიერ განუხორციელებელი მოთხოვნის დაგირავება, თუმცა ესეც იმ შემთხვევაში, როდესაც ხელმძღვანელი პირი საზოგადოების წინაშეა პასუხისმგებელი.¹⁰⁰ დოგმატურად სწორედ ეს იქნებოდა გამართლებული, რადგანაც შეიძლება თუ არა მეწარმეთა კანონის მე-9.6 მუხ. განმარტება ისე, რომ იგი თავის თავში მოიცავს ასევე დირექტორის პირდაპირ მიზანში ამოღებას მესამე პირის მხრიდან, საკამათო შეიძლება იყოს. არის ეს აღნიშნული ნორმისა და მის უკან მდგარი შინაარსის განმარტება, თუ ახალი

ნორმის შექმნის მცდელობა სასამართლოს მხრიდან? სწორედ ეს კითხვა უნდა დაისვას მსგავს ვითარებაში. დირექტორის პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი ნორმები ითვალისწინებს ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობას მხოლოდ საზოგადოების წინაშე. საგამონაკლისო ნორმა, როგორც ეს სახეზეა მეწარმეთა კანონის მე-3.6 მუხ. სახით, არ არსებობს. მაშასადამე, ხომ არ იქნებოდა დოგმატურად გამართლებული მესამე პირის მხრიდან მოთხოვნის დაგირავების (Verpfändung) მიმართულებით წაუსულიყავით. ე.ი. პარტნიორის მიმართ გამტოლი პასუხისმგებლობის მიუხედავად მოგვეთხოვა საზოგადოების სახელით დირექტორისათვის ზიანის ანაზღაურება, ხოლო თუ პარტნიორის მხრიდან ეს მოქმედება არ ხორციელდება მომხდარიყო მესამე პირის სასარგებლოდ მისი დაგირავება, მითუმეტეს, რომ საქმის მასალებით არ არის ცალსახად დადასტურებული, რომ ერთერთ პარტნიორს არ შეეძლო დერივაციული სარჩელის აღძვრა. ამგვარი დოგმატური გააზრების იგნორირების შემთხვევაში კი საფიქრალია, რომ სასამართლომ ზემოთ მოყვანილი მე-9 მუხ. ფართოდ კი არ განმარტა, არამედ გადაწყვეტილებით ახალი ნორმა შექმნა. ეს პრობლემა არ იქნებოდა საქართველო საერთო სამართლის ქვეყანა რომ ყოფილიყო, თუმცა ჩვენი სამართლის ისტორიული, ტრადიციული ევოლუცია და თანამედროვე სამართლებრივი სისტემა ამის შესაძლებლობას არ იძლევა. თუკი დავუშვებთ სასამართლოს მსგავსობას იმასთან დაკავშირებით, რომ ისედაც ცხადია, პარტნიორი ამ მოთხოვნას არ განახორციელებს, მაშინ თითქოსდა გამორიცხული უნდა იყოს დირექტორის პასუხისმგებლობა მესამე პირის წინაშე. სამართლის მიერ მსგავსი დამკვეთის პირობებში მივიღებდით საკითხის არასამართლიან გადაწყვეტას, რადგანაც ზიანის მიყენების ფაქტის არსებობის პირობებში არ გვეყოლებოდა არც პასუხისმგებლობის სუბიექტი, ხოლო ზიანის ანაზღაურება ვერ მოხდებოდა „ქონებისაგან დაცლილი“ იურიდიული პირისაგან. სწორედ ამიტომ ამართლებენ გერმანელები ხელმძღვანელის პირდაპირ პასუხისმ-

გებლობას (კერძოსამართლებრივი) კრედიტორის წინაშე დელიქტური სამართლის საფუძველზე. 823-ე პარ. (სსკ-ის 992-ე მუხ.) შესაბამისად ხელმძღვანელი პასუხისმგებელი შეიძლება იყოს, როდესაც „იგი საკუთარი ქმედებით პირადად ასრულებს“¹⁰¹ დელიქტით გათვალისწინებულ შემადგენლობას¹⁰² და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველიც სწორედ ეს უნდა იყოს. შპს-ის 43-ე პარ. გამოყენება დამოუკიდებლად დოგმატურად არასწორია.¹⁰³ მას მხოლოდ საკითხის შემგები დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს ხელმძღვანელის ფიდეჯიური მოვალეობის დარღვევის განსაზღვრის კონტექსტში.¹⁰⁴ ლიტერატურაში ხშირად მოყავთ სასამართლო პრაქტიკიდან მაგალითი,¹⁰⁵ როდესაც ხელმძღვანელი პასუხს აგებს მესამე პირის წინაშე იმ ზიანისთვის, რომელიც მან ამ უკანასკნელს მიაყენა მისი პირადი არამართლობიერი ქმედებით და, შესაბამისად, ეს ექვემდებარება დელიქტით გათვალისწინებულ ზოგადი ხასიათის პასუხისმგებლობას. მაგალითად, როდესაც ხელმძღვანელი საზოგადოების მემკვიდრეობით ასხვისებს ამ უკანასკნელის საკუთრებაში არარსებულ ნივთს მესამე პირზე. კეთილსინდისიერი შექმნის შემთხვევაში დგება ზიანის ანაზღაურების მოვალეობა, რამდენადაც, გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლოს განმარტებით, სახეზეა 823-ე პარ. პირველი აბზ. გათვალისწინებულ საკუთრების უფლების დარღვევა.¹⁰⁶

ხელმძღვანელის პირადი პასუხისმგებლობა მესამე პირის წინაშე შეიძლება დადგეს ასევე დელიქტური ნორმითა (გსკ-ის 823-ე მე-2 აბზ., სსკ-ის 992-ე მუხ.) და დამცავი კანონით დადგენილი შესაბამისი ნორმის დარღვევის შემთხვევაში.¹⁰⁷ აქაც მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი დელიქტური ნორმა იქნება.¹⁰⁸ სწორედ მსგავს შემთხვევას ჰქონდა ადგილი სუს-ის პრაქტიკაში. გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში მიიჩნევა, რომ შპს-ის 43-ე პარ. არ გახლავთ კრედიტორის სასარგებლოდ დამცავი კანონი.¹⁰⁹ გერმანელები საუბრობენ კრედიტორის სასარგებლოდ აღნიშნული ნორმის მხოლოდ „რეფლექსური

ხასიათის მოქმედების“ თაობაზე.¹¹⁰ შესაბამისად, იგივე უნდა ითქვას მეწარმეთა კანონის მე-9 მუხ. მე-6 პუნ.

4. ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა საზოგადოების პარტნიორის წინაშე

ბოლო კატეგორია ხელმძღვანელის პასუხისმგებლობისა არის პასუხისმგებლობა საზოგადოების პარტნიორის წინაშე, რაც არც თუ ისე ხშირი შემთხვევაა დასავლეთის ქვეყნებში, თუმცა საკმაოდ განვითარებული უნდა იყოს იგი ქართულ კაუტელარულ იურისპრუდენციაში. საკითხის დახასიათებისთვის კვლავ გერმანული სამართალი გამოდგებოდა. აქ, ძირითადად, ყურადღება მახვილდება კაპიტალის შემაკავშირებელი ნორმების დარღვევაზე, რაც გათვალისწინებულია გერმანული კანონისმიერი საკორპორაციო სამართალით. როდესაც კომპანიიდან ქონება არასწორად არის გაცემული მესამე პირზე, ანუ ქონების მიმღებზე,¹¹¹ ხოლო დანარჩენი პარტნიორები პასუხისმგებელნი არიან ამ მატერიალური დანაკლისის შევსებაზე.¹¹² ამ ნორმის დედააზრი არის კრედიტორის მოთხოვნის არაპირდაპირი დაცვა, მესამე პირის მატერიალური რისკის მინიმიზება. მსგავს სიტუაციაში დანაკლისის გადახდით საზოგადოების კაპიტალიდან არასწორად გაცემული ქონების შევსება ხდება პარტნიორის, ქონების მიმღებისა და ღირებულების მიერ, თუმცა შპს-ის კანონში მოიპოვება ჩანაწერი, რომელიც ხელმძღვანელ პირს პირადად აქცევს პასუხისმგებლობის სუბიექტად პარტნიორის წინაშე და ზიანის ანაზღაურებას აკისრებს.¹¹³ ეს არის კანონის 31-ე პარ. მე-6 აბზ. პასუხისმგებლობა შიდაორგანიზაციულია და გარე ეფექტი მხოლოდ რეფლექსურად აქვს. აღინიშნებოდა ასევე შესატანის (კაპიტალის) შევსების მავალდებულებელი ნორმები. ამ დროს აღიარებულია, რომ საზოგადოების ხელმძღვანელმა უნდა დაიცვას პარტნიორთა თანაბარი მოპყრობის პრინციპი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი შეიძლება გახდეს პასუხისმგებლო-

ბის სუბიექტი პარტნიორების წინაშე. პრინციპში, გერმანულ სამართალში ეს არის ის ძირითადი ნორმები, რომელიც მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად გამოიყენება. ქართულ საკორპორაციო სამართალში მსგავსი საკანონმდებლო ჩანაწერები¹¹⁴ არ არის. შესაბამისად, შეიძლება გართულდეს საკითხის გადაწყვეტა. თუმცა ამ თვალსაზრისით კვლავ გერმანულ შპს-ის სამართლის დოგმატურ გააზრებას გამოვიყენებდით: საქმე ისაა, რომ გერმანული სამართალი, გარდა კანონით გათვალისწინებული რეჟიმისა კაპიტალის შემაკავშირებელ ნორმებთან დაკავშირებით, მაინც ცდილობს აქციონის ღირებულებით პარტნიორის წინაშე პასუხისმგებლობის სუბიექტად, ეყრდნობა რა წევრობის უფლებსმოიღების ერთობლიობის პარადიგმას საზოგადოებაში. წილის უფლება სხვადასხვა კორპორაციულ თუ სახელშეკრულებო სამართლებრივ უფლებასა და მოვალეობაში განსახიერდება და მიმართულია პარტნიორებს, პარტნიორებსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობისკენ. იგი განიხილება როგორც „აბსოლუტური სხვა დანარჩენი უფლება“ დელიქტური ვალდებულების დამაფუძნებელი ნორმის – 823-ე პარ. საზიარისით.¹¹⁵ გერმანული სასამართლო პრაქტიკა ამბობს, რომ წევრობის უფლება შეიძლება დაირღვეს „საწარმო სტრუქტურული ღონისძიების არასწორად განხორციელებით; საზოგადოების საქმიანობის საგნის ფაქტობრივი შეცვლით;“¹¹⁶ ასევე პარტნიორთა თანასწორუფლებიანობის შელახვის, პარტნიორთა კრების კომპეტენციის სფეროში უხეში ჩარევის ან პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის დაუსაბუთებელი წარმოების დროს.¹¹⁷ ეს რომ გადმოვიდეს ქართულ სამართლებრივ სიბრტყეზე, დავინახავთ, რომ სსკ-ის 992-ე მუხ. დაცულ სიკეთეში გერმანული ზემოთმოყვანილი მსჯელობა ადვილად მოექცეოდა, რაც მოგვცემდა 992-ე მუხლზე დაყრდნობით ღირებულების პასუხისმგებლობის დაყენებას მეწარმეთა შესახებ კანონის მე-9.6 მუხ. ერთად, მაგრამ არა დამოუკიდებლად.

შენიშვნები

1 ბურდული/მასაროლიშვილი/მალრაძე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში: არსებული რეალობა და რეველაციური დეფიციტი, გამოც. „იურისტების სამყარო“, 2019, 6.

2 ე.წ. Trennungsprinzip.

3 გერ. Durchgriffshaftung (იგივე Haftungsdurchgriff); ინგ. Piercing the corporate veil.

4 ევროპული მემბრანაში გამოვლილი პასუხისმგებლობა მრავალგზის გამხდარა კრიტიკის საგანი. შემდგომი მითითებებით შესაბამისი ლიტერატურაზე იხ. მაგ.: Örn, Philip, Piercing the Corporate Veil – a Law and Economics Analysis, University of Lund, 2009, 45-58; Khoukaz, George, Corporate Shareholder's Limited Liability: Useful or Abusive, Bocconi Legal Papers 11, 77, 2018.

5 განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს ამერიკული საკორპორაციო სამართალი. იხ. Суханов, сравнительное корпоративное право, Москва 2015, 152 და მომდ.

6 ზოიძე, ევროული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, 2005, 57 და მომდ.

7 რომელსაც სამართლის მეცნიერების სინონიმად ხმარობენ უკვე. იხ.: Kaiser, Anna-Bettina, Rechtswissenschaft als Rezeptionswissenschaft. Die Rolle von Definitionen, Begriffen, Theorien und Systembildung in: Marsch/Münkler/Wischmeyer (Hrsg.), Rezeption und Vergessen in der Wissenschaft vom Öffentlichen Recht, Mohr Siebeck 2019, 17-31.

8 ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტრანსფორმაციული ქვეყნისთვის, რამდენადაც აყალიბებს განვითარების თვითმყოფად დინამიკას სამართლებრივი ტრანსფერის ნაციონალურ კანონმდებლობაში ასახვისა და მისი განვითარების დადებით და უარყოფით მხარეს წარმოაჩენს. იხ. მაგ.: Winter, Gerd/Kalichava, Koba, Rechtstransfer und Eigendynamik in Transformationsländern: Das Beispiel der Verwaltungsrechtsentwicklung in Georgien, ZaöRV 2/2019, 275-322.

9 Kaiser, Anna-Bettina in: Marsch/Münkler/Wischmeyer (Hrsg.), Rezeption und Vergessen in der Wissenschaft vom Öffentlichen Recht, 2019, 19.

10 იმისთვის, რომ რეცეფციის შედეგად ჩამოყალიბებული ინსტიტუტებისა და შექმნილი ნორმების სისწორე იქნეს დადგენილი სამართალმეცნიერების პროცესში, ასევე, თუ როგორ შეიძლება მუშაობდეს იგი კუთვლარულ იურისპრუდენციაში აუცილებელია, გააზრდულ იქნეს რეცეფცია ფართო და ვიწრო გაგებით, იდენტიფიცირებულ იქნეს მისი ობიექტი, რათა სწორად წარმოჩინდეს რეცეფციის, როგორც პროცესის დადებითი შედეგი ამა თუ იმ ქვეყნის სამართლისათვის. შეად.: Marsch, Nikolaus, Rechtswissenschaftliche Rezeptionsforschung. Erste Bilanz und Perspektiven, in: Marsch/Münkler/Wischmeyer (Hrsg.), Rezeption und Vergessen in der Wissenschaft vom Öffentlichen Recht, Mohr Siebeck 2019, 237-253, 238 ff. თანამედროვე სამართალი ხომ სწორედ „ძველი“ სამართლის რეცეფციის შედეგად არის ჩამოყალიბებული (აქ მაალითად მხოლოდ გერმანული კერძო სამართალი დასახელებულია, რომელიც ასწავლებლების განმავლობაში რომის სამართლის რეცეფციის შედეგად ყალიბდება).

11 Bornmann, Lutz/Marx, Werner, The Anna Karenina Principle: A way of thinking about success in science, Journal of the American Society for Information and Technology 2012/63, 2037 ff, რომელთაც მოახერხეს აღნიშნული პრინციპის დასაბუთება სხვადასხვა სამეცნიერო დისკურში. ავტორთა შეხედულებით, მეტად კომპლექსური ჩანაფიქრის განხორციელების შედეგისათვის საჭიროა, სახეზე იყოს პროცესის მიმდინარეობის ყველა დადებითი ფაქტორი, რამდენადაც ერთ-ერთი მათგანის წარუმატებლობამ შესაძლოა მთლიანად პროცესის წარუმატებლობამდე მიგვიყვანოს. თავად პრინციპის ასახსნელად შემდგომი მითითებებით იხ.: Marsch in: Marsch/Münkler/Wischmeyer (Hrsg.), Rezeption und Vergessen in der Wissenschaft vom Öffentlichen Recht, Mohr Siebeck 2019, 241.

12 „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ძალაში შესვლიდან 1995 წ. გერმანული სამართლის რეცეფციის შესახებ იხ.: Burduli, in FS Prütting, 3-15; Burduli, Das georgische Gesellschaftsrecht: Quo Vadis?! – Eine kurze Darstellung der Reformen und des Reformbedarfs im georgischen Unternehmensrechts in: Chiusi/Burduli (Hrsg.), Rechtsvergleichung und Privatrecht im deutsch-georgischen Diskurs, Verlag Alma Mater, Saarbrücken 2019, 1-25.

13 თუმცა ეს უკანასკნელი იშვიათობას წარმოადგენს ქართული რელიგიისთვის. ჩვენთან არ არსებობს მუშა-მოსამსახურეთა თანამონაწილეობის საკანონმდებლო მოწესრიგება (გერმანული საგან განსხვავებით), შესაბამისად, საუბარი მსგავსი შპს-ში სამეთვალყურეო საბჭოს შექმნასთან დაკავშირებით უადგილოა. ერთადერთი გამონაკლისი, რასაც კანონმდებლობა ითვალისწინებს არის ის, როდესაც თავად სახელმწიფო მონაწილეობს შპს-ში როგორც პარტნიორი 50%-ზე მეტი ხმის უფლებით. მსგავს მოცემულობაში აუცილებელია შპს-ში თუ სხვა კაპიტალურ საზოგადოებაში სამეთვალყურეო საბჭოს ჩამოყალიბება.

14 და მსგავსი შემთხვევები ხშირია ქართულ რეალობაში. გასაანალიზებლად მოყვანილი იქნება სუს-ის გადაწყვეტილება, სადაც აღწერილობით ნაწილში მითითებულია, რომ დირექტორს პარტნიორის გარეშე არც ერთი გადაწყვეტილება არ მიუღია, რაც (როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა) მოპასუხის (დირექტორის) მხრიდან იმის თავდაცვის არგუმენტს წარმოადგენდა, რომ მისი პა-

სუხისმგებლობა მისი მხრიდან საწარმოს გაძლიერების არამართლოზომიერებაში გამოიხატებოდა უნდა ყოფილიყო. იხ.: სუს-ის №ას-1501-1421-2017 გადაწყვეტილება (პუნქ. 15.1). აქ შეიძლება რიტორიკული კითხვის დასმაც: მსგავს ვითარებაში, როდესაც დირექტორი მხოლოდ პარტნიორის მითითებისა და მასთან ნებისმიერი ქმედების შეთანხმებით უნდა მოქმედებდეს, სადაც ადგილი დირექტორის საქმიანობის თავისუფლების მასშტაბისა?! ეს პირდაპირ შეეწინააღმდეგება რისკიანი გადაწყვეტილების მიღებისა და პროფესიონალი მენეჯმენტის საქმიანობის კონცეფციას, რამდენადაც მსგავს სიტუაციაში დირექტორის ქმედების თავისუფლება საერთოდ არ არსებობს, რაც გამოიხატება კიდევ, განსაკუთრებით კაპიტალურ საზოგადოებაში, მესამე ორგანოს კონცეფციის ფაქტობრივ არსებობასა და ფუნქციონირებას.

15 მაგალითად, პარტნიორთან დაახლოვებული პირი (ოჯახის წევრი, ახლო ნათესავი, მეგობარი, დამოკიდებული საწარმოს შემთხვევაში კონცერნის ერთ-ერთი მხარის დომინანტი პარტნიორი, აქციონერი და ა.შ.).

16 ფაქტობრივი „მმართველის“ შესახებ, სამეწარმეო საქმიანობის ფორმისა და შინაარსის ურთიერთმიმართების კონტექსტში, იხ.: 2006 წ. 13 ივლისის სსსგ №1/2/378; ზოიძე, მეწარმის ცნება და მისი თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა, საკუთრების უფლების თავისებურებანი კორპორაციულ საზოგადოებებში (საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მხიედვით) კრებული: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, 2009, 65 და მომდ.

17 სასამართლო პრაქტიკაზე შემდგომი მითითებით იხ.: ლაზარაშვილი, სასამართლო ხელშეკრულება საწარმოს დირექტორთან, კრებული: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, „მერიდიანი“ 2009, 309 და მომდ.; ბურდული, სს საფუძვლები, მეორე ტომი, 2013, გვ. 378-386.

18 ამის თაობაზე მაგ.: Kübler/Asmann, Gesellschaftsrecht. Die Privatrechtlichen Ordnungsstrukturen, 80 ff; Eisenhardt, Gesellschaftsrecht, (2007), Rn. 272 ff, 546 ff.

19 აქ გათვალისწინებული არ არის ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დანოზა ლატვიის წინააღმდეგ, რომელმაც შპს-ში ამ კონცეფციას ცოტა სხვა თვლით შეხედა. იხ. ECJ C-232/09 – Danosa v. Latvia; ვრცლად ამ ქვეყნის ეფექტის თაობაზე საკორპორაციო სამართალი შეგიძლიათ იხ.: Petrovic, Sinisa/Ceronja, Petar, Corporate effects of the Danosa case: is the termination of membership of the board of directors allowed in the case of a pregnant board member?, Croatian Yearbook of European Law and Policy, 12/2012, 437-456.

20 იხ. სუს-ის №ას-1203-2018 გადაწყვეტილება (პუნქ. 15.1).

21 იხ. სუს-ის №ას-1501-1421-2017 გადაწყვეტილება (პუნქ. 24.), სადაც სასამართლო მეწარმეთა შესახებ კანონის მე-9 მუხ. მე-6 პუნ. (ხელმძღვანელ პირთა ფიდეიკიური მოვალეობის სტანდარტი) განაგრძობს სკ-ის 709-ე, 712-ე მუხ. (დავალეების ხელშეკრულება).

22 სუს-ის №ას-1501-1421-2017 გადაწყვეტილება (პუნქ. 27). რაც შეეხება დერივაციული სარჩელის შემთხვევაში მტკიცების ტვირთს, აქ სასამართლო დირექტორს აკისრებს ვალდებულებას დაამტკიცოს, რომ იგი მოქმედებდა საწარმოს ინტერესში და მისი ეს ქმედება განპირობებულია სამეწარმეო გადაწყვეტილების თავისუფლების ფარგლებით (ე.წ. business judgment rule). იხ.: სუს-ის №ას-245-230-2014 გადაწყვეტილება. ამაში შეიძლება სამეწარმეო განსჯის წესის (ტერმინთან დაკავშირებით იხ. დ. მისურაძე, სამეწარმეო განსჯის წესი საკორპორაციო სამართალში (აშშ-ის და საქართველოს სამართლის მაგალითები, საკორპორაციო სამართლის კრებული 1, ბურღული (რედ.), „მერიდიანი“ 2011, 109-159; მისურაძე, „სამართლის ჟურნალი“ 1-2/2010, 108-126; ასევე კრიტიკა: ჭანტურია, „სამართლის ჟურნალი“ 2/2011, 294-295.) სასამართლოსეული განმარტება დაეინახო.

23 რომელიც იმავდროულად შეიძლება იყოს დირექტორი ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

24 გერმანულ საკორპორაციო სამართალში ამ ორ რგოლს ერთობლივად მოიხსენიებენ საზოგადოების მმართველობად (ან მმართველ რგოლად) – Verwaltung der Gesellschaft. 1965 წლის გერმანული კანონი საქციო საზოგადოებათა შესახებ („საქციო კანონის ზოგადი დასაბუთების მთავარი მოტივი“) მიზნად ისახავდა გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭოს როლის გაძლიერებას. ამ თვალსაზრისით ორივე ორგანო თანაბრად წარმართავს (საქმიანობის ინტენსივობის მიუხედავად) საზოგადოებას და მის უშუალო მმართველობას განეკუთვნება. Roth, Information und Organisation des AR, ZGR 1/2012, 347-348. ანალოგიურად ვრცელდება საქციო კანონის ნორმები შპს-ის სამართლებრივ ფორმამაც, როდესაც ამ უკანასკნელში სამეთვალყურეო საბჭოა ჩამოყალიბებული.

25 დაწვრილებით ერთკაცა (ე.წ. Einmangelschaft) საზოგადოების შესახებ იხ.: ბურღული/მხარობლივილი/მალრაძე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში: არსებული რეალობა და რეგულატორული დეფიციტი, 2019, 56 და მომ.

26 საქართველოში ძირითადად არსებობს პერსონალური პარტნიორული სტრუქტურის მქონე შპს-ები. მსგავს ვითარებაში, სამწუხაროდ, დირექტორის დამოკიდებულებით მოქმედების მასშტაბი მეტად შეზღუდულია ფაქტობრივი მოცემულობიდან და საწარმოში არსებული „მმართველობითი“ დიფერენციალურიობიდან გამომდინარე. ბევრ შემთხვევაში დირექტორი არ არის საგნობრივი პროფესიონალურ

რი კომპეტენციის მქონე პირი, რომელიც ამა თუ იმ საქმიანობის საგნის სახეობის მიხედვით მოქმედ კომპანიას ხელმძღვანელობს. არაჯანსაღი, სწორ შემთხვევაში პოლიტიკურ სიტუაციაზე დამოკიდებული ეკონომიკა განაპირობებს იმ კომერციული სუბიექტის წარმატებას ბაზარზე, რომლის უკან გარკვეული პოლიტიკური ესტაბლიშმენტი დგას. ამიტომ დირექტორის მოქმედებისთვის ადგილი მცირეა. იგი მთლიანად და არსებითად არის ხოლმე დამოკიდებული პარტნიორის (ან აფილირებული და ფორმალური პარტნიორის შემთხვევაში) ან მის უკან მდგომი ხელისუფლებასთან დაახლოებული ჩინოვნიკის მითითებამე. შესაბამისად, დირექტორი მხოლოდ ფორმალურ როლსა და ფუნქციას ასრულებს, რაც პრინციპში გამორიცხავს მხოლოდ მასზე პასუხისმგებლობის დაკისრებას შინაარსობრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით. ამიტომაც არის, რომ დირექტორისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებისა და ზიანის ანაზღაურების დავებში პასუხისმგებლობის სუბიექტები ფართო და ვიწრო გაგებით ხელმძღვანელი პირები არიან.

27 თუმცა ამის პრაქტიკულად დადგენა ძალიან რთულია.

28 იხ. სუს-ის №ას-1203-2018 გადაწყვეტილება.

29 იხ.: ლ. ცერცვაძის სადისერტაციო ნაშრომი.

30 სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მითითებით იხ.: ზოიძე, მეწარმის ცნება და მისი თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა კრებულში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, 65 და მომდ.

31 იხ. შედარებისთვის: K. Schmidt in Scholz, GmbHG, (2018), §11 Rn. 104 f, 121.

32 Henssler/Strohn/Oetker, Gesellschaftsrecht, GmbHG, (2014), §43 Rn. 9; Münch. Hdb. GesR III/Marsch-Barner/Dieckmann §46 Rn. 5.

33 ფედერალური უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკაზე მითითებით: Münch. Hdb. GesR III/Marsch-Barner/Dieckmann §46 Rn. 5.

34 იხ.: ბურღული/მხარობლივილი/მალრაძე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში, 31 (სქოლიო 64). თუმცა როგორც ქვემოთ წარმოჩინდება შესაძლებელია, ამ საკითხის სხვაგვარი გადაწყვეტა იყოს გამართლებული.

35 Baumbach/Hueck/Zöllner/Noack, GmbH, (2017), §43 Rn. 3. გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში საკამათოა თემა იმასთან დაკავშირებით, უნდა საერთოდ თუ რა მოცულობით უნდა გავრცელდეს 43-ე პარ. მოქმედების განმხორციელებელ პირზე, რომელიც საერთოდ არ არის დანიშნული. იხ. იქვე.

36 შესაბამისი წყაროებზე მითითებით: Baumbach/Hueck/Zöllner/Noack, GmbH, (2017), §43 Rn. 3.

37 2006 წ. 13 ივლისის სსსგ №1/2/378. ზოიძე, მეწარმის ცნება და მისი თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა, 65 და მომდ.

38 თემის დასაბუთებისთვის ასევე იხ.: ზოიძე, მეწარმის ცნება და მისი თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა, საკუთრების უფლების თავისებურებანი კორპორაციული საზოგადოებებში (საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მხილვით) კრებულში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, 2009, 65 და მომდ.

39 სასამართლო პრაქტიკაზე მით.: Baumbach/Hueck/Zöllner/Noack, GmbH, (2017), §43 Rn. 2.

40 Baumbach/Hueck/Zöllner/Noack, GmbH, (2017), §43 Rn. 2.

41 არც წერილობით, არც ზეპირად და არც კონკლუდენტური მოქმედებით. როგორც წესი, დირექტორთან სასამსახურო სამართალური თეორიითა წერილობითი ფორმით (იმისთვის, რომ შემდგომი მტკიცების ტვირთთან დაკავშირებული პრობლემები გამოირიცხოს, დირექტორსა და საზოგადოებას შორის ჩამოყალიბებულ სამართალური თეორიითაში სიცხადე შევიდეს) მყარდება. მსგავსი ნორმები შეიძლება ინტეგრირებული იყოს წესდებაში, თუმცა კუტელარული პრაქტიკა აჩვენებს, რომ ხდება მასა და საზოგადოებას შორის ცალკე ხელშეკრულების გაფორმება (ქართული სასამართლო პრაქტიკით მსგავსი სამართალური თეორიითა ყველაზე ახლოს დგას დავალების ხელშეკრულებასთან. მაგ.: სუს-ის №ას-1203-2018 გადაწყვეტილება; №ას-1501-1421-2017 გადაწყვეტილება (24-ე პუნქ.). გამორიცხული არ არის, რომ მსგავსი სახის ხელშეკრულება ზემოთი ფორმითაც დაიდოს. მაგალითად, როდესაც დირექტორი დანიშნის აქტის შემდეგ ავტომატურად შეუდგება მოვალეობის შესრულებასა და საწარმოს საქმიანობის გაძლიერებას (თუმცა გამომდინარე ურთიერთობის მორჩილების კომპლექსური ხასიათიდან, როგორცაა ანაზღაურება, სოციალური და სახელმწიკრულებო გარანტიები და სხვ., უმჯობესია მისი დადება სწორედ წერილობითი ფორმით). არც ის არის გამორიცხული, რომ მსგავსი სამართალური თეორიითა მასთან დამყარდეს კონკლუდენტური მოქმედებითაც, როდესაც ხელმძღვანელი წარდგენის სამართლებრივი აქტის (წერილობითი თუ ზეპირი) მიუხედავად პარტნიორისაგან კონკლუდენტურად იღებს თანხმობას საქმიანობის დაწყების თაობაზე. თუ სასამართლოზე დადასტურდება, რომ პარტნიორმა იცოდა, უნდა სცოდნოდა ან შეეძლო სცოდნოდა პირის მიერ ხელმძღვანელობითი საქმიანობის განხორციელების თაობაზე, იგი (პარტნიორი) და თავის მხრივ ხელმძღვანელი (პასუხისმგებლობის დაკისრების ნაწილში) ვერ დაეყრდნობა იმ გარემოებას, რომ მსგავსი ტიპის ხელშეკრულების დადება აუცილებელია იმისთვის, რომ მასზე გავრცელდეს კუთლისინდისიური ხელმძღვანელის მოქმედების ნორმები. ე.წ. Duldungsvollmacht-ისა და

Anscheinsvollmacht-ის შესახებ მაგ.: GmbHR 1991, 315 ff = OLG Koblenz, AZ: 5 U 1065, 89; Köhler, BGB AT, 36. Auf., §11 Rn. 42 f, 44 ff. მსგავსი კონცეფცია გამომდინარეობს ზოგადი კერძო სამართლის წარმომადგენლობის ინსტიტუტიდან, რომელიც სამოსამართლო სამართლის მიერ შესაბამისად იქნა განმარტებული. ამის თაობაზე ვრცელად შეგიძლიათ იხ. მაგ.: Hofmann, Klaus, Vollmachten, 8. Auf., 2002, 13 ff.

42 სასამართლო პრაქტიკაზე და იურიდიულ ლიტერატურაზე შემდგომი მით.: Kleindiek in Lutter/Hommelhof, GmbH-Gesetz, (2012), §43 Rn. 3.

43 Rabel, RabelsZ 1953, 602; Häberle, JZ 1992, 1036. მით.: Kalss/Burger/Eckert, Entwicklung des österreichischen Aktienrechts, 2003, 25, 26. თუმცა იგი უფრო ნორმის განმარტების შემეცნების წყაროდ უნდა ვაღიაროთ, ვიდრე დამოუკიდებელი ინტერპრეტაციის მეთოდად. იხ.: ბურდული, თანამედროვე ქართული სამეწარმეო სამართალი მედივი რეფორმირების წინაშე: მეკლადამბილი პროცესი და საქართველო, კრებული: სამართლისა და პოლიტიკური ამბოჯების ისტორიის ნარკვევები, წიგნი IV, ფრაძე, გოჩა (რედ.), „მერიდიანი“ 2019, 146-175, 160-161.

44 აქ საუბარია წინარე საზოგადოებაზე, რამდენადაც წინარე სადამფუძნებლო კონსორციუმში დირექტორის ადგილი და სტატუსი მომავალი იურიდიულ პირში ჯერ დაფუძნებული არ არის. წინარე საზოგადოების თაობაზე ქართულად იხ.: ბურდული, სს საფუძვლები, I ტომი, 2010, 426 და მომდ; ბურდული/მახარობლიძე/მალრაძე, შემუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში, 2019, 46 და მომდ. გამომდინარე იქნა, რომ წინარე საზოგადოების მიმართ გამოყენებული უნდა იყოს ასევე ის სამართალი, რომელიც გამოყენებული იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუკი საზოგადოება რეგისტრირებული იქნებოდა, მაშასადამე – შს-ის სამართალი, პასუხისმგებლობის დავისრების იურიდიული ნორმებიც იგივე იქნება, რაც ეს შს-ის მომწესრიგებელ ნორმებში გვაქვს. ამ თემის დასაბუთების შესახებ იხ.: ბურდული/მახარობლიძე/მალრაძე, შემუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში, 2019, 47-56. ის, რომ ხელმძღვანელ პირს შეიძლება დავისსროს პასუხისმგებლობა შს-ის შესახებ კანონის 43-ე პარაგრაფის შესაბამისად აღიარებულია გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიერ. OLG Karlsruhe = BB 1998, 497 f; BGH = WM 1986, 789 ff.

45 იხ. მაგ.: Grunewald, Gesellschaftsrecht, (2014), §13, Rn. 62-83; Eisenhardt, Gesellschaftsrecht, (2007), §45, Rn. 711.

46 თუმცა ამასთან ერთად არის ასევე პასუხისმგებლობის კიდევ რამდენიმე სახე, რომელიც ქვემოთ აღინიშნება.

47 გადაწყვეტილებები მითითებული იქნება ქვემოთ მინარსობრივად საკითხის განხილვისას.

48 Raiser/Veil, Kapitalgesellschaftsrecht, 5. Auf., (2010), §32 Rn. 79 ff.

49 გამომდინარე იქნა, რომ გერმანული სამართალი შს-ის სამართლებრივ ფორმაშიც ძირითადად (თუ არ გავითვალისწინებთ შს-ის კანონის მე-5ა პარ.) განამტკიცებს მინიმალური სავალდებულო საწესდებო კაპიტალის დოქტრინას, ხელმძღვანელი პირის ერთ-ერთ ძირითად მოვალეობას წარმოადგენს საზოგადოების დაფუძნებისას და კორპორაციული კაპიტალის გამრდისას სწორი და ხანდო მონაცემის გაცეობა. ეს უშუალოდ გამომდინარეობს შს-ის კანონის მე-9ა და 57-ე პარ. მე-4 აბ. ქართულმა საკორპორაციო სამართალმა კარგა ხანია უარი თქვა გერმანულ კონცეფციაზე. შესაბამისად, მსგავსი მავალდებულებელი ხასიათის დებულებები ეროვნულ კანონმდებლობაში არ მოგვეპოვება (აქ გამოინაკლის წარმოადგენს კვონომიკური ურთიერთობის სპეციფიკური სფეროსთვის დადგენილი მოთხოვნები, რომელიც საბანკო-საკრედიტო, მიკროსაფინანსო, სადამღვეყო საქმიანობას უკავშირდება. შესაბამისად, შესაძლებელია ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება ამ ნორმების უგულებელყოფის შემთხვევაში). შემდეგი მნიშვნელოვანი კანონით გათვალისწინებული მოვალეობა, რომელიც გერმანულ შს-ის სამართალში გვხვდება არის ქონების შენარჩუნების მავალდებულებული ნორმების დაცვა. ეს პრინციპი სხვადასხვანაირად მიიღწევა გერმანულ და აშშ-ის საკორპორაციო სამართალში, თუმცა შედეგი ორივე სისტემაში ერთი აქვს: დაცვას საზოგადოების კრედიტუნარიანობა საზოგადოების კორპორაციული ქონების დაცვისა და შემცირების რისკის მინიმუმების ხარჯზე. ამით არაპირდაპირ უზრუნველყოფილია მესამე პირის მოთხოვნის აღსრულების ინტერესი. მსგავსი ნორმები ქართულ სამართალში, 2008 წლის 14 მარტის „გრანდიობული“ რეფორმით უარყოფილი იქნა. არადა ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ფუნქციის შემსრულებელია არა მხოლოდ საზოგადოების კაპიტალუნარიანობის მდგრადობის და მისი მიზნის მიღწევის თვალსაზრისით, არამედ ხელმძღვანელი პირის გამოკვეთილი ვალდებულების დაცვისა და პასუხისმგებლობის თვალსაზრისითაც. მსგავსი იმპერატიული ხასიათის დათქმების არარსებობის შემთხვევაში ყოველთვის გართულდება სამართალმეფარდების პროცესში ხელმძღვანელის კანონით დადგენილი მსგავსი მოვალეობის დარღვევის იდენტიფიცირება. თუმცა ქართულ სამართალში ამან, რასაკვირველია, არ უნდა გამოიციხოს დირექტორის პასუხისმგებლობა და მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მეწარმეთა კანონის მე-9.6 მუხ., როგორც lex specialis-სთან ერთად გამოყენებული უნდა იყოს სკ-ის 992-ე მუხ. გამოდენდის არასწორად განაწილების, ასევე, საზოგადოების ქონებიდან პარტნიორზე გარკვეული გადახდის არასწორად განხორციელების შემთხვევაში მეწარმეთა კანონის მე-8 მუხ. ერთად გამოყენებული უნდა იყოს სკ-ის 992-ე მუხ., როგორც დელიქტური პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი ნორმა. შესატანის ვალდებულების დროს პარტნიორთა არათანაბარი მოპყრობა გამოიწვევს პარტნიორთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის დარღვევას. შესაბამისად, შესაძლებელია გვიდეთა მეწარმეთა კანონის მე-3.9 მუხ., თუმცა ამასთანავე ვერ აკვდებთ ზოგად-საკორპორაციო სამართლებრივი პრინციპის გამოყენებას, რომლის თანახმადაც, დირექტორი ვალდებულია დაიცვას შიდაორგანიზაციული წესრიგი, მათ შორის, პარტნიორთა თანაბარი მოპყრობის პრინციპი. მისი იგნორირება კი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლად შეიძლება ჩაითვალოს. ხელმძღვანელის (კანონით დადგენილი) მოვალეობა სავალდებულო სარეგისტრაციო იურიდიული ფაქტების სამეწარმეო რეგისტრისთვის წარდგენა (შს-ის კანონის მე-7, 39, 40 და სავაჭრო კოდექსის 29-ე, 53-ე პარ.; მეწარმეთა კანონის მე-5 მუხ. უსტიციის მინისტრის 291-ე ბრძანება). კანონით გათვალისწინებულ მოვალეობებს შორის სათანადო ადგილი უჭირავს საბუღალტრო წიგნების წარმოებისა და ანგარიშგების მოვალეობას (თანახმად შს-ის კანონის 41-ე და მომდ. პარ.).

50 გადახდისუნარიანობის წარმოების დაწყების თაობაზე განცხადების წარდგენისა და საგაოტრეზო მასის შემცირების აკრძალვა, რომელიც გათვალისწინებულია როგორც გერმანული, ისე ქართული კანონმდებლობით. სალიკვიდაციო ქონების, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, პარტნიორებზე თანაბრად განაწილების დადგენის ვალდებულება. შს-ის, როგორც იურიდიული სტატუსის მქონე ორგანიზაციულ წარმონაქმნს აკისრია არა მხოლოდ უშუალოდ საკორპორაციო სამართლიდან გამომდინარე გარკვეული სახის ვალდებულებები, არამედ სამართლის სხვა დარგებიდანაც. მაგ., ვალდებულება გადასახადის გადახდისა და სოციალური დამღვევის შესატანის დროული და დაუყოვნებლოგი განხორციელება; სისხლისსამართლებრივი, შრომითსამართლებრივი, გარემოსდაცვითი-ეკოლოგიურსამართლებრივი აკრძალვა და მოთხოვნილი იურიდიული ნორმების დაცვის ვალდებულება. საზოგადოების ხელმძღვანელი სწორედ ამ მოთხოვნებისა და აკრძალვების შესრულების მოვალეობით არის გამსჭვალული და პასუხისმგებელი იმაზე, რომ ეს ნორმები საზოგადოების ცხოვრებაში რეალურად იქნეს შესრულებული. ამას ლეგალურობის/კანონიერების პრინციპს (Legalitätsprinzip) ამის თაობაზე მაგ.: Paefgen, Unternehmerische Entscheidungen und rechtsbindung der Organe der Aktiengesellschaft, 17 ff. ციტ.: ჭანტურია, კორპორაციული მართვა, 201 (სქოლიო 14.) უწოდებენ. და, როგორც წესი, არ არსებობს არანაირი „მოვალეობის სასარგებლო დარღვევის“ ფაქტობა. თუმცა არსებობს გამოინაკლისი. ე.წ. სასარგებლო კანონდარღვევათა შესახებ იხ.: ჭანტურია, კორპორაციული მართვა, 393-400.51 იხ. განსხვავებული ტერმინები: ჭანტურია, კორპორაციული მართვა, 199 და მომდ.; ჯუღელი, გიორგი, კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, 2010, 178 და მომდ.

52 ვრცლად ორივე მოვალეობასთან დაკავშირებით იხ. მაგ.: ჭანტურია, კორპორაციული მართვა, 202-373.

53 აქ, პირველ რიგში, მხედველობაში მიიღება მეწარმეთა შესახებ კანონის მე-9 მუხლის მე-9 პუნქტი.

54 მაგ., მეწარმეთა შესახებ კანონის 46-ე მუხ. ის ჩანაწერი, რომელიც დირექტორის ავალდებულებს პარტნიორს ამ უკანასკნელის მოთხოვნისთანავე დაუყოვნებლივ მისცეს მას ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ. ეს ნორმა გარკვეულწილად შეიძლება უპირისპირდებოდეს ამავე კანონის მე-9.6 მუხ., რამდენადაც პარტნიორის მხრიდან ინფორმაციის ბოროტად, საზოგადოების წინააღმდეგ გამოყენების დაშვების, დირექტორის მხრიდან ამის ცოდნის შემთხვევაში, ხელმძღვანელი პირი არღვევს კეთილსინდისიერი მმართველის მოვალეობას, თუმცა ეს საკითხი სამართლებრივი ნორმების ლოგიკური შეპირისპირების საფუძველზე უნდა გადაწყდეს: შეიძლება დირექტორის მხრიდან ადგილი ჰქონდეს ერთგვარად მე-9.6 მუხ. „დარღვევას“, თუმცა პასუხისმგებლობა გამოირიცხება, ვინაიდან იგი პარტნიორის მოთხოვნას ასრულებს. ეს კი კანონით გათვალისწინებული მოთხოვნის (Gebot) აღსრულებას უკავშირდება.

55 ე.წ. compliance. ინსტიტუტის თაობაზე მაგ.: Poppe in Göring, Helmut/Inderst, Comelia/Bannenber, Britta (Hrsg.), Compliance. Aufbau, Management, Risikobereiche, C. F. Müller, 2010, Kap. 1, Rn 1 ff; Kuthe in Compliance-Hdb, 2008, Kap. 1. Rn. 2 ff; ვრცლად კორპორაციული შესაბამისობის სისტემის ჩამოყალიბებისა და საშუალო ზომის საწარმოში მისი მოქმედების შესახებ იხ.: Mittendorf, Martina, Compliance management System als Haftungsbegrenzungsinstrument in der mittelständischen Wirtschaft, 2017.

56 პარალელი რომ გავეთდეს სს-ის ორგანიზაციულ ფორმასთან, როდესაც მასში ორსაფეხურიანი კორპორაციული მართვის სისტემა არსებობს. სამეთვალყურეო საბჭოს შინაგანაწესით იმის დადგენა, რომ სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია ყოველდღიურად, ყოვლისმომცველად და ყოველმხრივ აკონტროლოს გამგეობა ამ უკანასკნელის მხრიდან მისთვის (სამეთვალყურეო საბჭოსთვის) ნებისმიერ მოქმედებაზე თანხმობის მიღების კონტექსტში დაუშვებელია. თანამედროვე კორპორაციული მართვის სამართალში ეს ჭანსალი და რაციონალური კორპორაციული მართვის დოქტრინას ეწინააღმდეგება, სრულად და ტოტალურად ხელყოფს რა გამგეობის თავისუფალი მოქმედების არეაღს და სფეროს. იხ. უცხოურ და ქართულ წყაროზე მითითებით: ბურდული, სს საფუძვლები, II ტომი, 457 (მე-19 სქოლიო). კორპორაციული მართვის ზოგადად და მისი სისტემისა და მოდელის დიფერენცირების თაობაზე იხ.: მახარობლიშვილი, კორპორაციული, კორპორაციული მართვის ზოგადი ანალიზი, „იურისტების სამყარო“

2015. განსაკუთრებით: 47 და მომდ., 229 და მომდ., 283 და მომდ.

57 აქ იგულისხმება ძირითადად კანონით გათვალისწინებული ის მოვალეობები, რომელიც უშუალოდ გამომდინარეობს დირექტორატის, როგორც ორგანულსამართლებრივი კორპორაციის სტრუქტურული ნაწილის საქმიანობიდან. გერმანულ სამართალში მას უწოდებენ Organpflichten, რაც კარგად ასახავს ჩამოყალიბებულ მინარსს. გერმანული სამართალი საკანონმდებლო დონეზე ახდენს ამგვარი ცალკეული ორგანული მოვალეობის აღწერას, რაც სამართლის პოლიტიკისა და საკითხში სიცხადისა და განჭვრეტადობის შემოტანის მიზნით, სავსებით გამართლებული და სწორი უნდა იყოს. ასე, მაგალითად, როგორც ზემოთ აღინიშნა, ერთგულების მოვალეობა (Treupflicht) განსახიერებელი კონკურენციის აკრძალვაში, საბუღალტრო წიგნისა და დოკუმენტაციის წარმოების (Buchführungspflicht), ანგარიშგების მოვალეობა (Berichtspflichten), გადახდისუნარიანობის ფაქტის წინაშე დადგომის შემთხვევაში განაცხადის შეტანის (Pflichten bei Überschuldung und Zahlungsunfähigkeit), გაკორტების წარმოების გახსნის თაობაზე განცხადების წარდგენის მოვალეობა (Antrag auf Eröffnung des Insolvenzverfahrens). ყველა ეს მოვალეობა ორგანულ მოვალეობათა კატეგორიას წარმოადგენს, რაც კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული.

58 Marsch-Barner/Dieckmann in Hans-Joachim Priester/Dieter Mayer (Hrsg.), Münchener Handbuch des Gesellschaftsrechts, Band 3, 3. Auf., C. H. Beck, München 2009, §46 Rn. 6.

59 Scholz/Schneider §43 Rdnr. 30. ციტ.: Münch. Hdb. GesR III/Marsch-Barner/Dieckmann §46 Rn. 6.

60 შუად. სუს-ის №ას-1158-1104-2014 და №ას-1307-1245-2014 გადაწყვეტილება.

61 Business judgment rule შესახებ იხ.: ჭანტურია, კორპორაციული მართვა, 215 და მომდ.; მისურაძე, სამეწარმეთა განსჯის წესი საკორპორაციო სამართალში (აშშ-ის და საქართველოს სამართლის მაგალითზე, საკორპორაციო სამართლის კრებული I, ბურდული (რედ.), „მერიდიანი“ 2011, 109-159; მისურაძე, „სამართლის ჟურნალი“ 1-2/2010, 108-126; ასევე კრიტიკა: ჭანტურია, „სამართლის ჟურნალი“ 2/2011, 294-295.

62 მეწარმეთა შესახებ კანონის პროექტი ითვალისწინებს ამ ინსტიტუტის ქართულ საკანონმდებლო ანალოგს.

63 NJW 1993, 1922 = BGHZ 122, 333, 336. ციტ.: Kindler, Verantwortung der Geschäftsführers und Schadenersatz im deutschen Gesellschaftsrecht, (მოსხენება წაკითხული გერმანულ-იტალიური იურიდიული გაერთიანების 23-ე ყრილობაზე 2010 წ. 15 ოქტომბერს), 7.

64 მეწარმე სუბიექტთა დოკუმტური სხვაობისა და მათი ტიპოლოგიური ბუნების სხვადასხვა-

ობის შესახებ იხ.: მახარობლიშვილი, მეწარმე სუბიექტთა დოკუმტურ-თეორიული გამიჯვნა კაპიტალურ საზოგადოებათა საწყისებზე, სამართლის ჟურნალი 2/2011, 99-133.

65 AktG §76 Abs. 1. იხ. ასევე ამ საკითხთან დაკავშირებით საქციო კანონის კომენტარი, მაგ.: Spindler/Stilz/Fleischer, AktG, (2015), §76 Rn.56-82. კონცერნში მართვის თავისებურებასთან დაკავშირებით იქვე: Rn.84 ff.

66 დახასიათებისთვის და იდენის ჩამოყალიბებისთვის იხ. ბურდული, სს საფუძვლები, II ტომი, (2013), 195 და მომდ. ასევე იხ.: კონკრეტულ კორპორაციულ ორგანიზაციულ მართვებით: იქვე, 355 და მომდ; 453 და მომდ. მსგავსი მიდგომა დამკვიდრებული ასევე ამერიკულ სამართალში ღია ტიპის ბიზნეს-კორპორაციასთან მიმართებაში. მაგ.: Merkt, US-amerikanischens Gesellschaftsrecht, (2013), Rn. 324 ff.

67 ქართული სამართლის პოლიტიკის საკითხები მსგავს თემასთან დაკავშირებით იხ.: ბურდული/მახარობლიშვილი/მალრაძე, შემლუღული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში, 21 და მომდ.

68 Weisungsgebundenheit. GmbHG §37. სს-ის განსხვავების თაობაზე: Jacoby in Bork/Schäfer (Hrsg.), GmbHG, (2012), §37 Rn. 10 ff.

69 რასაც ვხვდებით კიდევ საქართველოში დავების განხილვისას. სუს-ის გადაწყვეტილება №ას-1501-1421-2018.

70 დავუშვათ, რომ პერსონალური პარტნიორული სტრუქტურის მქონე შპს-ში ერთადერთი მოწვეული დირექტორია. კომპანიას ყვეს რამდენიმე პარტნიორი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას საწარმოს ქონების სეროზეული ნაწილის (როგორც საწარმოო საშუალების – ქარხნის შემადგენელი ნაწილის) გასხვისების თაობაზე იმ პირზე, რომელიც ბაზარზე მსგავსი საქმიანობით არის დაკავებული. დირექტორის მხრიდან კრებაზე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინდეფერენტული დამოკიდებულებისა და არააქტიური ქმედების შემთხვევაში ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა არ უნდა გამოირიცხოს იმის გამო, რომ დირექტორი ასრულებდა პარტნიორის მითითებას. გარიგებიდან დამდგარი ზიანის ანაზღაურების მოვალეობა დირექტორს დაეკისრება, რამდენადაც მისი ეს ქმედება შეიძლება მეწარმეთა კანონის მე-9.6 მუხ. დარღვევად მივიჩნიოთ. სხვა სიტყვით, „დირექტორი პარტნიორის მითითების, გადაწყვეტილების ბრმა შემსრულებელი არ უნდა იყოს“. ეს თავისთავად არღვევს მისი, როგორც ხელმძღვანელი პირის საზოგადოების ინტერესისთვის განხორციელებული საქმიანობის კეთილსინდისიერების ფარგლებს.

71 GmbHG §43 Abs. 4.

72 იხ. სუს-ის გადაწყვეტილება №ას-1203-2018; №ას-1501-1421-2017; №ას-457-436-2015.

73 გსკ-ის 611-ე და მომდ. პარ.

74 სუს-ის №ას-1203-2018 გადაწყვეტილება.

75 სუს-ის №ას-1158-1104-2014 გადაწყვეტილება.

76 რა თქმა უნდა, სრულად მისი გათვალისწინება არც ერთ მართლწესრიგს არ ძალუქს.

77 Henssler/Strohn/Oetker, Gesellschaftsrecht, GmbHG, (2014), §43 Rn. 1.

78 აღნიშნული ნორმა გერმანულ სამართალში აწესრიგებს ზნეობის ნორმის საწინააღმდეგოდ განზრახ ზიანის მიყენებას (განმარტებისთვის) იხ. კროპპოლერის ქართული თარგმანი: კროპპოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი. სასწავლო კომენტარი, თბ. 2014, §43 ველი 1 და მომდ.). სხვა შემთხვევაში ქართული სამართლით მოთხოვნის დაყენების სამართლებრივი საფუძველი ალბათ ვერ იარსებებდა.

79 იხ.: Baumbach/Hueck/Zöllner/Noack, GmbH, (2017), §43 Rn. 30 ff.

80 უმცირესობაში მყოფ.

81 ამასთან დაკავშირებით იხ.: BGH WM 1982, 928; ZIP 1982, 1203-1204. გერმანულ სამართალში ამასთან დაკავშირებით მინც არ არსებობს ერთიანი პასუხი, რადგან, როგორც ლიტერატურაში აღნიშნული, „პრობლემა, ისევე როგორც ეს პერსონალურ სამეწარმეო საზოგადოებაშია, მდგომარეობს იმაში, რომ მოთხოვნის განხორციელებაზე ფუნქციონარიანი ორგანო“ სახეზე ვერ იქნება. გერმანელები action pro socio-ს გზით მიდიან, რაც საკითხის გადაწყვეტის ერთადერთი გზაა. Grunewald, Gesellschaftsrecht, (2014), §13 Rn. 68.

82 გათვალისწინებული მეწარმეთა შესახებ კანონის 46-ე მუხ. მე-5 პუნ.

83 მეწარმეთა შესახებ კანონის მე-91 მუხ. მე-6 პუნ. „ბ“ ქვეპუნქტი.

84 მაჟორიტარის ისედაც შეუძლია ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება. თუმცა აქ ისაა გასათვალისწინებელი, რომ უბრალო უმრავლესობა საზოგადოებაში შეიძლება არავის ჰქონდეს. მაშინ მნიშვნელოვანი იქნება ე.წ. ჩამკვეტი უმცირესობის პოზიცია. ამ ინსტიტუტთან დაკავშირებით იხ.: ბურდული, სს საფუძვლები, (2013), 174 და მომდ.

85 Baumbach/Hueck/Zöllner/Noack, GmbH, (2017), §43 Rn. 1. აქვე გასათვალისწინებელია, რომ პასუხისმგებლობა დისპოზიციურია და იგი შეიძლება წესდებით შეიზღუდოს. ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მთავარი არის საზოგადოების და მისი პარტნიორის ინტერესის დაცვა, ხოლო კრედიტორის ინტერესი მიიღწევა შპს-ის, როგორც კაპიტალური საზოგადოებისთვის დადგენილი ქონების შენარჩუნებისა და „კაპიტალის შემკავშირებელი“ პრინციპების (ნორმების) შესაბამისად. Mönch. Hdb. GesR III/Marsch-Bamer/Dieckmann §46 Rn. 4.

86 Grunewald, Gesellschaftsrecht, (2014), §13 Rn. 67. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის განხორციელების თაობაზე ზოგადად: Klöhn in Bork/Schäfer (Hrsg.), GmbHG, (2012), §43 Rn. 69.

87 საკითხთან დაკავშირებით იხ.: ჯანტურია, კორპორაციული მართვა, 448-454.

88 ჯანტურია, კორპორაციული მართვა, 453. მიმოხილვა აზრთა სხვადასხვაობის თაობაზე გერმანულ საკორპორაციო სამართალში იხ. იქვე. 449-450.

89 ის მოსაზრება, რომ კრედიტორს უნდა ჰქონდეს დერეგულირებული სარჩელის აღძვრის უფლება დირექტორის წინააღმდეგ გამოთქმულია ასევე ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში. ლ. ცერცვაძე, კომპანიის კრედიტორთა დაცვა და დირექტორთა პასუხისმგებლობა, თ. ნინიძის საიუბილეო კრებულში, 2016, 18-21. თუმცა სტატიამ განხილული საკითხი ეხება გადახდისუნარიანობის პირას მისულ შპს-ას. ეს კი ამ თვალსაზრისით საკითხის ცოტა სხვა კუთხით დანახვას საჭიროებს.

90 Kindler, Verantwortung der Geschäftsführers und Schadenersatz im deutschen Gesellschaftsrecht, 11-12.

91 სასამართლო პრაქტიკაზე მითითებით: Grunewald, Gesellschaftsrecht, (2014), §13 Rn. 73.

92 შედ. NJW 1994, 2220 f = BGHZ 126, 181. ამ შემთხვევაში სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ხელმძღვანელის მხრიდან მოლაპარაკების პროცესში ადგილი ჰქონდა ჩვეულებრივი ნდობის ჩამოყალიბებას, ამიტომაც პასუხისმგებლობა გამოირიცხა გსკ-ის 311-ე და 241-ე პარ. გამომდინარე (შეად. ქართულის ანალოგიური ნორმები: სკ-ის 317, 316).

93 სუს-ის №ას-1158-1104-2014 გადაწყვეტილება.

94 სუს-ის №ას-1158-1104-2014 და №ას-1307-1245-2014 გადაწყვეტილება.

95 ხელმძღვანელი პარტნიორის პასუხისმგებლობის ნაწილში. იხ.: ჯანტურია, პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობა საზოგადოების საგადასახადო დარღვევისათვის (სამოსამართლო სამართლის სიახლე), გ. ნაჭყეიას საიუბილეო კრებულში, გამომც. „მერიდიანი“, 2016, 406-418.

96 არსებული ქართული სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე კერძო სამართლებრივი კრედიტორი გათანაბრდებოდა საჯარო სამართლებრივთან. საგადასახადო ვალდებულებიდან გამომდინარე (ე.წ. Fiskus) სახელმწიფოს, როგორც კრედიტორის წინაშე პასუხისმგებლობის თავისებურებისთვის იხ. მაგ.: Henssler/Strohn/Oetker, Gesellschaftsrecht, GmbHG, (2014), §43 Rn. 85.

97 ქვედა ინსტანციებისაგან განსხვავებით.

98 სუს-ის №ას-1158-1104-2014 გადაწყვეტილება (იხ. სამოტივაციო ნაწილი).

99 სსკ-ში არ გვაქვს გერმანული სამოქალაქო კოდექსის 311-ე და 280-ე პარ. მსგავსი ჩანაწერი, რაც ართულებს ამ კონტექსტში საკითხის გადაწყვეტას. ამაზე ქვემოთ იქნება საუბარი.

100 პასუხისმგებლობის სხვაგვარი შინაარსი, როგორც ზემოთ წარმოჩინდა, მე-9.6 მუხლ. შინაარსიდან გამოირიცხება.

101 გსკ-ის 823-ე პირველი, 830-ე პარ.

102 Baumbach/Hueck/Zöllner/Noack, GmbH, (2017), §43 Rn. 75.

103 ისევე როგორც მეწარმეთა შესახებ კანონის მე-9 მუხ. მე-6 პუნ.

104 ბუნებრივია, თუ დირექტორს 43-ე პარ. შინაარსით გათვალისწინებული ქმედების მასშტაბი არ დაურღვევია, იგი ვერც პასუხისმგებლობის სუბიექტი გახდება.

105 Münch. Hdb. GesR III/Marsch-Bamer/Dieckmann §46 Rn. 67.

106 იხ. ე.წ. „სამშენებლო მასალის და ლამბორჯინის ქეისები“: BGHZ 109, 297; BGH NJW 1996, 1535 f, ასევე, BGH ZIP 1996, 786.

107 Münch. Hdb. GesR III/Marsch-Bamer/Dieckmann §46 Rn. 68.

108 Kleindiek in Lutter/Hommelhof, GmbH-Gesetz, (2012), §43 Rn. 80.

109 მრავალრიცხოვან წყაროზე მითითებით: Baumbach/Hueck/Zöllner/Noack, GmbH, (2017), §43 Rn. 79.

110 Baumbach/Hueck/Zöllner/Noack, GmbH, (2017), §43 Rn. 2.

111 როგორც წესი ეს საზოგადოების პარტნიორია.

112 Ausfallhaftung.

113 ჩამოყალიბებულია ქინდლერის მიხედვით: Kindler, Verantwortung der Geschäftsführers und Schadenersatz im deutschen Gesellschaftsrecht, 10.

114 გარდა პარტნიორთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვისა ხელმძღვანელის მხრიდან და ისიც ზოგადი საკორპორაციოსამართლებრივი პრინციპის აღიარებით.

115 შდრ. ანალოგიური ქართულში: ბიჭია, მიხეილ, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, გამოც. „ბონა კაუზა“, 2018, 273.

116 ბუნებრივია, აქ საუბარი არ არის კანონით დადგენილი წესით საწარმოს საქმიანობის საგნის ცვლილებაზე პარტნიორთა გადაწყვეტილების საფუძველზე ან პარტნიორთა მსგავსი ფაქტობრივი ცვლილების ზეპირსიტყვიერად დათანხმების თაობაზე.

117 Kindler, Verantwortung der Geschäftsführers und Schadenersatz im deutschen Gesellschaftsrecht, 10.



